# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 ივნისი 2000 №110 (1132) | ფასი 50 თეთრი


# ჩემპიონატი გუშინ დაიწყო


პორტუგალია — ინგლისი 3:2. ნუნუ გომეშმა (№21) დევიდ სიმენს და ინგლისს შავი დღე აყარა

*ჯერ კიდევ შაბათს დაწყებული ევროპის ჩემპიონატი ეშხში გუშინდლა შევიდა. პორტუგალია — ინგლისის მატჩი ისეთი გამოდგა, როგორთა გამოც ადამიანს ესა თუ ის ჩემპიონატი ამახსოვრდება. ხუთი სუპერგოლი ერთ მატჩში, გათანაბრებული 0:2 და საბოლოოდ მოგებული მატჩი — პორტუგალიამ ინგლისი დაჯაბნა, A ჯგუფის მეორე მატჩში კი გერმანია ჩვენს თანაგუნდელ რუმინეთს 1:1 დაუზავდა.*

UEFA EURO 2000

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია | 1 |
| რუმინეთი | 1 |
| პორტუგალია | 3 |
| ინგლისი | 2 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბელგია | 2 |
| შვედეთი | 1 |
| თურქეთი | 1 |
| იტალია | 2 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 3 |
| დანია | 0 |
| პოლანდია | 1 |
| ჩეხეთი | 0 |

იხილეთ მეორე-მერვე გვერდები

9

## ესტონეთს პერსპექტივა, საქართველოს რეტრო?

ქართველთა 1:0 მომგებ ესტონელებს გაუკვირდათ, ასე რამ დაგაბეჩავათო...

14

## ბასკო — აზოტი

საქართველოს ჩემპიონატი

დღეს სპორტის სასახლეში საქართველოს საკლათბურთო ჩემპიონატის ფინალი იწყება

15

## ვივა, მარი!



ROLAND GARROS PARIS

კუერტენთან დამარცხებულმა ნორმანმა ჰინგისი მოიგო

# ქართველი მსაჯები: კოლინა ჩვენი კოლეგაა, მაგრამ...

*ტუზი აფრიკაშიც ტუზია — ამ ცნობილი გამოთქმის არ იყოს, მსაჯიც ყველგან მსაჯია და საქართველოშიც ისევე ცდება, როგორც უცხოეთში, რაც ჩემპიონატის პირველმავე მატჩებმაც ცხადყო. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ სფფ-ს მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტის თავმჯდომარის ანატოლი მილჩენკოსა და ცნობილი ქართველი მსაჯების კომენტარი ევრო 2000-ის პირველ შეხვედრების სადავო ეპიზოდებზე.*


პოლანდია — ჩეხეთი 1:0. ჩეხთა კარში არბიტრ პიერლუიჯი კოლინას დანიშნულმა პენალტმა პაველ ნედვედს თავზარი დასცა

ანატოლი მილჩენკო: სამწუხაროდ, მხოლოდ ჰოლანდია — ჩეხეთისა და იტალია — თურქეთის შეხვედრებს ვუყურე. წესით, უფლება არ მაქვს, უცხოელი მსაჯის ნამოქმედარი განვსაჯო, მაგრამ რადგან ტელევიზორით ნანხით ოფიციალურად საქმე არ ირჩევა, ამიტომ ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია — წესის თანახმად, თუ ბურთი ფეხბურთელებისგან სათამაშო მანძილზეა (მეტრნახევარი — ორი მეტრი) იქ ძალისმიერი ბრძოლა (ტანის ჩადგმა, მხრის გაკვრა) დასაშვებია. ამიტომ თურქი ფეხბურთელი საკუთარ საჯარიმოში წესების დაცვით მოქმედებდა. ინძაგი უბრალოდ ფიზიკურად დაიჩაგრა, ანაც განგებ წაიქცა. ასეთ შემთხვევაში, ჩემი აზრით, იტალიელთა სასარგებლოდ პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. რაც შეეხება ჰოლანდია — ჩეხეთის მატჩს, აქაც საეჭვოდ ჩანდა მსაჯის გადაწყვეტილება. მაისურაზე დაქაჩვა მოედნის ყველა მონაკვეთში დასაშვებია. გააჩნია, რა სახით და ძალით აკეთებს ამას მოთამაშე... საცოდაობა იყო დაჩოქილი ნედვედის ნახვა.

თამაზ ლაცაბიძე: რონალდ დე ბური მაისურაზე ისე ძლიერ არ დაუქაჩავთ, როგორც გაიფორმა. ჩემი აზრით, ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო. იტალია — თურქეთის პენალტზე კი რა უნდა ვთქვა — პირადად ასეთ თერთმეტმეტრიანს არაფრით დავნიშნავდი.

გურამ ასკაროღლი: კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ შეუცდომელი არავინაა. ისე კი, ჰოლანდია — ჩეხეთის მატჩში საოცრად მომეწონა კოლინას მსაჯობა, ოღონდ იმ წუთამდე, სანამ საეჭვო პენალტს დანიშნავდა. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა მსგავს სიტუაციაში ჩვენს ეროვნულ პირველობაზე.


თურქეთი — იტალია 1:2. იტალიელ ფილიპო ინძაგის რუშთუს კარში სადავო პენალტი გააქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

ეინდჰოვენი
12 ივნისი
23.45 საათი
ფილიპსი
30 000 (ტევადობა 30 800)

### პორტუგალია 3:2 ინგლისი

0:1 სქოულზი (3), 0:2 მაკმანამანი (18), 1:2 ფიგუ (22), 2:2 ჟოაუ პინტუ (37), 3:2 ნუნუ გომეში (59)

პორტუგალია: ბაია, აბელ შავიერი, ფერნანდო კოუტუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში, ფიგუ, ვიდიგალი, რუი კოშტა (ბეტუ 85), პაულუ ბენტუ, ჟოაუ პინტუ (სერჟიუ კონსეისაუ 76), ნუნუ გომეში (ნუნუ კაპუშუ 90)

მწვრთნელი: უმბერტუ კოელიუ

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, კემპბელი, ადამსი (კიოუნი 82), ფ. ნევილი, ბექემი, ინსი, სქოულზი, მაკმანამანი (უაიზი 58), შირერი, ოუენი (ჰესკი 46)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: ინსი, ბაია

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

*კარისკენ დარტყმა: 9-4; კარში დარტყმა: 5-3; ჯარიმა: 17-11; კუთხური: 11-6; თამაშგარე: 4-0*


REUTERS

2:0-ის მერე წაგებით ნარწამხდარ ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი კევინ კიგანი და სათადარიგონი

# ცხონდა ფიგუს გამჩენი და შავიერის დალაქი

ვახტანგ ბზიკაძე

ამ მატჩმა არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა გამახსენა. შარშან გაბრიელ-ომარი „ფიორენტინას" თავკაცჯოვანი ტრაპატონის გამოუტყდა, ჩვენს გუნდში რომ დევიდ ბექემი თამაშობდეს, რაც გამაქვს, ერთ იმდენსაც გავიტანდიო. აბა, რა სათქმელია, რომ ბატისტუტამ გატანა იცის, ფეხბურთი იცის და არც გოლის ფასი ეშლება და არც კარგი პასის, კარგი ჩაწოდების ფასი.

ხშირად გაიგებთ, ბექემზე უკეთ საჯარიმოში ბურთს ვერავინ ჰკიდებსო. ზოგნი ამაზე კიდეც კამათობენ, მაგრამ წუხელ განსხვავებული აზრის მქონეთ მცირე ხნით მაინც მოუწევდათ გაჩუმება — სქოულზსაც და მაკმანამანსაც დევიდმა უფრო მოხერხებულად მიაწოდა ბურთი, ვიდრე რომელიმე ხელით გაისწორებდა.

საინფორმაციო სააგენტოებს არაფერი გადმოუციათ იმის თაობაზე, რას ფიქრობს „ბატიგოლი" ლუიშ ფიგუზე, მაგრამ თავს დავდებ, ფიგუს პარტნიორობაზე გინდაც რუი კოშტასთან შეთამაშებული არც ერთი ჭკუათმყოფელი იტყოდა უარს.

ღვთის საყვედური როგორ ვთქვა, მით უმეტეს, პორტუგალია A ჯგუფს სათავეში მოექცა, მაგრამ რა იქნებოდა, ან ლუიშის მშობლები გაეჩინა განგებას, ვთქვათ, პორტუგალიელთა მონათესავე ბრაზილიაში, ანაც თავად ფიგუ. რომელი ევროპა, განა ასეთ ფეხბურთელზე მსოფლიოსჩემპიონობა დაენანება კაცს.

პორტუგალიაში კი (გუშინდელი მოგების მიუხედავად) ფიგუს და კოშტას ოცნებას, ასე მგონია, ასრულება არ უწერია. მეტი რაღა გინდა, გუნდმა 0:2 ამოქაჩა და ისეთი ვარსკვლავთ-გუნდი დაამარცხა, როგორიც ინგლისიაო, იტყვის კაცი. მაგრამ არ ჩანს პორტუგალია, ვთქვათ, საფრანგეთის, ჰოლანდიის, თუნდაც ჩეხეთის უეჭველად მომგები. არაფერს ვამბობ, იქამდე რომ გერმანია და რუმინეთია დასაძლევი.

ინგლისი კი უფრო წააგავს გიგანტებთან შემტოქებელს, რადგან თავადაც გიგანტია. გუშინდელი მატჩის პირველ ოც წუთში ბრიტანული გუნდი კეთილ ჯინს ჰგავდა. ჯინი საჩუქრებს სჩადიოდა, მაგრამ ეშმაკობისა არაფერი ეცხო და ფიგუს გოლმა ბოთლში შეიტყუა, ჟოაუ პინტუსამ კი საცობიც მოარგო.

ალარ გამოუშვეს ჯინი ბოთლიდან. ერთადერთი, რაც იქ ჩამწყვდეულმა შეძლო, კედლებს მიენარცხა, თავი მოიღალა და გაისავათა.

ჩინებული იყო ფიგუს ცხრიანში ჩაჭედილი, ჟოაუ პინტუს ინგლისური თავური, ნუნუ გომეშის გოლიც კლასიკურ იერიშს მოჰყვა — ტონი ადამსის ნამუსზე იყოს. მაგრამ სამჯერ გაიტანა ნუნუ-ბიჭმა და ერთი ხომ მაინც უნდა გამომდგარიყო წესების დაცვით გატანილი.

ინგლისი სტივ მაკმანამანის იძულებითმა (ტრავმა მიიღო) გასვლამ არია. მაკმანამანის შემცვლელი უაიზი კი მინდორზე უფრო საკამათოდ შევიდა, ვიდრე სათამაშოდ. ვერც მაიკლ ოუენის ემილ ჰესკით შეცვლამ გაამართლა. ოუენი ჩვეულად მოვერცხლისწყლო შესაძლოა არ იყო, მაგრამ მეორე გოლისას ბექემს რომ პასი გააყოლა, ისეთი ჰესკის აზრადაც არ მოსვლია.

ინგლისელი შავკაცი ვერც ბურთის მიღებისას ვარგობდა და დარტყმაც ხომ არ უცდია და არა. თუმცა ვინც სცადა, არც მას გაუმართლა — სქოულზის დარტყმულ ბურთს კარში შესვლა არაფრით სურდა.

მეორე ტაიმში პორტუგალიელი მცველებიც უფრო ორგანიზებულად ათამაშდნენ და ფილ ნევილის ფლანგური გარღვევა-ჩაწოდებები შირერის მისამართით უნაყოფოდ აქციეს.

ფიგუს, რუი კოშტას, ნუნუ გომეშის გარდა პორტუგალიელებში აბელ შავიერი გამოირჩა. კიდევ რაღა გამორჩევა უნდოდა, პარიკმახერი უცხონდა, ფორმასთან ასე შეხამებული თმის სალებავი როგორ შეურჩია. შავიერი იერიშებს კიდეც იგერიებდა და წინ წასვლასაც არ ერიდებოდა. სწორედ მისი სითამამე გადაედოთ დანარჩენ მცველებს, რომლებიც ორგზის „ნაყლაპმა" შეცდომამ ვერ გატეხა.

მწვრთნელებზეც ვთქვათ: უმბერტუ კოელიუ უფრო აქტიურად ერეოდა თამაშში, კევინ კიგანი კი... ის იმ მწვრთნელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც თამაშამდე მეტს ლაპარაკობს. ბევრი ფიქრობს ასე, განა საქმეს ლაპარაკი შველის, ყველაფერი ხომ მინდორზე წყდება.

### მატჩის შემდეგ

დასანანი მარცხით გულდალახვრული კევინ კიგანი პრესკონფერენციაზე პირველი გამოცხადდა და საკმაოდ ზომიერი შეფასებები გააკეთა. უპირველესად მან პორტუგალიელები შეაქო თამაშის ამგვარად შემოტრიალებისთვის და შემდეგ განსაკუთრებით ფიგუს მიერ დიდებულად შეგდებული პირველი გოლის მნიშვნელობა გამოკვეთა. „ბრწყინვალედ დავიწყეთ —თქვა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა — მაგრამ შემდეგ იყო ფიგუს ჯადოსნური და სწრაფი პასუხი, რამაც საქმე მნიშვნელოვნად შეცვალა". კიგანს არც თავისიანთა პრინციპული შეცდომა გამორჩენია, როცა ინგლისელები 2:0 იგებდნენ და მარწუხებს მაინც არ მოუჭირეს; თამაში გახსნილად გაგრძელდა და ტექნიკურმა პორტუგალიელებმა ამით უყოყმანოდ ისარგებლეს. „იმათ ჩვენ შუა მოედანზე თავისუფლად თამაშის ნება დავრთეთ — განავითარა კიგანმა ნათქვამი — რაც ჩვენთვის ზიანის მომტანი აღმოჩნდა: პორტუგალიის ნაკრებს ამის უფლება არ უნდა მისცე". დარჩენილ ორ თამაშში ექვსი ქულის აღებაა ჩვენი პროგრამა მინიმუმიო, დაასრულა ინგლისელმა და სიტყვა უმბერტუ კოელიუს გადასცა, რომელმაც მაჟორით დაიწყო და მინორით დაასრულა. „გამარჯვებით აღტაცებული ვარ, რახან ეს ჩვენი ორი წლის მძიმე შრომის ნაყოფია — განაცხადა პორტუგალიელთა მწვრთნელმა — ვფიქრობ, ნაკრებმა მართლაც კარგად ითამაშა. დასაწყისში გაშვებული ორი გოლი მხოლოდ გაფრთხილება გამოდგა და მთავარი რაა თუ იცით? ჩვენი ფსიქოლოგიური დონე საჭირო სიმაღლეზეა. უპირველესად ამით ვარ კმაყოფილი და კიდევ იმით, რომ თითქმის მთელი მატჩის მანძილზე თამაშს ჩვენ ვმართავდით". შემდეგ კოელიუმ ულვაშებიდან ღიმილი ჩამოიშორა და უფრო ალბათ თავისი შეგირდების საყურადღებოდ ეს თქვა: „ჩვენ მხოლოდ ერთი თამაში მოვიგეთ".

### მატჩის სტენოგრამა

3 — მარჯვნიდან ბექემის ჩაწოდებულს სქოულზის თავური და პირველი გოლი მოჰყვა. ბურთი ხარიხას მოხვდა და ბადეში ისე ჩაეშვა — 1:0.

12 — მარჯვნიდან რუი კოშტას ჩაწოდებულს ინგლისელთა მეკარე სიმენი ვერ შესწვდა, მაგრამ ჟოაუ პინტუს თავური უზუსტო გამოდგა.

15 — 25 მეტრიდან რუი კოშტას ძლიერად დარტყმული სიმენმა კუთხურზე გადააგდო.

18 — ისევ შეტევის მარჯვენა ფრთა. ოუენ — ბექემ — მაკმანამანის ლამაზი კომბინაცია — 2:0.

22 — ლუიშ ფიგუს ფანტასტიკური დარტყმა 25 მეტრიდან. ბურთი კარის ცხრიანში გადის — 2:1.

37 — რუი კოშტამ მარჯვნიდან ინგლისელთა საჯარიმოში ჩააწოდა, ჟოაუ პინტუმ კემპბელს დაასწრო და მოჭრილი თავური დარტყმით გაათანაბრა — 2:2. ულამაზესი გოლი.

47 — ფიგუს პასს სიმენმა ალღო ვერ აუღო, მაგრამ ჟოაუ პინტუმ ამით ვერ ისარგებლა.

59 — რუი კოშტამ ინგლისელების საჯარიმოში ნუნუ გომეში მოძებნა, ინგლისელი ადამსი შეტევას ვერ გაუმკლავდა და ნუნუსაც გატანა აღარ გასჭირვებია — 3:2.

78 — გარი ნევილმა აუტიდან ბურთი პორტუგალიელთა საჯარიმოში ჩააგდო. სქოულზის ახლოდან დარტყმული მცველმა მოიგერია.

80 — აუტი ახლა მოპირდაპირე ფრთიდან ფილ ნევილმა ჩააგდო პორტუგალიელთა საჯარიმოს სიღრმეში. ემილ ჰესკიმ თავით უკან შემოაბრუნა ბურთი, რომელსაც ჯერ ადამსი აცდა, მერე კი სქოულზის სუსტი და უზუსტო თავურით შირერის თავსაც წაეხახუნა.



ჟოაუ პინტუმ სოლ კემპბელს (№4) დაასწრო და ანგარიში გაათანაბრა


REUTERS

მაიკლ ოუენი (№10) და აბელ შავიერი

## A ჯგუფი

ლიეჟი
12 ივნისი
21.00 საათი
შლესენი
25 000 (ტევადობა 30 000)

### გერმანია 1:1 რუმინეთი

0:1 მოლდოვანი (5), 1:1 შოლი (27)
გერმანია: კანი, ბაბელი, ლინკე (რემერი 46), ნოვოტნი, შოლი, ჰესლერი (ჰამანი 73), მათეუსი (დაისლერი 77), რინკი, იერემისი, ციგე, ბირჰოფი
მწვრთნელი: ერიხ რიბეკი
რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ (კონტრა 69), ჩებოტარიუ, ფილიპესკუ, გალკა, პოპესკუ, მუნტეანუ, მოლდოვანი (ლუპესკუ 85), ჰაჯი (მუტუ 73), ილიე, ჩივუ
მწვრთნელი: ემერიხ იენეი
გაფრთხილება: ჰაჯი, ილიე
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
*კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 6-8; ჯარიმა: 12-14; კუთხური: 4-8; თამაშგარე: 2-5*

ზურაბ მეძველია
*ლიეჟიდან*



REUTERS ლიეჟიდან

მეჰმეთ შოლის ამ დარტყმის შემდეგ (№7) ანგარიში გათანაბრდა

# დაბოლილი მეტაფორა

## ჯინ, გვაჩვენე ფეხბურთი!

ნუ დაიზარებთ და წარმოთქვით სიტყვა „უზარმაზარი", ოღონდ ასო-ბგერა „უ" დაახლოებით წუთნახევარს უნდა ჟღერდეს. მერე ამ სიტყვას მიაბით სიტყვა „ქარხანა". და მაინც, ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს ლიეჟის „სტანდარდის" სტადიონი. ასეთ რამე-რუმეებში გაუთვითცნობიერებული ვერ გეტყვით, რა პროდუქციას უშვებს ეს ქარხანა — უთოს თუ რეაქტიულ თვითმფრინავს, სამაგიეროდ, გუშინდელი მატჩისას საშუალება მომეცა მეხილა, რომ უშვებს ბოლს. თანაც დიდი რაოდენობით.

კვამლთან ერთად ვუცქერდი გერმანელებისა და რუმინელების საფეხბურთო მატჩს, სადაც მეტოქეებმა ერთმანეთს თითო გოლი გაუტანეს და ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე პირველი ფრე გვაჩუქეს. დამთავრდა მატჩი. როგორც იქნა. დარჩა მხოლოდ კვამლი, რომლის გაფანტვაც მხოლოდ მომავალ მატჩებს ძალუძთ.

გერმანელებზე ამის თქმა ყოველთვის შეიძლება. ხშირად ვერავინ ხვდება, სად, მინდვრის რომელ მონაკვეთზეა ამ გუნდის ძალა დამარხული. არაეფექტურიო, ბებერიო, რას აღარ აკადრებენ, მაგრამ ბოლოს ადგება და ჩემპიონი გახდება. მე კი მაინც გავრისკავ და ვიტყვი — ამ ჩემპიონატზე ეს არ მოხდება. და თუ მაინც გარი ლინეკერისეული აფორიზმი გამართლდა — ფეხბურთს ყველა თამაშობს, ბოლოს კი მაინც გერმანელები იგებენო — ყველაფერს ლიეჟურ კვამლს დავაბრალებ. სწორედ მაგის გამოა, რომ ბევრი რამ ვერ გავიგე.

ვერ გავიგე, რას აკეთებდა გერმანელთა დაცვა პირველი 25 წუთის განმავლობაში. რუმინელთა უმარტივესი კომბინაცია — მცველთა ზურგს უკან ბურთის ჩაკიდება — ორიდან ერთ მომენტში ამართლებდა. და ეს იმ დროს, როცა ანგარიში უკვე 1:0 იყო: თომას ლინკეს შეცდომით ილიემ ისარგებლა და მეწყვილე მოლდოვანს ბურთი ლამის ლამბაქით მიართვა. ეს ორნი ოდნავ იღბლიანები რომ ყოფილიყვნენ, საქმეს მალევე მოათავებდნენ, მაგრამ ჩავარდნილ და დაბნეულ სამკაციან დაცვას უეცარი მშველელი — ოლივერ კანი — მოევლინა. იმ მონაკვეთში ნაღდი ლიბერო სწორედ მეკარე გახლდათ.

გერმანელების ბედი, რომ ბუნდესნაკრების ოცწლიანმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ყველაზე ადრე კალაპოტში ლოთარ მათეუსი ჩადგა. აქ მოგვიანებით მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულმა მეჰმეთ შოლმაც გაისროლა და ქულის პერსპექტივაც გამოიკვეთა.

შესვენებაზე ერიხ რიბეკმა შემცდარი ლინკე მარკო რემერით შეცვალა. ესაც ცდებოდა, მაგრამ კოლეგისგან განსხვავებით საბედისწერო არცერთი გამომდგარა, თუმცა რემერი რა მოსატანია -- აკეთებდა და ცდებოდა. აი, დაცვითი სამუშაოსგან თავისუფალი კრისტიან ციგე რას აკეთებდა, ძნელი სათქმელია. სამაგიეროდ, ბაბელმა გადათოხნა მარჯვენა ფრთა, მაგრამ ხეირი არც ამას მოუტანია.

მოკლედ, აკეთებდა... მუშაობდა... გადათოხნა... დაჰკარ, დაჰკარ! ეს არც იუბილარ თომას ჰესლერს (ნაკრებში მეასედ თამაშობდა) უთაკილია და ცხადია, არც ამაზე ერთნახევარჯერ გამოცდილ მათეუსს, მაგრამ მთლიან სამუშაო დღეს ესენი ველარ ძლებენ და რად გინდა.

კვამლის მეორე მხარეს გეორგე ჰაჯი დადიოდა. დიახ, დადიოდა და, სანამ მეტოქე საშუალებას აძლევდა, პასებსაც აკეთებდა, მერე კი გერმანელებმა მისი შებოჭვა მოახერხეს (არ დავუკარგავ) და მანაც დანიელ მსაჯთან ხელების შლას უხშირა. ყვითელი ნილსენმა არ დაიშურა (ისევე როგორც ილიესთვის), ერთ მომენტში კი ისეთი დაუცაცხანა „კარპატელ მარადონას", ამან თამაშის ხალისი მთლად დაკარგა.

სულ ეს იყო. ვიმეორებ, ქარხნისა და კვამლის ფონზე დანახული.

ისე, კვამლიდან ხანდახან ჯინი გამოდისო, ამბობენ.

ქარხანა კი გასაიდუმლოებულიც არსებობს.

ამ ქვეყანაზე ყველაფერი ხდება. მით უმეტეს, ფეხბურთში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუგალია** | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| **გერმანია** | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| **რუმინეთი** | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| **ინგლისი** | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |

*მეორე ტური: 17.06. რუმინეთი — პორტუგალია; ინგლისი — გერმანია*

### მატჩის შემდეგ

ლიეჟის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილ მწერალ ჟურნალისტებს თავშესაქცევად ერთხანს ტელევიზორი ედგათ, სადაც მიკროფონიანი კოლეგა მისთვის გამოყოფილი 5-10 წუთის განმავლობაში გერმანელთა მწვრთნელს ერიხ რიბეკს წურავდა.

ერთი ხნის შემდეგ ოთახში მავანმა რუმინელმა შემოყო თავი და თანამემამულენი სადღაც გაიხმო, ჩვენს მწვრთნელს ცალკე დაველაპარაკოთო. თქვენმა მონა-მორჩილმა გერმანელთა გარემოცვაში დარჩენა ვამჯობინე და...

— გეგმა სხვანაირი მქონდა, სულ არ ველოდი, თუ გოლს გავუშვებდით, მით უფრო, პირველს და ანგარიშის გასათანაბრებლად გაგვიხდებოდა საქმე — ბრძანა რიბეკმა — შემდეგ რალა გაეწყობოდა, რომ გავქვითეთ, კმაყოფილი იმით დავრჩი.

— გოლებს შორის მონაკვეთში ცუდად არ გვითამაშია. მომენტებიც შევქმენით...

— აქტიურად ვერ შევუტიეთ და მეტოქის კარი ვერ დავაწიოკეთ, რადგან ფრთებზე კარგად ვერ ვითამაშეთ.

— მათეუსს არაფერს ვაბრალებ. ის ჩვეულებრივად ითამაშა. გოლი მისი შეცდომის გამო არ გაგვიშვია, სხვა ფეხბურთელი შეცდა, მაგრამ არავის ხსენება არ მსურს. სამწუხაროდ, დაცვის სისუსტე უნდა ვაღიარო. ეს ნერვიულობის ბრალი იყო, ბურთს იოლად ვკარგავდით...

— კარგია, როდესაც მოედანზე თერთმეტი ფეხბურთელი კარგ ფორმაში გყავს. ჩვენ ფიზიკურად მოვისუსტეთ და ეს აშკარად გამოჩნდა. ანგარიშის გასათანაბრებლად ბევრი კი ვიბრძოლეთ, მაგრამ ეს დრო არ კმარა, ასე 90 წუთს უნდა ვთამაშობდეთ. ახლა, მეორე თამაშამდე რამდენიმე დღე გვაქვს და შევეცდებით, ნაკლი გამოვასწოროთ...

— მეტოქეზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ პირველ ტაიმში ჰაჯის თამაშის საშუალება მივეცით და მანაც მოახერხა მომენტების შექმნა, მაგრამ შესვენების შემდეგ, თუ გახსოვთ, რუმინელთა შეტევას სიმწვავე მოაკლდა.

შემდეგ ოთახში უეფას მიერ (ემე ჟაკეს და ანგელ იორდანესკუს შეფასებით) მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული **მეჰმეთ შოლი** შემოვიდა, ჯილდო მიიღო და ცოტა ხნით შეყოვნდა.

— ძირითადად კარგად ვითამაშეთ, ბურთი ჩვენი იყო, მაგრამ ხშირი წვრილმანი შეცდომების გამო ვერ გავიმარჯვეთ...

— კმაყოფილი როგორ დავრჩებოდი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ იღბალს მეტოქისთვის რომ გაეღიმა, ის გაიმარჯვებდა, ჩვენთვის რომ გაეღიმა, ჩვენ გავიმარჯვებდით...

— ახლა უნდა დავსხდეთ და დავფიქრდეთ შეცდომების მიზეზებზე, თორემ წინ ინგლისთან გველის შეხვედრა. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ რუმინეთი თეორიულად ჯგუფში ყველაზე სუსტი გუნდია.

**გეორგე ჰაჯი** გერმანიასთან მშვიდობიანი გაყრით უკმაყოფილო დარჩა: „თამაში მშვენივრად დავიწყეთ, საწყენია, რომ ჩვენი ერთადერთი შეცდომის საზღაურად გოლი მივიღეთ, ჩვენ კიდევ ქვეყნის საგოლე მომენტები გვქონდა, მეორე ტაიმში მაინც, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლდოვანმა ველარ ივარგა. რაც იყო, იყო, ახლა კი პორტუგალიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ, ამის დიდი იმედი გვაქვს. პორტუგალიელებთან თამაში ძალიან მნიშვნელოვანია".



REUTERS ლიეჟიდან

გერმანელმა კრისტიან ციგემ რუმინელი კოზმინ კონტრას (№22) კონტრშეტევა ასე შეაჩერა

### მატჩის სტენოგრამა

5 — ილიემ ლინკეს შეცდომით ისარგებლა, მარცხენა ფრთიდან გერმანელების კარის გასწვრივ ჩაანოდა, იქ მოლდოვანმა ყველას დაასწრო და 1:0.

18 — ჰაჯის, ილიესა და მოლდოვანის კომბინაცია ამ უკანასკნელის სახიფათო თავური დარტყმით დამთავრდა. ბურთი კარს ასცდა.

24 — კუთხურს ბირჰოფმა თავი დაუხვედრა. სტელიამ ჩინებული რეაქცია გამოავლინა და ბურთი მარჯვენა ხელით მოიგერია.

28 — ბაბელის, რინკის ადა შოლის მრავალსვლიანი კომბინაცია შოლის ეფექტური დარტყმით დამთავრდა. ბურთი რუმინელთა კარის მარცხენა მაღალ კუთხეში შევარდა — 1:1.

41 — ჰაჯი და ილიე პენალტს ითხოვდნენ და ყვითელი ბარათები მიიღეს.

45 — პოპესკუმ დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა. ბურთი ოდნავ ასცდა კანის კარს.

49 — მოლდოვანმა გერმანელების საჯარიმოში რემერს ბრძოლა მოუგო და დარტყმაც მოახერხა, კანმა გაჭირვებით გადააგდო ბურთი კუთხურზე.

51 —რუმინელების საჯარიმოში, მაღალ ბურთზე ბირჰოფმა პოპესკუს დაასწრო და რა თქმა უნდა, თავური დაჰკრა. ბურთი სულ ოდნავ ასცდა მეტოქის კარს.

68 —ილიე დიდი სისწრაფით დაიძრა გერმანელების საჯარიმოსკენ, კანი გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ იქვე მყოფი მოლდოვანის დარტყმა მათეუსმა მოიგერია. მოლდოვანის მეორე დარტყმა, ფაქტობრივად, ცარიელ კარს ასცდა.

## B ჯგუფი

ბრიუსელი
10 ივნისი
23.45 საათი
მეფე ბოდუენი
48 000 (ტევადობა 50 000)

### ბელგია 2:1 შვედეთი

1:0 გოორი (43), 2:0 მპენზა (46), 2:1 მიალბი (54)
ბელგია: დე ვილდე, დეფლანდრე, სტალენსი, ვალგაერენი, ლეონარი (ვან კერკჰოვენი 72), ვერჰეენი (პეეტერსი 88), ვილმოტსი, ვანდერჰეიგი, გოორი, შტრუპარი (ნილისი 69), ე. მპენზა
მწვრთნელი: რობერ ვასეჟი
შვედეთი: ჰედმანი, ნილსონი (ლუკიჩი 46), პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, მელბერგი, ალექსანდერსონი, დ. ანდერსონი (ოსმანოვსკი 70), მიალბი, ლიუნგბერგი, კ. ანდერსონი, პეტერსონი (ლარსონი 50)
მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი
გაფრთხილება: პ. ანდერსონი, ვერჰეენი, ნილისი, ვან კერკჰოვენი
გაძევება: პ. ანდერსონი (81)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
*კარისკენ დარტყმა: 10-4; კარში დარტყმა: 4-6; ჯარიმა: 25-24; კუთხური: 3-8; თამაშგარე: 5-7*

# ოლეობა



ზურაბ მექველია
*ბრიუსელიდან*

„კამპეონე, კამპეონე, ოლე, ოლე, ოლე!" — ეს სიმღერა უძღოდა ევრო 2000-ის პირველ მატჩს. ჩასტვინა მარკუს მერკმა საფინალო და კვლავ იგივე მელოდიამ მოიცვა „მეფე ბოდუენი". თავად თამაშიც ასეთი გახლდათ: თავში და ბოლოში მხიარული, თუმცა შედეგი, ჩემპიონატის თანამასპინძლები ასე რომ გაახარა, სრულიად შემთხვევითმა მომენტებმა განაპირობა. ეს თავად გამარჯვებულთა მწვრთნელმაც აღიარა.

პირველი სახიფათო სიტუაცია მერვე წამზე (!) შეიქმნა, როცა კენეტ ანდერსონის დარტყმული მეკარემ აიღო. ამას შვედთა სხვა შეტევებიც მოჰყვა, მასპინძლები კი სადღაც 12-13 წუთშიღა დალაგდნენ და კაპიტან სტალენსსა და მის დამზღვევებს მეტად აღარ გასჭირვებიათ.

43-ე წუთი იდგა, როცა ამ მატჩის და ამ შეჯიბრების პირველი გოლი გავიდა. ცხადია, შემთხვევით — გამოცდილი რონალდ ნილსონი, ვინც პატრიკ ანდერსონთან, იოაკიმ ბიორკლუნდთან და კენეტ ანდერსონთან ერთად ევროპის ჩემპიონატის გახსნის მატჩში მეორედ მონაწილეობდა (პირველად 1992 წელს ფრანგებთან), მარტივ სიტუაციაში შეცდა, რისთვისაც ორმაგად დაისაჯა: ბარტ გოორთან შეჯახებაში ტვინის შერყევა მიიღო, ორიოდ წამში კი იმავე გოორის დარტყმული ბურთი შვედთა კარში აღმოჩნდა. ოლე, ოლე — ტრიბუნების წითელი ნაწილი მეორე ტაიმის დაწყებამდე ხარობდა.

განახლებიდან ნახევარ წუთში კი სამიდან ყველაზე ლოგიკური გოლი გავიდა, თუ, ცხადია, ლოგიკურად ჩავთვლით, რომ დანამდვილებით ვერავინ ამბობს, მოხვდა თუ არა ბურთი ხელზე ემილ მპენზას. ამას რომ თავი ვანებოთ, ამ გოლის დანარჩენი ატრიბუტები უნაკლო გამოდგა — მანამდე არაფრისმაქნისი შტრუპარის ერთშეხებიანი პასიც და თავად მპენზას დარტყმულიც. ოლე, ოლე!

შემდეგ ჟრიამულამდე ოდენ შვიდი წუთი გავიდა. მასპინძელთა მეკარე დე ვილდემ ბურთზე ფეხი უშნოდ დააბიჯა და იოჰან მიალბიმ ცარიელ კარში შეაგდო, თუმცა ესაც რაღაც მოუქნელად გააკეთა — დარტყმისას დავარდა და ძელს შეეჯახა. სტადიონის დი-ჯეიმ სტუმართმასპინძლობა არ დაივიწყა და ტრიბუნების ყვითელი ნაწილისთვისაც გაიმეტა „კამპეონე..."

ამის მერე თამაშიც გაჩაღდა. არა, სოლიდური, „კამპეონესთვის" შესაფერი გუნდებს არაფერი უჩვენებიათ. ეს იყო მხიარული, თუმც ათასგვარი შეცდომებითა და კურიოზებით გაჯერებული თამაში. საქმე იქამდეც მივიდა, 89-ე წუთზე ბელგიელი გერტ ვერჰეიენი კარგა ხანს ანიშნებდა მსაჯს, ნატკენი მოვირჩინე და მოედანზე შემომიშვიო. არადა, უკვე შეცვლილი გახლდათ.

დროის სწორედ იმ მონაკვეთში ბელგიელებს სხვაობის გაზრდა არაერთხელ შეეძლოთ, მით უმეტეს, შემცვლელებად შესული ნილისი და ვან კერკჰოვენი უცბად ჩაებნენ თამაშში და შვედებს აგრძნობინეს, რომ შტურმის საშუალებას არ მისცემდნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ემილ მპენზას, მატჩის საუკეთესო მოთამაშეს, 90 წუთი უკიდურეს დაძაბულობაში ჰყავდა ბიორკლუნდი და მისი კოლეგები, ცხადი გახდება, თუ რატომ ვერ გაათანაბრეს შვედებმა. ამათ, დიდი-დიდი, მორიგი შემთხვევითობა თუ უშველიდათ, მაგრამ ერთი მატჩისთვის ამდენი გაუგებრობა ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა.

მოკლედ, ბელგიელებმა მოიგეს, მაგრამ იტალიელებთანაც რომ ასე აღარ გაუმართლებთ, რობერ ვასეჟმაც კარგად იცის და ოთხშაბათამდე ტვინის ჭყლეტას აპირებს. მასზე ორმაგი საფიქრალი შვედთა ორ მწვრთნელს გაჩენია — ქულათა შემატების ნაცვლად დაზარალებული ნილსონისა და გაძევებული პატრიკ ანდერსონის სახით შემადგენლობაში დანაკლისი მიიღეს. ასე რომ, „საოლეოდ" აღარავის სცალია.

...„კამპეონესი" კი ამათ არაფერი სცხიათ.

### მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაც მატჩის დარად წარიმართა. უფრო სწორად, უჩვეულოდ დამთავრდა — რობერ ვასეჟზე რატომღაც განაწყენებულმა მავანმა ბულგარელმა ჟურნალისტმა კითხვების დასმა არავის აცალა და ბელგიელთა პრეს-ატაშეც იძულებული გახდა ჩვენი შეხვედრა გამარჯვებულთა მწვრთნელთან დროზე ადრე დაემთავრებინა. კიდევ კარგი, სტოიჩკოვის თანამემამულემ და თანამეხასიათემ შვედთა მწვრთნელთან გასაუბრება გვაცალა.

ლარს ლაგერბეკმა ჯერ მეტოქეს მიულოცა გამარჯვება, მერე კი საკუთარი გუნდის დამარცხების მიზეზების ახსნას შეეცადა: თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე თამაში აგვერია. ასე უცბად, თამაშის დამთავრებიდან რამდენიმე წუთში, ბევრს ვერაფერს აგიხსნით. ერთი ეგაა — ტაიმის ბოლოს და ტაიმის დასაწყისში გაშვებული გოლები ყოველთვის ფსიქოლოგიურად მოქმედებს. თან, რატომღაც, ჩვენი გუნდი თანდათანობით გაიწელა და ხაზებს შორის, პირველ რიგში დაცვასა და ნახევარდაცვას შორის, უდიდესი ნაპრალი გაჩნდა. მოკლედ, დავმარცხდით, თუმცა შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი არ დაგვიკარგავს.

იქნებ სჯობდა, რომ წააგეთ, აწი უფრო მობილიზებულები იქნებით — პირველი შეკითხვა შვედ ჟურნალისტს ერგო.

კარგი კითხვაა — უპასუხა აგერბეკმა — ხანდახან მართლაც ასეა. ახლა შემდეგი 24 საათი დავისვენებთ, მერე კი მომდევნო თამაშისთვის მოვემზადებით.

— რატომ თავიდანვე არ ათამაშეთ ჰენრიკ ლარსონი?

— იცით, გუნდში 22 კაცი მყავს და სასტარტო შემადგენლობაში ყველას ვერ დავაყენებ.

— მოხვდა ბურთი ხელზე მპენზას?

— ჩემი ადგილიდან ეს მომენტი კარგად არ ჩანდა. ფეხბურთელებმა კი მითხრეს, ხელი იყოო, მაგრამ ამას ფეხბურთის ისტორიის წიგნისთვის მნიშვნელობა არა აქვს — იქ ბელგიელთა 2:1 ჩაიწერება.

აქ შვედი ბელგიელმა კოლეგამ შეცვალა და სანამ ზემოხსენებული ბულგარელი პაემანს ჩაგვიშლიდა, ამის თქმა მოასწრო: ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ, თუმცა სულ სხვაგვარად ვითამაშეთ, ვიდრე ჩავიფიქრეთ. სიმართლე გითხრათ, ორივე გოლის გატანისას ბედმა გაგვილიმა. შეცდომა მართლაც უამრავი დავუშვით — პირველი თამაში ხომ ყოველთვის ნერვების თამაშია.



ბელგიელთა მეკრის ფილიპ დე ვილდეს ხელი ბურთის ნაცვლად შვედ კენეტ ანდერსონს მოხვდა

## B ჯგუფი

არნემი
11 ივნისი
17.30 საათი
ჟელ რედომი
28 000 (ტევადობა 30 000)

### თურქეთი 1:2 იტალია

0:1 კონტე (52), 1:1 ოკანი (61), 1:2 ინძაგი (70პ)
თურქეთი: რუშთუ, ალფაი, ოგიუნი, ფატიჰი, სერგენი (არიფი 81), ოკანი (ერგუნი 89), ტაიფური, აბდულა, ტაიფუნი, უმითი (თუგაი 76), ჰაქან შუქური
მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
იტალია: ტოლდო, კანავარო, მალდინი, ნესტა, ფიორე (დელ პიერო 75), ძამბროტა, პესოტო (იულიანო 63), ალბერტინი, კონტე, ინძაგი, ტოტი (დი ლივიო 83)
მწვრთნელი: დინო ძოფი
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
*კარისკენ დარტყმა: 4-8; კარში დარტყმა: 6-11; ჯარიმა: 10-10; კუთხური: 7-8; თამაშგარე: 2-2*

# დალასის საჩუქარი

პაატა კვანტალიანი

ჩემი შესაბრალი რა სჭირს სინიორ დინო ძოფს, მაგრამ შემეცოდა იტალიელთა თავკაცი. მეორე ნახევრის პირველივე წუთზე, ტირილს ცოტაღა უკლდა — თვალებში შიშჩამდგარს ნიკაპი უკანკალებდა. მთავარი მწვრთნელის განწყობა იმ წუთებში მის შეგირდებსაც გადასდებოდათ. მორღვეული შუა ხაზი, არაზუსტი გადაცემები და დაშლის პირას მისული დაცვა — ასეთი ჩანდა იტალიის ნაკრები პირველი ნახევრის უმეტეს ნაწილში და მეორე ტაიმის დასაწყისში. არადა, მატჩის დებიუტი ფავორიტებს ცუდს არას უქადდა. შოტლანდიელი ჰიუ დალასის სასტარტო სასტვენმა ორი განსხვავებული სტილისა და რანგის გუნდი შეჰყარა ერთმანეთს. თურქებმა სახელოვან მეტოქესთან ჭიდილში სიფრთხილე გამოიჩინეს — ხუთი მცველით, ოთხი ნახევარმცველითა და ერთი თავდამსხმელით (ჰაქან შუქური) დაუპირისპირდნენ მეტოქეს, იტალიელებმა კი ძველ, ნაცად კატენაჩოს უგანეს და 3-5-2 სისტემით ირჩიეს თამაში.

ერთი შეხედვით, ძოფის ამგვარი ტაქტიკა გამართლებული ჩანდა, რადგან იმ დონის ვარსკვლავებს, მალდინი, ნესტა და კანავარო რომ არიან, შუქურსა და ოდნავ წინ წაწეულ სერგენთან გამკლავება არ უნდა გასჭირვებოდათ. იტალიელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და თურქები საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს, მაგრამ თეთრ-ლურჯები საჯარიმოს მისადგომებამდე ყველაფერს ჩინებულად აკეთებდნენ, იქ კი მეტოქე მცველთაგან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და ერთადერთი, რასაც გამორჩნენ, ხუთწუთეულში მოწოდებული ოთხი კუთხური იყო. პირველი საგოლე მომენტი მათმა მოწინააღმდეგემ შექმნა. კონტრშეტევისას სერგენმა საჯარიმოს ხაზის სიახლოვეს მიიღო ბურთი და მოჭრილი დარტყმით მალდინისა და ნესტას შორის ეფექტურად გააძვრინა. ტოლდო უძლური იყო ამ ეპიზოდში, მაგრამ, იტალიელთა საბედნიეროდ, ბურთმა ახლოსლა ჩაუარა მეკარისგან მარცხენა ძელს. სამი-ოთხი წუთის შემდეგ ინძაგის შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა კონტეს ჩაწოდებულს ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა ვერაფერი მოუხერხა. ეს იყო და იტალიელებიც დაცხრნენ, თამაშის ტემპი დაეცა. ამან თურქებს ხელ-ფეხი გაუხსნა და ტაიმის დარჩენილი დრო (25 წუთი) მათი ტერიტორიული უპირატესობით გაილია. ეს იყო ყველაზე ცუდი მონაკვეთი იტალიელთათვის ამ მატჩში. „სკუადრა აძურას" სათამაშო რგოლებს შორის კავშირი მოირღვა, მალდინი ძირითადად ბურთის შეძლებისდაგვარად შორს მოგერიებით იყო დაკავებული, მარცხენა ფრთაზე ძამბროტა აბდულასთან ჭიდილს გადაჰყვა, ინერტული ტოტი მხოლოდ იმას ახერხებდა, იშვიათი შეტევებისას დაჯარიმებულიყო, ფილიპო ინძაგის კი, ვგონებ, ინტერტოტოს თასის გათამაშების რომელიღაცა წრის არაფრისმთქმელ მატჩში ეგონა თავი...

ძოფი კონტემ დააწყნარა — მეორე ნახევრის მეშვიდე წუთი ილეოდა, როცა იტალიელებმა მარცხენა ფრთაზე ლამაზი კონტრშეტევა საჯარიმოში ჩაწოდებით დაასრულეს, იქ კი მცველის მოგერიებულ ბურთს კონტემ მაკრატელათი რუშთუს კარში მიუჩინა ადგილი. გოლიდან სამ წუთში ძამბროტამაც დაანება თავი აბდულასთან არაფრისმომცემ ჭიდილს და ოციოდე მეტრიდან მოხდენილად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარის მიმართულებით, თუმც ოდნავ ააცილა. გავიდა ორი წუთი და თურქები ერთხელაც გადარჩნენ — ალბერტინის ფლანგური ჩაწოდებისას რუშთუ გამოსვლაზე შეცდა, ტოტის თავური ძელმა უკუაგდო, ინძაგის დამატებულზე კი ოგიუნმა იმარჯვა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. იტალიის ნაკრები თავის თავს დაემსგავსა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ უპირატესობას კიდევ უფრო გაზრდიდა, მაგრამ... უეჭველია, ოკანს თავისი ქვეყნის საფეხბურთო ისტორია კუთვნილ ადგილს მიუჩენს, მან თურქთაგან პირველმა გაიტანა გოლი ევროპის ჩემპიონატებზე. 61-ე წუთიდან იტალიელებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ — სერგენის საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ ტოლდომ და მისმა თანაგუნდელებმა ოკანის თავურს ვერაფერი მოუხერხეს.

„სკუადრა აძურას" საკმაო დრო რჩებოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად და გააფთრებულ შეტევაზე გადავიდა. ოგიუნმა ერთხელაც გამოასწორა რუშთუს შეცდომა და ინძაგის დარტყმული უკუაგდო. ბურთს ისევ იტალიელები დაეუფლნენ, საჯარიმოში ოგიუნთან შეყრილი ინძაგი დაეცა და ჰიუ დალასის სასტვენის ხმა საეჭვოდ გაისმა. პენალტი! ამ ეპიზოდმა ბევრს, ალბათ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის იტალია — ჩილეს მატჩი გაახსენა. მაშინაც ტურნირის პირველ შეხვედრას ატარებდნენ იტალიელები და მსაჯის დანიშნული საეჭვო თერთმეტმეტრიანით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. დალასის საჩუქარი პიპო-ფილიპომ შეირგო. რუშთუმ კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი ვერ მოიხელთა.

მერე კი იყო ფიორეს სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენასავით მოულოდნელი ცვლილება — ძოფმა ნახევარმცველს მესამე თავდამსხმელი — დელ პიერო შეუნაცვლა. „იუვენტუსის" ვარსკვლავი რომ გაცილებით ადრე იყო შესაყვანი, ეს მის მიერ დიდებულად ჩატარებულმა თხუთმეტწუთეულმაც ცხადყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| **იტალია** | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| **თურქეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| **შვედეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

*მეორე ტური: 14.06. იტალია — ბელგია; 15.06. შვედეთი — თურქეთი*



REUTERS არნემიდან

თურქი ტაიფუნი (№11) იტალიელი პესოტოს შეჩერებას ცდილობს

### მატჩის შემდეგ

დინო ძოფი: ჯამში ურიგოდ არ გვითამაშია. გავიტანეთ ორი გოლი და თითქმის ყველა კომპონენტში კარგად გამოვიყურებოდით. ეს მოგება არაფერს ნიშნავს, მაგრამ თავისთავად სასიამოვნოა, რომ წარმატებული დებიუტი გამოგვივიდა. წინ დიდი ბრძოლები გველის. მთავარია, კონცენტრაცია არ დავკარგოთ. ვგონებ, ხუთი ნახევარმცველით თამაშმა გაამართლა და მომდევნო მატჩებშიც ამ ტაქტიკას ავირჩევთ.

მუსტაფა დენიზლი: მადლობა ბიჭებს, მათ თავი დადეს, მაგრამ არ გაუმართლათ, დაიჩაგრნენ. სათადარიგოთა სკამიდან საკამათო ეპიზოდი ცუდად ჩანდა, მაგრამ, მგონი წესები არ დარღვეულა.

## D ჯგუფი

ბრიუგე
11 ივნისი
21.00 საათი
ჟან ბრეიდელი
29 000 (ტევადობა 30 000)

### საფრანგეთი 3:0 დანია

1:0 ბლანი (16), 2:0 ანრი (64), 3:0 ვილტორდი (90)
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, დესაი, ბლანი, ლიზარაზუ, პეტი, დეშამპი, ჯორკაეფი (ვიეირა 58), ზიდანი, ანრი, ანელკა (ვილტორდი 81)
მწვრთნელი: როჟე ლემერი
დანია: შმაიხელი, შონბერგი, ჰენრიკსენი, ჰაინცე, კოლდინგი, ა. ნილსენი, ტოფტინგი (გრავესენი 72), ბისგაარდი (იორგენსენი 72), გრონკიაერი, ტომასონი (ბეკი 79), სანდი
მწვრთნელი: ბო იოჰანსონი
გაფრთხილება: შონბერგი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
*კარისკენ დარტყმა: 7-1; კარში დარტყმა: 6-6; ჯარიმა: 9-11; კუთხური: 5-9; თამაშგარე: 8-0*

# ბოიკოტი ლემერს...

ილია ბაბუნაშვილი

*ბრიუგედან*



თავდაჯერებულია. ეს აზრი აუცილებლად გაგიჩნდებოდათ ბრიუგეს „ბრეიდელზე“ სალამოს პირს, საკმაოდ გრილ კვირა დღეს, 11 ივნისს, გასახდელიდან მატჩის წინ გასახურებლად გამოსული ფაბიენ ბარტეზი რომ გენახათ. სირბილის მანერა, მიხრა-მოხრა, გულშემატკივართან მისალმება და თავად ვარჯიშიც კი ამ ადამიანის განწყობილებას გამოხატავდა.

იქვე იყვნენ მისი თანაგუნდელებიც. ადამიანები, რომლებიც ასეთი რანგის მატჩებთან გაშინაურებას ასხივებდნენ. მოედნის მეორე ბოლოში კი ჩვეულებრივად ავარჯიშებდნენ სხეულს მონდომებული დანიელები.

შემდეგ თამაში დაიწყო და თავდაჯერებულმა ფრანგებმა კინალამ გოლი გაუშვეს. საერთოდაც, პირველ წუთებში ისინი თითქოს ნელა მოძრაობდნენ, წინ წასულნი უკან დაბრუნებას აგვიანებდნენ და იმხანად სწრაფ ჩრდილოელებს მათ დაცვაში ზონების გახსნის საშუალებას აძლევდნენ. მაგრამ გოლი არ გასულა. თავდაჯერებაც არ დასჭირდათ და მსოფლიოს ჩემპიონებმაც თანდათან აუღეს ვითარებას ალღო.

ფრანგთა ლიდერი, ზინედინ ზიდანი ბურთს პირველად მეოთხე წუთზე შეეხო, შემდეგ კი მეტად და მეტად დაეტყო თამაშს, თუმცა კაცმა რომ თქვას, ეს მისი საუკეთესო შეხვედრა არ გახლდათ. ფეხბურთელს, რომელიც ჩინებული პასების გარდა იმით გამოირჩევა, რომ ბურთს არ კარგავს — მისგან იგი მოწინააღმდეგეს იშვიათად მისდის — ევრო 2000-ის პირველ მატჩში წუნი ჩვეულზე მეტი ჰქონდა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მიიღებდა თუ არა ზიდანი ბურთს, ორი მეურვე წამსვე ამოეზრდებოდა მიწიდან.

და მაინც, სწორედ ზიდანი იყო ის კაცი, ვინც პირველ ტაიმში ნიკოლა ანელკა შეიყვანა მკარესთან პირისპირ: ანელკამ, მართალია პიტერ შმაიხელი ჩამოიტოვა, მგარამ დარტყმაც ვერ შეასრულა ხეირიანად და ტიერი ანრისთვის პასის გადაწოდების მომენტიც გაუშვა.

შესვენების შემდეგაც ზიდანის პასით აღმოჩნდა ანრი შმაიხელის ვიზავი. ანელკასგან განსხვავებით, იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე ანრიმ შანსი ხელიდან გაუშვა.

მაგრამ ეს უკვე მეორე გოლი გახლდათ: პირველი ნახევრის მე-16 წუთზე კი ლორან ბლანმა ანგარიში გახსნა. თამაშის მიწურულს ფრანგებმა მესამეც შეაგდეს.

რით იყო მეორე ტაიმი პირველისგან განსხვავებული? უპირველესად იმით, რომ შესვენების შემდეგ ლურჯებმა აქცენტი დაცვაზე გააკეთეს და... ორი გოლი გაიტანეს. ასე განსაჯეთ, როჟე ლემერმა იური ჯორკაეფიც კი შეცვალა და მის ნაცვლად პატრიკ ვიეირა შეიყვანა მოედანზე. ჯორკაეფს, მართალია ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტავს, მაგრამ თავდასხმაზე ორიენტირებული ფეხბურთელია, რომლის გასვლის შემდეგ შეტევის წამომწყებად ზიდანიღა დარჩა.



REUTERS ბრიუგედან

ფრანგ ტიერი ანრის (№12) დანიელმა მიხაელ შიონბერგმა მეორე გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა

და აი, აქ მივადექით დანიას. პიტერ შმაიხელის დაუსრულებელი შეძახილების მიუხედავად, ევროპის 1992 წლის ჩემპიონი დაშლილი და დაზაფრული ჩანდა. თავდამსხმელები, ებე სანდი და იონ დალ ტომასონი უსუსურად დარბოდნენ ფრანგთა საჯარიმოსთან, სადაც პოსტლაუდრუპულ ეპოქაში ხეირიან პასს ვერავინ აწვდიდა. ხოლო ყველაზე აქტიურმა, იესპერ გრონკიაერმა ცხოვრების მიზნად მაინც და მაინც ლილიან ტურამის მოტყუება და ბურთის შემდეგ ჩაწოდება დაისახა, რაც მისი დაუშრეტავი ენერგიის ფუჭად ხარჯვა გამოდგა და მეტი არაფერი.

საბოლოოდ, საფრანგეთმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა შთამბეჭდავად, მაგრამ გუნდთან, რომელმაც მარწუხები ვერ მოუჭირა, ზიდანს გზები ვერ გადაუკეტა და თამაშის ცენტრი მეტოქის ნახევარზე ვერ გადაიტანა. არადა, თეორიულად ამის საშუალება თითქოს იყო.

ერთი სიტყვით, ეს იყო პირველი თამაში, სიტყვა პირველის [illegible] შენელობით, მაგრამ წესი ერთია, თუ გამარჯვება გინდა, მეორე პირველს უნდა სჯობდეს. მესამე კი მეორეს, ვნახოთ, შემდეგ ტურში ფრანგები ჩეხებს ხვდებიან, დანიელები კი ჰოლანდიელებს.

### მატჩის შემდეგ

**როჟე ლემერი:** „როცა დანიის დარ გუნდს ასეთი ანგარიშით ამარცხებ, შეუძლებელია, კმაყოფილი არ იყო. ვფიქრობ, მეტოქეს უკეთესადაც შეეძლო თამაში. მატჩის დასაწყისში მათ პრობლემები შეგვიქმნეს. მაგრამ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ, რაც მაღალი კლასითაც დავამტკიცეთ“.

**ბო იოჰანსონი:** „ფეხბურთელებს მონდომება არ დაუკლიათ. მატჩი კარგად დავიწყეთ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შევქმენით. ვფიქრობდი, რომ კონტრშეტევებით გავიდოდით ფონს, მაგრამ არ გაგვიმართლა — ფრანგებმა ჩვენივე იარაღი გამოიყენეს და გვაჯობეს კიდეც. ანელკამ და ანრიმ დიდებულად ითამაშეს. საქმე მხოლოდ მათ სისწრაფეში როდია, ტექნიკაც უზადო აქვთ. ხოლო ზიდანი... შეუძლებელია, მისით არ აღფრთოვანდე.

... მდგომარეობა გაგვირთულდა. ჯგუფიდან გასვლა თუ გვსურს, დარჩენილი ორივე თამაში უნდა მოვიგოთ. ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელია, მაგრამ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს“.

**პიტერ შმაიხელი:** „მატჩის დასაწყისშივე ბარტეზის შეცდომით ვერ ვისარგებლეთ, მერე კი ლორან ბლანმა გაგვიტანა. ვფიქრობ, მატჩის ბედიც ამ დროს გადაწყდა თუმცა 0:3 წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით“.

**ზინედინ ზიდანი:** „კარგია, რომ თავიდან დანიელებმა შეგვიტიეს. ამან გამოგვაფხიზლა. ანრიმ და ანელკამ ძალიან კარგად ითამაშეს. მათი პასებით მომარაგება არ გამჭირვებია“.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უცნაური რამ მოხდა. ფრანგმა ჟურნალისტებმა როჟე ლემერს ბოიკოტი გამოუცხადეს და მისთვის კითხვები არ დაუსვამთ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფრანგმა ფეხბურთელებმა რეპორტიორებს ინტერვიუზე უარი უთხრეს.

## D ჯგუფი

ამსტერდამი
11 ივნისი
23.45 საათი
ამსტერდამ არენა
50 833 (ტევადობა 51 200)

### ჰოლანდია 1:0 ჩეხეთი

1:0 ფ. დე ბური (89პ)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი (კონტერმანი 73), ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, ზენდენი (ოვერმარსი 78), ზეედორფი (რ. დე ბური 57), კოკუ, დავიდსი, კლუივერტი, ბერხკამპი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ჩეხეთი: სრნიჩეკი, რჟეპკა, ლატალი (ბეიბლი 70), რადა, გაბრიელი, ნედვედი (ლოკვენცი 90), ნემეცი, პობორსკი, როსიცკი, კოლერი, შმიცერი (კუკა 83)
მწვრთნელი: იოჟეფ ხოვანეცი
გაფრთხილება: ნედვედი, პობორსკი, რჟეპკა, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი
გაძევება: ლატალი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
*კარისკენ დარტყმა: 5-5; კარში დარტყმა: 6-5; ჯარიმა: 25-21; კუთხური: 9-4; თამაშგარე: 0-4*

# ანგელოზი კარის ხაზზე

სოლომონ გულისაშვილი

ფრანკ რაიკარდის ნამდვილი დებიუტი არცთუ შთამბეჭდავი გამოდგა. დიახ, ჰოლანდიის ნაკრები პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდა რაიკარდის ხელმძღვანელობით. მანამდე მხოლოდ ამხანაგური შეხვედრები იყო: ჩვიდმეტ თამაშში ოთხი მოგება საჩემპიონო შედეგი ნამდვილად არ არის. არადა, ჰოლანდიელებს ტურნირის მთავარ ფავორიტად მიიჩნევენ. ყოველ შემთხვევაში, ჩეხებთან შეხვედრამდე ასე ჩანდა.

დამთავრებას სულ რაღაც წუთი უკლდა, როცა ყველაფერი თავდაყირა დადგა. ხოტორა იტალიელმა მსაჯმა, პიერლუიჯი კოლინამ ჩეხების კარში პენალტი დანიშნა. ეპიზოდი ისეთი იყო, დანიშვნა-არდანიშვნის ნებისმიერ ვარიანტში კოლინას ვერ გაამტყუნებდით. ჩეხთა კაპიტანმა ირჟი ნემეცმა თავის საჯარიმოში რონალდ დე ბურს მაისურაზე მოქაჩა, ჰოლანდიელმა კი სიუჟეტი გაამძაფრა, ჰაერში შეიკუნტრუშა და მინდორზე დაენარცხა. თერთმეტმეტრიანი მისმა ტყუპისცალმა ფრანკმა დაარტყა და ჰოლანდიას პირველი გამარჯვება მოუპოვა.

„თვითონაც კარგად იცოდა, რომ ჩვენ უკეთ ვთამაშობდით, მაგრამ მასპინძლებს დაუწვა და ახლა მათ სამი ქულა აქვთ, ჩვენ კი არაფერი“ — ცხარობდა ნამატჩევს ჩეხთა ლიდერი პაველ ნედვედი, რომელიც კოლინას კარგად იცნობს. ის ხომ რომის „ლაციოში“ თამაშობს.

ძნელი სათქმელია, სწორად გადაწყვიტა თუ არა კოლინამ. თუმცა, ერთი კითხვა მაინც უნდა დავსვათ — როგორ მოიქცეოდა იტალიელი მსაჯი, ასეთი ეპიზოდი ჰოლანდიელთა საჯარიმოში რომ მომხდარიყო?

„იქნებ არც დამიჯეროთ, მაგრამ ნემეცმა მართლაც ღონივრად მომქაჩა მაისურაზე და ამიტომ წავიქეცი — ამბობს რონალდ დე ბური — ჩემმა ტყუპისცალმაც ზუსტად დაარტყა. ისე კი, გაგვიმართლა, მოგებას არ ვიმსახურებდით“.

ჩეხებმა მასპინძლებს აჯობეს. იოჟეფ ხოვანეცის განსწავლულმა და მიზანმიმართულმა გუნდმა რაიკარდის თითქოს რაღაცით დამძიმებულ ნაკრებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა. მეორე ტაიმი ხომ სტუმრებისა იყო. ჯერ პაველ ნედვედის თავური მოხვდა ძელს, ბურთი კარის ხაზზე გაგორდა და ვან დერ სარის ხელებში აღმოჩნდა. მერე კარელ პობორსკის ჯარიმას 202-სანტიმეტრიანი იან კოლერის თავური მოჰყვა, ამჯერად ჰოლანდიელები ხარიხამ გადაარჩინა. რამდენჯერმე ვან დერ სარმა ითამაშა ჩინებულად. სულ ბოლო წუთზე კი რადეკ ბეიბლს არ გაუმართლა, როცა კოლერის პასს მასპინძელთა საჯარიმოში ვარდნაში მისწვდა, მაგრამ ბურთი კარში ვერ მოახვედრა.

„მეორე ტაიმში ყველაფერი დაგვენგრა. თითქოს ჩაგვეძინა, მაგრამ მოვიგეთ. ასეთ ტურნირზე ყველა ნაკრებს აქვს ერთხელ გამართლების უფლება. ვფიქრობ, ეს უფლება უკვე გამოვიყენეთ და ახლა ნამდვილი ფეხბურთის თამაში გვმართებს“ — ესეც გოლის ავტორის, ფრანკ დე ბურის სიტყვები.



REUTERS ამსტერდამიდან

ჩეხი ტომაშ რჟეპკა ჰოლანდიელ პატრიკ კლუივერტს გადააფრინდა

თავიდან ჰოლანდიელები მართლაც უკეთ გამოიყურებოდნენ. კლუივერტმა და ბერხკამპმა რამდენჯერმე მწვავედაც შეუტიეს, მაგრამ... „მფარველმა ანგელოზმა ჩვენი კარი ჩეხთათვის აუღებლად აქცია“ — ფრანკ რაიკარდმა, ჰოლანდიელთა 37 წლის მწვრთნელმა, თავისი გუნდის გამარჯვებას მაინცდამაინც მიწიერი არგუმენტი ვერ მოუძებნა.

ახლა ერთი კითხვა ვიქტორინების მოყვარულთ: ევროპის უდიდეს შეჯიბრზე რომელი ფეხბურთელი გააძევეს შეცვლის მერე ოცი წუთის შემდეგ?

პასუხი: ჩეხი რადოსლავ ლატალი.

კურიოზული კითხვა-პასუხია, არა? სიმართლე კია.

პენალტს ჩეხთა კარში ევროპის ვიცე-ჩემპიონთა ნახევარმცველი ერთობ უჩვეულოდ შეეწირა. 70-ე წუთზე შეცვლილმა და სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა ლატალმა მსაჯის გადაწყვეტილება ხმამაღლა გააპროტესტა და იქვე მყოფმა არბიტრმა, ბერძენმა კიროს ვასარასმაც მომხდარი უმალ კოლინას აცნობა. იტალიელმა ლატალი სათადარიგოთა სკამიდან გააძევა და ის ფრანგებთან მომავალ მატჩს გამოტოვებს.

ჰოლანდია-ჩეხეთის მატჩი ევრო 2000-ის მანამდე გამართულ სამ შეხვედრასთან შედარებით უხეშიც გამოდგა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი იაპ სტამი კი „დღის რაინდი“ გახდა — მთელმა ევროპამ იხილა, როგორ უკერავდნენ გამსკდარ წარბს, მას კი თვალიც არ დაუხამხამებია. „მინდორზე დაბრუნება ვცადე, მაგრამ თავბრუ დამეხვა. თვალთაც მიბნელდებოდა, ამიტომ ექიმებმა გადაწყვიტეს, აღარ გაერისკათ და შემცვალეს. ახლა თავს ჩინებულად ვგრძნობ და პარასკევს დანიელთა წინააღმდეგ აუცილებლად ვითამაშებ“ — თქვა სტამმა.

სხვათა შორის, ჩეხეთი ჰოლანდიისთვის ერთობ უხერხული მეტოქეა. მათ შორის გამართულ 13 შეხვედრაში ჩეხებმა 8 მოიგეს, 2 წააგეს და 3 ფრედ დაამთავრეს. „ნარინჯისფერებს“ ჩეხთათვის ბოლოს 28 წლის წინ 1972 წლის 30 აგვისტოს მოეგოთ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საფრანგეთი** | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| **ჰოლანდია** | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| **ჩეხეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| **დანია** | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

***მეორე ტური: 16.06. ჩეხეთი — საფრანგეთი; დანია — ჰოლანდია***

### მატჩის შემდეგ

**იოჟეფ ხოვანეცი:** „ეს სკანდალია! მსგავსი პენალტი დღეს უკვე ვნახე. ის იტალიას დაუნიშნეს თურქეთთან. არც ვიცი, რა ვიფიქრო. ჩემი ფეხბურთელები ახლა გასახდელში სხედან და ტირიან. მათი კარგად მესმის. ვინც თამაში ნახა, თავად განსაჯოს რაც მოხდა. მსაჯი ლამის იმასაც მითითებდა, შეცვლები როდის გამეკეთებინა. ეს ხომ წარმოუდგენელია... ამდენი ხანია ფეხბურთში ვტრიალებ და ასეთი განუკითხაობა არასოდეს მინახავს: მიმაჩნია, რომ ჰოლანდია გამარჯვებას არ იმსახურებდა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა ჩვენ აშკარად ვაჯობეთ.“

**ფრანკ რაიკარდი:** „მეორე ტაიმში გაგვიმართლა. ჩეხებმა სასწაულით ვერ გაგვიტანეს. მათ მართლაც კარგი გუნდი ჰყავთ. მთავარია, რომ პირველი სამი ქულა მოვიპოვეთ. ახლა, ტურნირის განმავლობაში რაღაც-რაღაცეების შეცვლას და თამაშის გაუმჯობესებას შევეცდებით.

**იაპ სტამი:** ჩვენც ბევრი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ, მერე კი გადავრჩით. შემდგომ მატჩებში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამაში 90 წუთს გრძელდება.



ევრო 2000-ის გახსნისას ყველაზე ლამაზი სანახაობა ბუშტების გაშვება იყო

# ბატონო თამადა, მრთი სადღეგრძელო...

ილია ბაბუნაშვილი
ბრიუსელიდან



### დასასრული

ბრიუსელის მეტროს 1A ხაზის ბოლო სამი სადგური, მართალია, სტადიონის მეზობლადაა, მაგრამ თამაშის შემდეგ, აშკარაა, სულ ბოლოში სჯობს ჩასვლა. ბოლო სადგურს სარბიელისვე სახელი „მეფე ბოდუენი“ ჰქვია და მას ხალხის იმხელა ნაკადი აწყდება, იმთავითვე ხვდება, აქ გატენილი მატარებელი შემდეგ სადგურზე, „ეიზელზე“ არ გაჩერდება. არადა, მესამე ტრიბუნაზე მსხდომთათვის უახლოესი სწორედ „ეიზელია“, ისევე, როგორც მეორეზე მსხდომთათვის „უბა ბრუგმანი“.

შეიცადეთ, უბა ბრუგმანელებო და ეიზელელებო ან, გიჯობთ, დალმა დაეშვათ და „მეფე ბოდუენის“ ჩასასვლელთან შეჯარულ ათასებს შეუერთდეთ. რა გეჩქარებათ, ბელგიის ნაკრების წითელი მაისურა თითქმის ყველას გაცვიათ, თავზე რქიანი ქუდები გხურავთ, ხელთ გასაბერი სამკაპები გიპყრიათ, ევროპის ჩემპიონატის პირველი თამაში მოიგეთ, შაბათი ღამეა და არსად გეჩქარებათ, თქვენი რიგიც მოვა. აი, ახლა გაავსებენ ერთ მატარებელს, გაამგზავრებენ, ჩამოდგება მეორე და ჩაგიშვებენ, თუ ახლაც არ მოგიწიათ, არა უშავს, მესამეც მოვა, ზევით არავის დაგტოვებენ.

თუმცა ეს ყველაფერი ნელი პროცესია. ჩახვალ მეტროში, დგას მატარებელი, ვაგონების გასწვრივ წესრიგის მცველები გამწკრივებულან და, თუ შეიძლება, ჯერ წინა ვაგონები შეავსეთო, გეუბნებიან. შეივსება პირველი. მერე მეორე, მესამე და დაახლოებით ნახევარ საათში მატარებელი ლოლვით დაიძრება.

არა უშავს, იდექით სავსე ვაგონში, ასუნთქეთ ერთმანეთს დილიდან შესმული აურაცხელი ქილა თუ კათხა ლუდის ოხშივარი და იღრიალეთ, იმღერეთ, იხტუნეთ.

მე ხომ არ მეშინია? არა, მართალია, თქვენ ყველანი ნასვამები ბრძანდებით და ერთობ რიხიანადაც ხმაურობთ, მაგრამ ხომ ვხედავ, ის, რასაც ჩვენი გაგებით ხულიგნობა ჰქვია, თქვენთვის ასი წლის წინანდელი ამბავია. არ ვიცი, ახლა თქვენს ნაცვლად ინგლისელები და თურქები რომ იყვნენ, მაგრამ...

„ავედანი შპრეგ! ავედანი შპრეგ!“ — წამოიწყო ოთხმა ბრგე მამაკაცმა და ყველა აჰყვა. დახტიან, ვაგონი ქანაობს. რას ნიშნავს, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ფლანდრიულია და ფაქტია, რომ ასეც უნდა იყოს: „ავედანი შპრეგ!“

საერთოდ, ეს ბრგე კაცები ბრიუსელელები არ ჩანან. ბრიუსელი ფრანგულენოვანია. არა, ფლანდრიულსაც გაიგებთ, მაგრამ, მაინც ეტყობა, რომ ესენი ჩამოსულები არიან.

„ავედანი შპრეგ“ — ფლანდრიული უძახე და ყველა კი აიყოლიეს.

— დაგენიძლავები, სადგურზე ჩავლენ — ვენიძლავებით საკუთარ თავს. ისე ყველაფერი აგიხდეთ.

მერე, ერთ-ერთ სადგურზე შვედები შემოვიდნენ. ცხვირპირი ჩამოსტიროდათ. ერთმა ვაგონმა ბელგიელებმა რალაც კი წამოიძახეს, მაგრამ იმწამსვე თავისი განაგრძეს. არა, ამ ქვეყანაში ნამდვილი ხულიგანი, ვინმე ბოროტი და აგრესიული, ბოლოს ალბათ მართლა ასი წლის წინ ცხოვრობდა.

არადა, ისე ბლავიან, გეგონება, ცოტაც და სამ-ოთხ კაცს მოკლავენ. მოკლედ, რომ ვაკვირდები, მთავარი და ყველაფერზე კარგი არის „ავედანი შპრეგ“, რომლის მნიშვნელობაც არ ვიცი. ჩვენც თუ აქეთკენ წავალთ, ცუდი არ უნდა იყოს.

ისე, ერთმა მთვრალმა ყმაწვილმა — დაძრული ვაგონიდან დავინახე — შვედების ნიშნის მოსაგებად ერთ-ერთი სადგურის პლატფორმაზე რალაც სიმღერა წამოიწყო და კედელს დაეჯახა. წარმოგიდგენიათ, კიბეს ასცდა და კედელს დაეჯახა. კაი ფართო კიბე იყო.

### ქორწილი

კაცს რომ ჩემპიონატის გახსნაზე წერილს დაგავალებენ, შენ კი დადგები და შუაღამისას მეტროში მოღრიალე მთვრალებზე დაწერ, ცუდად არის საქმე. რომ გამოვასწორო, თქვენი ნებართვით, 10 ივნისის შუადღეს გავიხსენებ. თამაშამდე — გახსნამდე-7-8 საათით ადრე ბრიუსელის ცენტრალურ მოედანზე ასეთი ამბები ხდებოდა: შვედები, შვედები, შვედები, შვედები... მთელი „გრანდ პალასი“ ყვითელია და ერთხმად ყვირის, შეუსვენებლად. ეს რამდენი ტექსტი და სიმღერა ჰქონიათ მზად. ისინი ლუდს სვამენ და არ ანალვლებთ, როგორ უყურებენ მათ ბელგიელი მოქალაქენი. სეირია.

— კი მაგრამ, ღამის 11 საათამდე ასე უნდა იმღერონ და იყვირონ?

— ალბათ.

მერე საიდანღაც რამდენიმე ბელგიელი ფანი გამოჩნდა, წითელმაისურიანი. მივიდნენ და მათთან ერთად შემოსძახეს. ესენი თავისას გაიძახოდნენ, ისინი თავისას. ბოლოს, წითლებს კიდევ ათამდე კაცი რომ შეემატათ, ასე ჩამწკრივდნენ: შვედი, ბელგიელი, ყვითელი, წითელი და ატყდა ცეკვა-ხტუნვა-სიარული.

უცებ მივხვდი, რომ ერთმაც არ იცოდა, როგორ უნდა დაატრიალო „შროტჩიკი“ უკულმა.

ისევ ლუდის სმა, სიმღერები. უკვე მთვრალი ბელგიელი მავან შვედს ეუბნება, თამაშის მერე აქ შევხვდეთო და... პირდაპირ სასახლის აივნის კარი ილება და ნეფე-პატარძალი გამოდის. მაღლა არიან, აივანზე, შორს, მაგრამ, იქ ამბავი ატყდა! და სიძემ რა ამბავი ატეხა?! ქორწილია, ქორწილი... დღეს ევრო 2000 იხსნება.

### არავინ არაფერი იცის

ერთი წუთით წარმოიდგინეთ სამოთხსართულიანი ლამაზი სახლი. წარმოიდგინეთ? ახლა მისი ჩუქურთმების და ორნამენტების რაოდენობა გაამრავლეთ ათზე. გაამრავლეთ? მაშინ ასეთი სახლებისგან წარმოსახვითი ქუჩა შეკარით და თქვენ ბრიუსელის გარეუბანში ხართ.

ვისაც ცენტრში გასეირნება სურს, ორნამენტების და ჩუქურთმების ზემოხსენებული ოდენობა ათის ნაცვლად გაამრავლოს ასორმოცდაათზე.

მაგრამ რად გინდა, აქაურებს ჰგონიათ, რომ ამაში უჩვეულო არაფერია, ეს ხომ ასეც უნდა იყოსო და ცხოვრობენ მშვიდად. არაფერი იციან.

— უკაცრავად, მუსიე, ერთი ამერიკული დოლარი რამდენი ფრანკია?

— ოოო! არ ვიცი, ბანკში ეცოდინებათ. ალბათ, 30 ან 40 (იღიმება).

— უკაცრავად, მუსიე, როგორ მივიდე ოგიუსტ როდენის ქუჩაზე?

— ეეეე! იცით, მე მაგ რაიონში არ მიწევს ყოფნა და... (იღიმება).

— უკაცრავად, მუსიე, სტადიონამდე მეტრო მიდის?

— უუუუ! იცით, მე მანქანა მყავს. ისე, ალბათ, უნდა მიდიოდეს (იღიმება).

და დადიან ქუჩაში არაბები, თურქები, ფერადკანიანები, ბელგიელებიც და არაფერი იციან.

### ნიგერიელი და მარიო პიუზო

„მეფე ბოდუენის“ K-1 ტრიბუნის რომელიღაც რიგის რომელიღაც სკამზე იჯდა ნიგერიელი ჟურნალისტი და მარიო პიუზოს კითხულობდა. დინამიკები გუგუნებდნენ: „ოლე, ოლე, ოლე“. ნიგერიელი ტაქტს ფეხს აყოლებდა, თითქმის ცეკვავდა. მის უკან იაპონელები თავიანთ ბლოკნოტებში იეროგლიფებით ინიშნავდნენ რაღაცას.

... გახსნის ცერემონიალმა 25 თუ 27 წუთს გასტანა. ხანმოკლე იყო, მაგრამ ტევადი და ძალიან ლამაზი. ყველაზე ეფექტური ბუშტების გაშვების მომენტი იყო, ხოლო ყველაზე რთული სტადიონისხელა კაცის გადაადგილება. ამ გაბერილ თოჯინას ხელ-ფეხზე გამობმული თოკების ქაჩვით ამოძრავებდნენ, თუმცა ეს ხომ ტელევიზორშიც იქნებოდა და, ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ შოუს მონაწილეებს: პატარა ლურჯსამოსიან ბავშვებს, დიდ თეთრსამოსიან გოგო-ბიჭებს თუ სხვა მოცეკვავე-მოთამაშეებს სახეები არ უჩანდათ — ეს გახლდათ მასკარადი.

მასკარადი შოუს ალამაზებს, ფეხბურთს კი პირიქით, სახეები სჭირდება, გამორჩეულობა. ამიტომაც, თქვენი ნებართვით, თამადას ერთი სადღეგრძელოს ნებას ვთხოვ და ასე ვიტყვი:

ევრო 2000 გამორჩეული, ლამაზი შეჯიბრება ყოფილიყოს!



გიო ახვლედიანი

წერილები აღმოსავლეთისაკენ

ლისაბონიდან

# მე შენ გიყიდი ეუსებიოს

— უთხარი ეუსებიოზე...

— რა?

— უთხარი ეუსებიოზე...

— ჰო... ჩვენ შენ გიყიდით ეუსებიოს და „ნაპოლი“ ჩემპიონთა თასს მოიგებს... — ალბათ გახსოვთ, როგორ პირდებოდა ამ დიდი საქმის აღსრულებას ქურდი დუდუ წმინდა იანუარიუსს.

როგორ გინდა, ლისაბონში იყო და ეუსებიოზე არ იფიქრო? სამოციან წლებში ეუსებიო ისეთივე ვინმე იყო, როგორიც დღეს, ვთქვათ... ბექემი. არა, ბექემი არა — ეუსებიო მეტად თავმდაბალი ბიჭი გახლდათ. მაშ, ვინ? ბატისტუტა? თამაშის მანერით არც ამას ჰგავდა და არც ბექემს. აბა... ჩამოთვლას აზრი არა აქვს, რადგან ეუსებიოსთანა ფეხბურთელები დღეს აღარ არიან.

თუ გავიხსენებთ, ქართველები შეხვედრიან ეუსებიოს 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის თამაშში. მაშინ ქართველები საბჭოელებად იყვნენ გადაცმულნი, თუმცა, ეუსებიოც გაპორტუგალიელებული მოზამბიკელი ბრძანდებოდა.

ეუსებიოს შეხვედრია კიდევ ერთი ქართველი, ოღონდ არა ფეხბურთელი, არამედ მსაჯი — კარლო ყრუაშვილი, რომელიც საბჭოთა მსაჯთა ბრიგადაში ყოფილა და ამსტერდამის ძველ „დე მეერზე“ ბარე ოცდაშვიდი წლის წინათ უმსაჯია „აიაქს“ — „ბენფიკას“ შეხვედრა ჩემპიონთა თასზე.

დიდად მსურდა, კიდევ ერთი ქართველი ვყოფილიყავი, ვინც ამ ჯერაც გაუქაღარავებელ შავ ავაზას გამოელაპარაკებოდა, მაგრამ ეუსებიოს მოძებნა შაბათ-კვირას გადავწყვიტე და ვრეკე კიდეც „ბენფიკას“ ოფისში, სადაც, ადვილი მისახვედრია, ყურმილი არავინ აიღო. კვირა დღესვე მოვხვდი მარკიზ პომბალოს მოედანზე, სადაც „ბანკო დუ ბრაზილის“ გვერდით წამოჭიმულია აქაური ძაან გაზეთის „დიარიო დუ ნოტისიასის“ ხუთსართულიანი რედაქცია. ვიფიქრე, შევალ, ჩემს ჟურნალისტურ საბუთს ავაფრიალებ და ეუსებიოს ამბებს გამოვკითხავ-მეთქი. კვირა იყო და არ გამოვიდა, ორშაბათს კი ამ მადლიან ქალაქს ვტოვებდი.

უბრალო ხალხთან ლაპარაკით კი ბევრს ვერაფერს გაიგებ — ამბობენ, ალმეიდაში ცხოვრობსო, თუ კაშკაშაშიო, „ბენფიკაში“ მუშაობსო, ერთხანს ბავშვებს წვრთნიდაო, უფრო მცირეხანს მთავარ გუნდსო და ასე დაუსრულებლად.

ლისაბონი რაღაც-რაღაც საკითხებში თბილისის მსგავსი ქალაქია. ის, რითაც ყველაზე უფრო ჰგავს თბილისს, ყველაზე ზუსტად ერთი სიტყვით გამოითქმის — მულამი. ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პატარ-პატარა მულამები ისეთია, რომ გრაჩას უბნის აღმართ-დაღმართებს რომ მიუყვები, გამუდმებით გგონია, რომ გრიბოედოვზე ან ზემო ვერის ქუჩებზე ხარ. მასშტაბები აქ უფრო დიდია, თვალსასეიროც ეფექტური, მაგრამ მულამს და ბირჟაზე ჩამომსხდარ ბიჭებს სად წაუხვალ? თბილისია, ძმაო. ბებიებიც ჩვენებურად შავით მოსილნი დადიან. ოღონდ... ოღონდ ოკეანე, გაჯგიმულ მეფეთა მონუმენტები და უცხო მიწათა პოვნის სურვილით გაფერადებული ისტორია — ევროპის კიდე, ბართოლომეო დიაში, ვასკუ და გამა და... ასე ველარც დავამთავრებთ.

მაგრამ ყველაზე თვალშისაცემი, რითაც ჰგავს ლისაბონი თბილისს, გახლავთ მისი ულამაზესობა, ეზოს ფეხბურთი. მას ლისაბონის აღმართებზე ზუსტად ისე და ზუსტად ისეთივე ბიჭები თამაშობენ, როგორც ჩვენთან. ათი-თორმეტი წლისანიც და დიდებიც „მატაობენ“, ბურთს ათრევენ, ლამაზი პასის საშუალებას ეძებენ და ძალიან იშვიათად ურტყამენ კარში. ოღონდ ეგ არის, აქ არ აცვიათ „ინტერის“, „რეალისა“ და „მანჩესტერის“ მაისურები. უკვე ბიძობისკენ მიახლოებულებსაც კი უფრო ლისაბონის კლუბების და ბრაზილიური გუნდების სამოსი ხიბლავთ. ყველა გაჩხიკული, თეთრი ბიჭი ზურგიდან ჟოაო პინტუს ჰგავს. ვარცხნილობაც ისეთი აქვს და თუ ნაკრების მაისურა აცვია, ხომ საერთოდ.



უბერებელი და, ცოტა არ იყოს, დავიწყებული ეუსებიო

რესპუბლიკის მემორიალის წინ, დამრეც მოლზე ხუთი-ხუთზე მიმდინარე თამაშს ბოლოსღა მივუსწარი. „ვზროსლები“ თამაშობდნენ და ჩვენებრ ლიპიანი ხალხის პირობაზე კარგადაც იძუნძულეს. ერთ-ერთი გუნდის მეკარე ბურთს რომ დაიჭერდა, ამაყად შესძახებდა: „შმეკელ!“ ანუ შმაიხელი ვარო. მორჩნენ და ლუდიც ჩვენებურად დალიეს. ბასკებთან ქართველების ნათესაობა აშკარად გადასასინჯია. აგერაა ოქროსავით პორტუგალიელი ხალხი, რომელიც ჭადს თუ არ აცხობს, ფეხბურთს ხომ თამაშობს ჩვენებურად.

ახლა ორიოდ სიტყვას ბრაზილიელებზეც მოგახსენებთ. ისინი თავიანთ სამშობლოს აქაურობისგან არ გამოარჩევენ. არც პორტუგალიელები უცხოობენ ბრაზილიას. მოქალაქეობაც ორმაგი აქვთ და ერთმანეთშიც ხშირად მიმოდიან.

პედრო მეოთხის მოედანზე ათითორმეტი ბრაზილიელი იჯდა კაფეში და თვრებოდა. შვიდს მაინც „ფლამენგოს“ მაისურა ეცვა. ლისაბონური მზით ტვინამღვრეულს იალლიში მომივიდა. აღარ გამახსენდა, რომ რომარიო სკანდალით გაიქცა „ვასკუში“ და „მენგო“ დაცინვით მოიხსენია. კეთილგანწყობის ნიშნად ამათ ვუთხარი, რომარიოს ვენაცვალე-მეთქი. ისეთი ავი ჟივილშივილი ატეხეს („ჟ“-ს და „შ“-ს მეტი ბგერა არ გამიგონია), რომ ან მე მლანძლავდნენ, ან რომარიოს.

ის იყო, მობოდიშება დავაპირე — დაბერებული გარინჩა ხომ გადმოვიდა თქვენთან-თქო, რომ მიატოვეს თავიანთი ლუდეულობა და ვიღაც ბიჭს გაედევნენ. ეცნენ და ქურთუკი გახადეს (იმ სიცხეში ქურთუკი რაღად უნდოდა?). თურმე, სანამ ილანძღებოდნენ, ერთ-ერთს დაუნახავს, ჩვენიანია, ქურთუკის ქვეშ შავ-წითელი მაისურა აცვიაო. ატეხეს ერთი ხვევნა-კოცნა და ჟივილშივილი.

ჩემი ბებერი გარინჩა ვილას ახსოვდა.

ალბათ, ისევე როგორც ეუსებიო ფერეირა და სილვა.

არადა, თუკი რომელიმე დიდი კლუბის პრეზიდენტს თავისი გუნდის გულშემატკივრის გულის მოგება უნდა, უკეთესს ვერაფერს დაპირდება:

— ჩვენ შენ გიყიდით ეუსებიოს!

C ჯგუფი. I ტური. 13 ივნისი. 21[00]

## ესპანეთი — ნორვეგია

როტერდამი. „ფეიენოორდი“. მსაჯი: ჯამალ განდური (ეგვიპტე)

# უძილო ღამის მოლოდინში



ესპანელები ვარჯიშზე (მარცხნიდან): რაული, გვარდიოლა, სალგადო, ურსაისი, პაკო ხემესი და მოლინა

რა მოხდება, თუ დღეს ესპანეთის ნაკრები მოიგებს? მისი ქომაგები დიდად გაიხარებენ, ყიჟინით მთელ როტერდამს შემოივლიან და მშვიდობიან მოქალაქეებს არ დააძინებენ. და რა მოხდება, თუ ესპანელები დამარცხდებიან? მაშინ უკვე ფეხბურთელებს მოუხდებათ ღამის თეთრად გათენება და გულშემატკივართა ლანძღვა-გინების მოსმენა.

ცხადია, ხოსე ანტონიო კამაჩოსთვის პირველი ვარიანტი უფრო მიმზიდველი ჩანს, თუმცა მას ურჩევნია, ღამით ყველამ მშვიდად დაიძინოს. „პირველი თამაშის შედეგი ჯერ არაფერს ნიშნავს — ამბობს კამაჩო — ვთქვათ, მოვიგეთ და ეიფორიამ შეგვიპყრო. ხომ შეიძლება, მომდევნო ორი მატჩი წავაგოთ და შინ დაბრუნება მოგვიხდეს? ანდა წავაგეთ, ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ, რადგან მეოთხედფინალში გასვლის შანსი დაკარგული არ გვექნება“. და მაინც, რა განწყობით ხვდებიან ესპანელები ევროპის ჩემპიონატზე თავიანთ პირველ შეხვედრას? ამ კითხვაზე ყველაზე კარგად სერხი პასუხობს: „სულ არ ვნერვიულობთ, თუმცა მატჩს მოუთმენლად ველით. გვსურს, ვაჩვენოთ, თუ რა შეგვიძლია“.

სერხი ბარხუანი ამ სიტყვებს თანაგუნდელთა სახელით ამბობს, თავად კი, ალბათ, ვერაფრით გამოიჩენს თავს. წინასწარი მონაცემებით, ბარსელონელი თამაშის დაწყებისას სათადარიგოთა სკამზე იჯდება. აქვე აღვნიშნოთ, რომ კამაჩო თავისი გუნდის სასტარტო შემადგენლობას საგულდაგულოდ მალავს და ამასაც მხოლოდ თუ ვივარაუდებთ.

როგორც ცნობილია, რაულს და გვარდიოლას მცირე ტრავმები აწუხებდათ და მწვრთნელმა ისინი ლუქსემბურგთან ამხანაგურ მატჩში არ ათამაშა. თუმცა საეჭვოა, კამაჩომ მათ სამსახურზე ნორვეგიასთან უმნიშვნელოვანეს შეხვედრაშიც უარი თქვას. ისიც დავამატოთ, რომ რაული ესპანეთის დღევანდელ ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია (მასზე უმცროსები ხოსება ეჩებერია, იკერ კასილიასი და ხერარდი არიან), თუმცა გატანილი გოლებით (16) იგი მხოლოდ ფერნანდო იეროს ჩამორჩება.

როგორც ვიცით, ფორმაშია კიდევ ერთი რეალელი, მიჩელ სალგადო და მოედანზე მის გამოჩენასაც უნდა ველოდეთ. მარტში ნატკენი ფეხი მოირჩინა ესპანელთა კაპიტანმა იერომაც და თავისი 72-ე საერთაშორისო მატჩისთვის ემზადება.

შეტევაში რაულს სავარაუდოდ ბილბაოელი ისმაელ ურსაისი შეუწყვილდება. მან სექტემბრიდან მოყოლებული ხუთი სანაკრებო გოლი მიითვალა, სულ კი 16 ჩატარებული მატჩიდან საშუალოდ ყოველ მეორეში გააქვს. მოედანზე, ალბათ, კიდევ ერთ ბასკ თავდამსხმელს, ხოსება ეჩებერიას ვიხილავთ. თუმცა კამაჩო მას, როგორც წესი, შემტევი ნახევარმცველის ფუნქციებს აკისრებს.

ლუქსემბურგი-ესპანეთის მატჩის მერე ვწერდით, რომ სანორვეგიოდ გაისკა მენდიეტას სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. რა გასაკვირია, ვალენსიელი იმ შეხვედრაში საუკეთესო გახლდათ. მაგრამ თუ ესპანელთა ბანაკიდან გამოსულ ხმებს ვენდობით, ლუქსემბურგის წინააღმდეგ მენდიეტას კარგი თამაში კამაჩოს გულის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ერთ უცნაურობაზეც ვთქვათ. 22-კაციან განაცხადში ესპანეთის ჩემპიონ „დეპორტივოდან“ მხოლოდ გონსალეს ფრანი მოხვდა. ამ დროს კი ნაკრებში სამი მეორედივიზიონელი ფეხბურთელია. მათგან ატლეტიკოელებმა — ხოსე მოლინამ და ხუან კარლოს ვალერონმა სასტარტო შემადგენლობასაც გამოჰკრეს ხელი, ბეტისელ ალფონსოს კი სათადარიგოთა სკამზე მიეჩინა ადგილი.

ნორვეგიელთა რიგებში კი მთავარი ამბავი ოლე გუნარ სოლსკიაერის შვილის დაბადებაა. ნილს იოჰან სემბმა სიტუაცია სწორად შეაფასა და ბედნიერ მამას ორი დღით მანჩესტერში პატარა ნოასთან გაფრენის ნება მისცა. სემბი: „სოლსკიაერისთვის ცოლშვილის მონახულება აუცილებელი იყო, ის ძალიან ღელავდა. მანჩესტერიდან დაბრუნებული კი მთელ ყურადღებას ფეხბურთს უთმობს“. საინტერესოა, რომ ესპანელებს ტორე ანდრე ფლოზე მეტად სწორედ სოლსკიაერისა ეშინიათ. ხოლო თუ მან მეტოქეთა კარის დალაშქვრა შეძლო, გოლის გატანის სიხარულს, ალბათ, ბებეტოსეული ცნობილი ჟესტით აღნიშნავს. მოსალოდნელია, რომ ნორვეგიელთა თავკაცი ესპანელებთან მატჩში თავის საყვარელ სისტემას მიმართავს და მინდორზე სამ თავდამსხმელს გაიყვანს. წინ ფლო იქნება, მისგან ოდნავ უკან კი სოლსკიაერი და და აწ უკვე ვალენსიელი იონ კარეუ.

ნორვეგიელებს ტრავმირებული მხოლოდ ჰენინგ ბერგი ჰყავდათ. მას პარასკევს და შაბათს არ უვარჯიშია, მაგრამ, ბოლო ინფორმაციით, ბერგმა ტრავმა მოიშუშა და ესპანელთა შეტევების მოსაგერიებლად ემზადება.

დაბოლოს, ცოტაოდენი სტატისტიკაც. ესპანეთი და ნორვეგია აქამდე სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, სკანდინაველებს მეტოქის კარში ერთი გოლის გატანაც ვერ მოუხერხებიათ. თუმცა ეს წლების წინ იყო და ის მატჩებიც ამხანაგური გახლდათ, დღეს კი ევროპის ჩემპიონატია — ესპანელთათვის მეექვსე, ნორვეგიელთათვის პირველი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ესპანეთი:** ხოსე ფრანსისკო მოლინა; მიჩელ სალგადო, ფერნანდო იერო, პაკო ხემესი, აუგუსტინ არანსაბალი; ხოსეპ გვარდიოლა, ხუან კარლოს ვალერონი, ხოსება ეჩებერია, გონსალეს ფრანი; რაულ გონსალესი, ისმაელ ურსაისი

**ნორვეგია:** ტომას მირე; ვეგარდ ჰეგემი, ბიორნ ოტო ბრაგსტადი, ჰენინგ ბერგი, ანდრე ბერგდოლმო; ერიკ მიუკლანდი, ბენტ სკამელსრუდი, როარ სტრანდი; ოლე გუნარ სოლსკიაერი, ტორე ანდრე ფლო, იონ კარეუ

**ურთიერთშეხვედრები**

| ესპანეთი | 3 | ნორვეგია |
|---|---|---|
| 2 | მოგება | 0 |
| 1 | ფრე | 1 |
| 0 | წაგება | 2 |
| 4 | ბურთები | 0 |

C ჯგუფი. I ტური. 13 ივნისი. 23[45]

## იუგოსლავია — სლოვენია

შარლერუა. „კომუნალი“. მსაჯი: მელო პერეირა (პორტუგალია)

# გაბრაზებული და ყოვლისმცოდნე

ელემენტარული ჭეშმარიტებაა: გუნდის შესაკრავად თეორიულ-პრაქტიკული ვარჯიშების გარდა ამხანაგური მატჩების გამართვაცაა საჭირო. ამიტომაც ჩემპიონატის დაწყების წინ ევროპას საკონტროლო შეხვედრების ტალღამ გადაუარა. თუმცა ერთიცაა, ამ შეხვედრებში ფეხბურთელები არ უნდა გამოიფიტონ, თორემ რაღა გამოვა. იუგოსლავიელებმა კი რა ქნეს? მაისის ბოლოს მთელი ევრაზია გადაკვეთეს და სპარინგ-პარტნიორებად კორეელები და ჰონკონგელები აირჩიეს. ამ მოგზაურობამ ნაკრებს თავისი დაღი დაასვა — ევროპის ჩემპიონატზე იუგოსლაველები საკმაოდ გადაღლილნი ჩავიდნენ. ამას მათი მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვიც აღიარებს.



საჯარიმოების დიდოსტატი სინიშა მიხაილოვიჩი

თითქოს გასაოცარია, გამოცდილმა მწვრთნელმა ამგვარი შეცდომა როგორ დაუშვა. იკითხავთ, ნუთუ იუგოსლაველებმა ევროპაში ამხანაგი ვერ მოძებნეს, ქვეყნის დასალიერში რომ გარბოდნენო. საქმე ის გახლავთ, რომ მართლაც ვერ იპოვეს. რამდენიც უნდა ვიძახოთ, ფეხბურთს პოლიტიკას ნუ დავუკავშირებთო, ბოლოს მაინც ასე ხდება. ჰოდა, ბალკანეთის პოლიტიკურმა მდგომარეობამ იუგოსლავიასთან ამხანაგური მატჩის გამართვაზე ბევრ ევროპულ გუნდს აალებინა ხელი.

მაგრამ ანდაზისა არ იყოს, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ბოშკოვის გუნდმა ერთი სარგებელი აქედან მაინც ნახა. მწვრთნელი ამბობს: „ვფიქრობ, შექმნილი სიტუაცია ჩვენთვის სტიმულის მომცემი უნდა გახდეს. ნაკრები დაამტკიცებს, რომ იუგოსლაველებს უსამართლოდ გვექცევიან, როცა პოლიტიკურ მოტივებს ფეხბურთზე ავრცელებენ. ჩვენ გაგვაბრაზეს, ჰოდა, სამაგიეროს კარგი თამაშით გადავუხდით“.

უცნობია იუგოსლაველების გამბრაზებელთა შორის სლოვენიელები არიან თუ არა (თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეს რესპუბლიკა იუგოსლავიას გამოეყო, ალბათ, კი), მაგრამ სრეჩკო კატანეცს ვუიადინ ბოშკოვის მუქარისა არ ეშინია. სლოვენიელს ამისი მიზეზებიც აქვს. კატანეცი, რომელიც „სამპდორიაში“ თამაშისას ბოშკოვის შეგირდი იყო, ამბობს: „ბოშკოვს კარგად ვიცნობ და ზუსტად ვიცი, თუ რას ფიქრობს. ასევე ვიცი, როგორ თამაშობენ იუგოსლაველები (კატანეცი იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი მოთამაშეა) და თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით შემიძლია მათი სასტარტო შემადგენლობის გამოცნობა. ერთადერთი, რაც არ ვიცი, ის არის, დღეს საღამოს რომელი ფეხბურთელი როგორ ფორმაში იქნება“.

გარდა ამისა, სლოვენიელებს სხვა გუნდებთან შედარებით ერთი უპირატესობაც აქვთ, უდავო აუტსაიდერებად მიიჩნევენ და თუნდაც ყველა თამაში წააგონ, ვერავინ დაძრახავთ. ამიტომაც ისინი ნაკლებშებოჭილნი იქნებიან, ხოლო მონდომება, იცოცხლე, დიდი ექნებათ — ევროპაზე ხომ პირველად გავიდნენ.

კატანეცისა არ იყოს, მეტოქის შიში არც ფეხბურთელებს აქვთ. მათი მეკარე მლადენ დაბანოვიჩის თქმით, სინიშა მიხაილოვიჩი სახიფათო საჯარიმოებს კი არტყამს, მაგრამ არც ისეთს, მეკარეს მუხლები რომ აუკანკალდეს და მოგერიება ვერ შეძლოს. მილენკო აჩიმოვიჩმა, რომელიც იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობს, დაუმატა, ესპანეთთან და ნორვეგიასთან მატჩებზე დაძაბული იუგოსლავიასთან თამაში იქნებაო. სლოვენიელთა საბედნიეროდ, მათ არც ტრავმირებული ჰყავთ ვინმე, მაგრამ...

ფეხბურთელთა და მწვრთნელის მატჩისწინა ოპტიმისტურ განწყობას სლოვენიელები არ იზიარებენ. იქაური სპორტული პრესა წერს, ნუ დავგავიწყდება, რომ იუგოსლავიის ნაკრები ჩვენსაზე ორი თავით მაღლა დგას. ზლატკო ზაჰოვიჩი? ზაჰოვიჩები მეტოქის რიგებშიც მოიძებნებიანო.

ტრავმირებული იუგოსლაველებსაც არავინ ჰყავთ. ნაკრებს მხოლოდ ზორან მირკოვიჩი გამოაკლდა, მაგრამ ეს ბელგიაში გამგზავრებამდე მოხდა. ბოლო დღეებში კი არავინ დაშავებულა. საინტერესოა, რომ იუგოსლაველთა სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში ბალკანეთში მოთამაშე არც ერთი ფეხბურთელი არ არის. მათი კლუბების სახელებიც სოლიდურად ჟღერს: პსვ, „ვალენსია“, „ლაციო“, „ინტერი“, „ფიორენტინა“, „იუვენტუსი“, „დეპორტივო“.

სამართლიანია, სლოვენიურ პრესაში დაბეჭდილი სტატიები, რომლებიც იუგოსლაველთა უდავო ძლიერებაზე ამცნობს მკითხველს. სრეჩკო კატანეცი კი იხტიბარს მაინც არ იტეხს: „ვეცდებით, მოვიგოთ. აკი აპრილში საფრანგეთის ნაკრებსაც გავუტანეთ ორი გოლი (იმ მატჩში სლოვენია 2:0 იგებდა და 2:3 დაამარცხდა). ყოველ შემთხვევაში, თავს დავდებ, რომ ოთხით და ხუთით ნულს არ წავაგებთ“.

**გიორგი დარჯანია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუგოსლავია:** ივიცა კრალი; სლობოდან კომლიენოვიჩი, მიროსლავ ჯუკიჩი, სინიშა მიხაილოვიჩი, გორან ჯოროვიჩი; სლავიშა იოკანოვიჩი, ვლადიმირ იუგოვიჩი, დეიან სტანკოვიჩი, იოვან სტანკოვიჩი; პრედრაგ მიატოვიჩი, დარკო კოვაჩევიჩი

**სლოვენია:** მლადენ დაბანოვიჩი; ჟელკო მილინოვიჩი, მარინკო გალიჩი, დარკო მილანიჩი; ჯონი ნოვაკი, ალეშ ჩეჰი, მირან პავლინი, მლადენ რუდონია, ამირ კარიჩი; ზლატკო ზაჰოვიჩი, საშო უდოვიჩი

მერაბ ბაციშვილი

**10-11 ივნისი**

ევროპის ჩემპიონატის დღიური

# ზოგის მამამ იცუღლუტა, ზოგის მამამ აურია

შაბათს დაიწყო და უქმეებზე ბევრი რამ მოხდა პირველად.

რა დაიწყო და, ევროპის 2000 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი, იგივე ევრო 2000.

პირველად კი... თუნდაც საკუთარ თავზე მოგახსენებთ: ცხოვრებაში პირველად მიწევს დღიურის წერა. ნებისმიერი სახის დღიურს ვგულისხმობ — საფეხბურთოს, საკალათბურთოს, სამოგზაუროს, დაკვირვებათა თუ მეგობრობისას,

შაბათ-კვირას ოფიციალურად პირველად დაფიქსირდა, რომ ორი ქვეყანა ერთდროულად მასპინძლობს რომელიმე დიდ შეჯიბრებას.

თურქეთმა პირველად გაიტანა ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, ოღონდ პირველ გამარჯვებას, ან, თუნდაც ქულის მოპოვებას, ჯერ ვერ ეღირსა.

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა პირველად გაიყვანა გუნდი ოფიციალურ მატჩზე. ვერ გეტყვით, რომ დებიუტი ზღაპრული გამოუვიდა. რა იქნება ხვალ, არავინ იცის, მაგრამ ჯერჯერობით ის ჩანს, რომ რაიკარდი-ფეხბურთელი უფრო დიდი ვინმე გახლდათ, ვიდრე რაიკარდი-მწვრთნელი.

თავიდან კი იყო პირველი მატჩი, რომელშიც თანამასპინძელმა ბელგიამ შვედეთს მოუგო. შვედეთმა წაუგებლად განვლო შესარჩევი ციკლი. ასეთივე გუნდი შეიწირა მეორე თანამასპინძელმა ჰოლანდიამ, რომელმაც ჩეხეთი პენალტით დაამარცხა. ამ პენალტის ასე უბრალოდ აღნიშვნა არ შეიძლება, მასზე ცალკე ვისაუბრებთ, ოღონდ მოგვიანებით.

პირველ მატჩს ევრო 2000-ის პირველი ღამეც მოჰყვა. სისხლიანი ღამე იყო, რაშიც ბრალი, პირველ რიგში, ბელგიის პოლიციას მიუძღვის. ნაკრების გამარჯვებით გახარებული ბელგიელი ფანები ბრიუსელის მთავარ მოედანზე შეიკრიბნენ. ჩხუბი და ლეწვა-მტვრევა არ დაუწყიათ, ანკი რატომ უნდა დაეწყოთ?! მოვიდა პოლიცია და, ემანდ, ამათ რამე არ გააფუჭონო, პროფილაქტიკის მიზნით ჯერ ცრემლსადენი გაზი გაუშვა, მერე კი ხელკეტები აამუშავა. ფანები გაბრაზდნენ და რაც ხელთ მოხვდათ, წესრიგის დამცველებს დაუშინეს. სერიოზულად არავინ დაშავებულა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გატეხილ თავს.

სანამ ბელგია და შვედეთი „მეფე ბოდუენის" მოედანზე არკვევდნენ ურთიერთობას, პოლიციამ იმავე სტადიონის ტრიბუნაზე ბილეთების ქურდები დააკავა. მავან შვედ გულშემატკივარს კომპიუტერი გაუყიდია და ამ მატჩის ბილეთები შეუძენია. შვედი შვილთან ერთად ჩავიდა ბრიუსელში, მაგრამ თამაშამდე ორიოდ საათით ადრე ბილეთებიც მოპარეს და პასპორტიც. ორგკომიტეტმა გულისხმიერება გამოიჩინა და გაწბილებულ მამა-შვილს ორი ბილეთი აჩუქა, თან მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა. სამართალდამცავებმაც ასი ყური და ასი თვალი გამოიბეს და თავყვითელა შვედების სექტორში ორი შავგვრემანი პიროვნება შენიშნეს... ოპერატიულმა ღონისძიებამ არ დააყოვნა, დაკავებულებს იმ შვედი გულშემატკივრის პასპორტი და სხვა ნივთები აღმოაჩნდათ. რა ეროვნების იყვნენ ქურდები, არ იუწყებიან.

ჰოლანდიელი იაპ სტამის მამამ იცუღლუტა ჩეხეთში ამ 28 წლის წინ თუ ჩეხი იან კოლერის მამამ ჩაიდინა მსგავსი რამ ჰოლანდიაში 29 წლის წინ? იქნებ ასეთი არაფერი ყოფილა, მაგრამ ჰოლანდია-ჩეხეთის მატჩისას მოწინააღმდეგე გუნდებში გაჭრილი ვაშლივით მსგავსი ორი ფეხბურთელი თამაშობდა. მეტიც, სტამი და კოლერი ერთმანეთს არ სცილდებოდნენ და ყველა ბურთზე, განსაკუთრებით მაღალზე, დიდი ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. იყო გადახოტრილი თავების ბურთზე ხათქა-ხუთქი.

ერთხელაც სტამმა დაიგვიანა და კოლერის თავურმა ჰოლანდიელთა ხარიხა შეაზანზარა. მერე კოლერი ვერ შესწვდა ბურთს და საკმაოდ მასიური თავი სტამს თვალ-წარბში აძგერა. ტრავმა რა სასიამოვნო სანახავია, მაგრამ სტამის ვაჟკაცობის ხილვა მართლაც რომ ერთ რამედ ღირდა: ქუთუთოს გაკერვისას სახის გამომეტყველებაც კი არ შეცვლია.



REUTERS

ჩეხი იან კოლერის თავმა ჰოლანდიელი იაპ სტამის თავზე ამგვარი ავტოგრაფი დატოვა

დაქაჩა ირჟი ნემეცმა რონალდ დე ბურის მაისურა? დაქაჩა. შეუზღუდა მოძრაობა? შეუზღუდა. მოხდა ეს ჩეხების საჯარიმოში? მოხდა. ესე იგი, იყო პენალტი? იყო.

ნემეცი დაბლა ქაჩავდა დე ბურს თუ მაღლა? დაბლა. დე ბური ამ მოძრაობას დაჰყვა თუ სულ სხვა მხარეს დაეცა? სულ სხვა მხარეს, ოღონდ კი არ დაეცა, ჰაერში აკრობატულად ამოტრიალდა. მექანიკა-გრავიტაციის ახალ კანონთან გვაქვს საქმე თუ დე ბურმა ისიმულიანტა? სიმულაციას ძალიან ჰგავდა. ესე იგი, დე ბური ყვითელ ბარათს იმსახურებდა? იმსახურებდა.

მაშინ, როცა საფეხბურთო სამყარო ამ ორ აზრის მიხედვით იყო გაყოფილი, მსოფლიოს ყველაზე კოლორიტულმა მსაჯმა, იტალიელმა პიერლუიჯი კოლინამ პენალტი დანიშნა. ასე რომ არ მოქცეულიყო, ჰოლანდია, ალბათ, ვერ მოიგებდა... „სირცხვილია. მსგავსი პენალტი დღეს უკვე ვნახე. არ ვაპირებ, მიკერძოებაზე ვიფიქრო, უბრალოდ, ვამბობ, რომ ეს სირცხვილია" — ჩეხთა თავკაცი იოზეფ ხოვანეცი ნაძალადევად ინარჩუნებდა სიმშვიდეს, მისი გუნდის გასახდელში კი გლოვა სუფევდა.

პან ხოვანეცმა, მსგავსი პენალტი დღეს უკვე ვნახეო, ბრძანა. იტალია-თურქეთის მატჩში დანიშნულ თერთმეტმეტრიანს გულისხმობდა. ოგიუნმა იდაყვი წაჰკრა ფილიპო ინძაგის, ამასაც გაფორმება არ გასჭირვებია. „საზიზღარი შოტლანდიელი" — ასე დაასათაურა თურქულმა გაზეთმა „ჰურიეთმა" გუშინდელი ნომრის ერთ-ერთი წერილი. „შოტლანდიელი" მატჩის არბიტრი ჰიუ დალასი გახლავთ, ხოლო „საზიზღარი" იმიტომ, რომ ამ თერთმეტმეტრიანით გატანილი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. „მსაჯებმა კოშმარი მოგვიწყეს" — გაჰკივის „საბაჰი". მავანი თურქი ჟურნალისტი კი მწვრთნელ მუსტაფა დენიზლის მისდგა: „პენალტი არასწორად დაინიშნა, მაგრამ თქვენს შეცდომებზე რას იტყვით?"

ვერ გამოდგა თურქების დებიუტი რიხიანი. ჯერჯერობით ამაოა იქაურ გულშემატკივართა ბაქი-ბუქი: ისეთი გუნდი გვყავს, ჩემპიონობა შეუძლიაო. აბა, საჩემპიონო გუნდს ერთ ტაიმში საკუთარ კარის ხაზიდან სამი ბურთი უნდა გამოჰქონდეს? მეორე მხრივ, ფავორიტად შერაცხული იტალია იმ სამ ბურთს ვერ უნდა იტანდეს? „სკუადრა აძურას" თავკაც დინო ძოფის კომენტარი მეტად აკადემიური იყო: „მოვიგეთ. ორი ბურთი გავიტანეთ, პენალტი, მე მგონი, იყო. ერთი ბურთი გავუშვით ფლანგიდან ჩამოწოდების შემდეგ". დონ დინო, თქვენ დაგავიწყდათ გეთქვათ, რომ ახლა 2000 წელია, იტალიამ სამი ქულა მოიპოვა, ბუფონი დამტვრეულია, ხოლო იაპონია — აზიაშია.

ბელგიაში არის ქალაქი გენკი, რომლის საფეხბურთო გუნდსაც ამ ერთი წლის წინ საქართველოში ზარ-ზეიმით ჩამოსული და ამ ექვსი თვის წინ აქედან აორთქლებული ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი თავკაცობს. ამ გუნდის სტადიონზე გიგანტური ტელეეკრანი დაედგათ, რომელზეც იტალია-თურქეთს უჩვენებდნენ. გენკში რამდენიმე ათასი იტალიელი და დაახლოებით ამდენივე თურქი ცხოვრობს. სტადიონზე სულ ათასამდე კაცი შეიკრიბა.

დანიშნა თუ არა ჰიუ დალასმა თურქეთის კარში პენალტი, რამდენიმე ათეული იტალიელი თურქ გულშემატკივრებს ეცა და ცემა დაუწყო. გენკის პოლიცია 12 წუთის შემდეგ გამოცხადდა არეულობის ადგილზე და ხელკეტებით ჩააცხრო ვნებათაღელვა. გულშემატკივრები არ დაშავებულან, ორი წესრიგის დამცველი კი მსუბუქად დაიჟეჟა.

დამთავრება მინდოდა, მაგრამ უცბად წარმოვიდგინე, რომ სადღაც ესტონეთში ვიღაც ჩემნაირიც წერს დღიურს. მისი კვირა დღის ჩანაწერი მაინტერესებს. ეჭვი მაქვს, რომ ასეთი რამ უწერია: „დღეს ჩვენმა ნაკრებმა 1:0 მოუგო საქართველოს. მამაჩემი ამბობს, ადრე ქართველებს დიდი მოთამაშეები ჰყავდათ და ფეხბურთსაც კარგს თამაშობდნენო. რა მოუვიდა ამ კაცს, სკლეროზი შეეპარა თუ საქართველო რომელიღაც სხვა ქვეყანაში აურია?"

---



## გაიოზ დარსაძე

*სპეციალისტის აზრი*

ცნობილმა გერმანელმა მწვრთნელმა ჰანს ვაისვაილერმა ერთხელ თქვა — მაჩვენეთ ის, ვინც მეორეობით კმაყოფილია და მე თქვენ დასამარცხებლად განწირულს გაჩვენებთო.

ცხადია, არსებობენ ისეთი გუნდებიც, პირველობაზე სიზმარშიც რომ არ ოცნებობენ, მაგრამ ასეთები ახლა შინ ტელევიზორს უსხედან და ევროპის ჩემპიონატს თვალს ისე ადევნებენ.

ბენილუქსში კი არ მეგულება გუნდი, რომელიც ნაგებაზე მეტს ფიქრობს და, შესაბამისად, ვერმოგებისთვისაა განწირული.

B და D ჯგუფების მატჩებმა ბოლოდროინდელი ტენდენციები დაადასტურა, დაგვანახა, რომ მრავალ ქვეყანაში საფეხბურთო დონის ასამაღლებლად მუხლჩაუხრელი და გააზრებული შრომა ადრინდელ მაჩანჩალათა სწრაფ (ფავორიტთა წინსვლასთან შედარებით) პროგრესს იწვევს. ეს კი საბოლოოდ ძალთა გათანაბრების მიზეზია.

რა გვიჩვენა პირველი ორი დღის მატჩებმა?

— გახსნის მატჩში მოჭარბებული მღელვარება, საყოველთაო პრესინგი, რაც თავისთავად გულისხმობს კარგ ფიზიკურ მზადყოფნას, მოთამაშეთა (პირველ ყოვლისა, მეკარეთა) სიმაღლის ზრდა, სტანდარტულ მდგომარეობათა დახვეწილობა და მათი მაღალი შედეგიანობა, ასევე დაცვაში ხაზზე თამაშისთვის უპირატესობის მინიჭება.

გამოსაყოფია ის გარემოება, რომ მცველები ბურთს უმისამართოდ არ იგერიებენ და გუნდებს საჯარიმოდან მისი გამოტანის რამდენიმე ვარიანტი აქვთ დამუშავებული.

ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია მეკარეების, როგორც ფაქტობრივი ლიბეროების როლი, რაც მათგან ფეხით თამაშის კარგ ცოდნას მოითხოვს.

ბელგია — შვედეთის შეხვედრაში ხომ სწორედ მეკარის შეცდომით გავიდა სკანდინაველთა გოლი. ფილიპ დე ვილდე ფეხით თამაშისას შეცდა, მაგრამ რამ აიძულა მცველი, მეკარისთვის დაებრუნებინა ბურთი? იმ სიტუაციაში, როცა ყველა ბელგიელი მეტოქის ძლიერ ზეწოლას გრძნობდა, მცველს საჯარიმოდან ბურთის ამოტანის სხვა გზა არც ჰქონდა. პრესინგმავე შვა ჩემპიონატის პირველი გოლი. მაშინ, როცა ვეტერანმა შვედმა როლანდ ნილსონმა ყველა თანაგუნდელი მეტოქის მჭიდრო მეურვეობაში აღმოაჩინა, ბურთის ტარება დაიწყო და საბოლოოდ კიდეც დაჰკარგა. ემილ მპენზას გატანილი (შვედთა აზრით, ხელით გასწორებული) ბურთი კი, რომელიც თავად მან სტრუპარისგან, სტრუპარმა კი აუტიდან მიიღო, არ გამოვრიცხავ, შინ დამუშავებული კომბინაციის შედეგი იყოს.

პირველივე მატჩში ერთობ თვალშისაცემი გახლდათ თამაშის მაღალი ტემპი, მაგრამ ასევე ცხადი გახლდათ მეტი სწორხაზოვნება და ნაკლები იმპროვიზაცია.

ბელგია — შვედეთისგან განსხვავებით, რომლებმაც 4-4-2 ტაქტიკური სქემით ითამაშეს, იტალიამ თურქეთთან 3-5-1-1-ს მიმართა, დინო ძოფმა თავდასხმაში ონდავ უკანდახეული ფრანჩესკო ტოტი და წმინდა წყლის ფორვარდი ფილიპო ინძაგი განაწესა. აპენინელებმა თავდაპირველ უპირატესობას ზურგსუკან პასების ხარჯზე მიაღწიეს, მაგრამ თურქებმა იგივე პრესინგის და ტექნიკურ ფეხბურთელთა სიმრავლის წყალობით შეძლეს თამაშის გათანაბრება. და მაინც, იტალიამ შეძლო თურქთა ნახევარდაცვასა და თავდამსხმელ ჰაქან შუქურს შორის კავშირის გაწყვეტა, რამაც ბურთის კონტროლისას თურქთა უპირატესობა გამოუყენებელი დატოვა.

ბოლოდროინდელი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სტანდარტული მდგომარეობიდან ბევრი გოლი, საერთო რაოდენობის 30 პროცენტზე მეტი გადის. ორი პენალტი და ერთი საჯარიმო დარტყმა — ასეთია პირველი ათი გოლიდან სტანდარტულების წილი. მართალია, ორივე პენალტი ჩემი აზრით ძალიან საეჭვოიყო, მაგრამ ციფრებს ვერსად გავექცევით.

წინა მატჩებს ბევრად სჯობდა საფრანგეთ — დანიის შეხვედრა. დანიელებმა თავიდან დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მსოფლიოს ჩემპიონს, მაგრამ საბოლოოდ მაინც უკეთ ორგანიზებულმა, მოწესრიგებულმა, ვარსკვლავებით დაკომპლექტებულმა საფრანგეთმა იძალა. აღსანიშნავია ფრანგი მცველების თამამი ჩართვები იერიშებში, რითაც „მამლები" დიდ უპირატესობას აღწევენ. ამის დასტურია ლორან ბლანის გოლი. ტიერი ანრის გატანილი კი ზინედინ ზიდანის ჩინებული პასის და თავდამსხმელის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის შედეგი გამოდგა.

შაბათ-კვირას ნანახთაგან საფრანგეთმა უძლიერესის შთაბეჭდილება დატოვა. არანაკლები სიმპატიები დაიმსახურა ჩეხეთმა, მაგრამ ჰოლანდიასთან მარცხი მის სატურნირო მდგომარეობაზე შეიძლება დამღუპველად აისახოს.

არადა, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდია ჩეხეთთან მატჩში ფავორიტად ითვლებოდა და პირველ ნახევარში ბურთის ფლობისას ძალიან დიდ უპირატესობასაც (64% 36%-ზე) მიაღწია, ჩანდა, მეტოქის იოლად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დამარცხებას ფიქრობდა და ეს წესით, ძვირადაც უნდა დაჯდომოდა.

ჩეხეთი მეორე ტაიმში ძალიან ორგანიზებულ და კარგად მომზადებულ გუნდად გამოჩნდა, მათ მეტი საგოლე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ არგატანა, მოგეხსენებათ, ხშირად რითი ისჯება.

მე პირადად შემეცოდა ჩეხეთის ნაკრები, რადგან რომ არა ჰოლარდიური „საკუთარი კედლები" ბოლო წუთზე ასეთი პენალტი არბიტრ კოლინას შეიძლება არც დაენიშნა.

მიუხედავად ჩეხთა მიმართ დიდი სიმპატიისა, თუკი ამ უმძიმესი ჯგუფიდან გასვლა სათუო არ გაუხდა, ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი თანამასპინძელ ჰოლანდიასთან ერთად ალბათ მაინც მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესტონეთს პერსპექტივა, საქართველოს რეტრო?



მერამდენე მატჩია, საქართველოს ნაკრების საუკეთესო მოთამაშე მეკარეა. ერევანსა და ბაქოში გვარამაძემ იყოჩაღა, ტალინში კი იოსებ გრიშიკაშვილმა (ფოტოზე)

ტალინი
11 ივნისი
11 საათი
კადრიორგი
1 200

**ესტონეთი 1:0 საქართველო**

1:0 პიიროია (17)
ზელინსკიმ ვერ გაიტანა პენალტი (17)
ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, სტეპანოვი, ალასი (ხოხლოვ-სიმსონი 75), სავიაუკი (როოსა 60), ალონენი, ტერეხოვი, ანისტე, პიიროია (იიურისონი 46), ოპერი, ზელინსკი
საქართველო: გრიშიკაშვილი, სილაგაძე, ხიზანიშვილი, სიჭინავა (რეხვიაშვილი 71), კობიაშვილი, ყველაშვილი (დემეტრაძე 56), ნემსაძე, ა. არველაძე (ჩალაძე 62), ქეცბაია (ალექსიძე 62), ქინქლაძე (რ. არველაძე 71), შ. არველაძე
გაფრთხილება: ალექსიძე (66), ჩალაძე (90)
მსაჯი: ს. კალდმა (ესტონეთი)

**ტარმო ლეხისტე** ტალინიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

საქართველოს ნაკრების ტალინში სტუმრობამ დიდი ინტერესი კი გამოიწვია, მაგრამ, ეტყობა, ახალდაწყებულმა ევროპის ჩემპიონატმა გულშემატკივრებზე ისე იმოქმედა, სტადიონზე მისვლას შინ დარჩენა და ამხანაგური მატჩის ტელევიზორში ხილვა ამჯობინეს. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ არც შემცდარან. „კადრიორგზე" მოკალათებული 1200 ქომაგის კი რა მოგახსენოთ...

მატჩი ერთობ უინტერესო და მოსაწყენი გამოდგა. 90 წუთის განმავლობაში უპირატესობა სტუმრებისა კი გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც წაგებულები დარჩნენ. ქართველებს პოომის კართან ერთ რეალურ მომენტზე მეტი არ შეუქმნიათ.

ისიც მეორე ტაიმში იყო, დემეტრაძემ საჯარიმოში ბურთი კარისგან ზურგშექცევით მდგომა რომ მიიღო. დაამუშავა, შეტრიალდა, ერთი მცველიც მოატყუა, პოომს გაუსწორდა და ძლიერად დაარტყა. მასპინძელთათვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. კარი ძელმა იხსნა.

სტუმრები ძალიან დიდხანს აგორებდნენ ბურთს, ძირითადად მოედნის ცენტრში, კართან მიახლოება კი უჭირდათ, რადგანაც ესტონელი მცველები ძალიან კარგად, საიმედოდ თამაშობდნენ და როგორც კი ბურთს მოიგდებდნენ, დაუყოვნებლივ წინ, ესტონელთაგან საუკეთესო ოპერის მისამართით ურტყამდნენ. სხვათა შორის, ეს სწორედ ის ოპერია, კიევის „დინამოს" დანიური „ოლბორგის" მაისურით ჩემპიონთა ლიგის მატჩში კიევში გოლი რომ გაუტანა.

მასპინძლებს კვირას საგოლედ სამი-ოთხი ნაღდი მომენტი ჰქონდათ, თუმცა გრიშიკაშვილის გადამკიდეებმა ერთის მეტი ვერ გაიტანეს. ის ერთიც მე-17 წუთზეც, როცა ზურაბ ხიზანიშვილმა ანდრეს ოპერს მაისურაზე დაქაჩა და მსაჯმა პენალტი უყოყმანოდ და სამართლიანად დანიშნა. პენალტი ზელინსკიმ ძალიან ცუდად დაარტყა, ბურთი გრიშიკაშვილმა მოიგერია, პიიროიამ ყველას დააწრო და ანგარიშიც გაიხსნა.

ამის მერე ქართველები ოდნავ კიდევ გააქტიურდნენ, მაგრამ როგორც ვთქვით, დემეტრაძის მომენტის გარდა, ღირებული არაფერი გაუკეთებიათ.

მეორე ტაიმში ზელინსკის ისევ ქართველმა მეკარემ აჯობა და სასწაულებრივად აუღო დარტყმული, შემდეგ კი არც ოპერს გაატანინა. ორი აზრი არ შეიძლება იყოს, ამ მატჩში საუკეთესონი მასპინძელთა ოპერი და სტუმართა გრიშიკაშვილი გახლდნენ. რომ არა მეკარე, ესტონელები, ალბათ, მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვებდნენ.

ესტონეთმა, ცხადია, გაიხარა. მით უმეტეს, საქართველომდე კვირით ადრე ბელარუსსაც მოუგო, მაგრამ აქაურებს მაინც გასაკვირად დაურჩათ, როგორ წამხდარა სახელოვანი წარსულის პატრონ ქართული ფეხბურთის საქმეო.

**მატჩის შემდეგ**

*დავით ყიფიანი. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელთაგანი:*

— ესტონეთი ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით დედაქალაქი — ტალინი. აქაურ ხალხს დიდ პატივს ვცემ და მიხარია, რომ აქ სტუმრობის საშუალება მომეცა.

ჩვენი ფეხბურთელებით აღშფოთებული ვარ. მათ დღეს რატომღაც თამაში არ უნდოდათ. ისე, ერთიცაა — სეზონი დამთავრებულია და ყველა გადაღლილია. ესტონელებსა და აზერბაიჯანელებს კი შეგნებულად შევუთანხმდით ივნისში თამაშზე. გაისად სწორედ ამ დროს გვაქვს შესარჩევ ჯგუფში ორი მატჩი — იტალიასთან და უნგრეთთან.

*ტარმო რიუიუტლი. ესტონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— საქართველოს ერთობ ტექნიკური გუნდი ჰყავს. ძალიან ძნელია, ქართველ ფეხბურთელებს ბურთი წაართვა. ჩვენი მცველები დღეს ფაქტობრივად უშეცდომოდ თამაშობდნენ რამაც განაპირობა კიდეც ასეთი ძლიერი გუნდის დამარცხება. პერსპექტივა გვაქვს, ამაში შესარჩევი მატჩებისას დარწმუნდებით.

# რაც არ გვაქვს, ვითომ გვექნება?

სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზი. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ტრადიციული პრესკონფერენცია. ბევრი აქამდე მოსმენილი და ბევრიც ახალი ამბავი. მოკლედ, ფეხბურთის ფედერაციისა და ჟურნალისტებისთვის ერთი ჩვეულებრივი, რიგითი სამუშაო დღე იყო.

მარცხნივ გამაგრილებელი სასმელები და სხვადასხვა ზომის ჭიქები „ამშვენებდა" მაგიდას, მარჯვნივ კი „ლოტოს" ფირმის სრული ერთი კომპლექტის გამოფენა დაგვხვდა. ჟურნალისტები მასპინძლებთან ახლოს მოვკალათდით და პრესკონფერენციაც დაიწყო.

ძირითადი მოსაუბრე მერაბ ჟორდანია გახლდათ, კითხვების უმრავლესობასაც მან უპასუხა. გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია მხოლოდ ერთხელ შევაწუხეთ.

ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელთა უპირველესი საფიქრალი, რა თქმა უნდა, ეროვნული ჩემპიონატია და ფედერაციის პრეზიდენტმა უმეტესი დრო ეროვნულ გათამაშებას, ჩვენებურ კლუბებსა და მომავალ ჩემპიონატს დაუთმო.

„ეროვნული ჩემპიონატი ჯერჯერობით ვერ არის იმ დონის, როგორიც ჩვენ ყველას გვსურს ვიხილოთ, მაგრამ გარკვეული დადებითი მომენტები მეთერთმეტე გათამაშებასაც ახლდა თან — ინტრიგა შეინარჩუნა, ბოლო ტურამდე ბევრი რამ იყო გაურკვეველი. რამდენიმე თამაშს, განსაკუთრებით ქუთაისსა და ბათუმში, იმდენი მაყურებელი დაესწრო, რომ დაფიქსირებული ციფრი საშუალო ევროპულ დონეს დააკმაყოფილებს.

უარყოფით მხარეებსაც კარგად ვხედავთ და გვერწმუნეთ, მათ აღსაკვეთად აუცილებლად გატარდება ზომები.

გამოიკვეთა 8-9 ისეთი გუნდი, რომლებიც ფინანსურად მომაგრდნენ და საგანგაშო არაფერი ემუქრებათ, 3-4 კი ისეთია, თავის გატანას შეძლებს. მადლობას მოვახსენებ ბატონებს: თეიმურაზ შაშიაშვილს, მიხეილ ქორქიას, გურამ რუხაძეს, ფოთის „კოლხეთის" ხელმძღვანელებს, „სიონის" თავკაც ზურაბ ჯაფარიძეს, ლოკომოტივის პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს, რომლის სახელთანაც საფეხბურთო კლუბი პირდაპირ კავშირშია.

თბილისის „მერანმა" ფეხზე წამოდგომა შეძლო და ეს კლუბის ახალი მეპატრონის, დავით ფურცელაძის დამსახურებაა. მჯერა, „მერანი" გაცილებით მეტის მიღწევას და გაკეთებას შეძლებს.

სასიკეთო ძვრები შეინიშნება რუსთავშიც. საერთოდ, უკვე მომრავლდნენ გუნდები, რომელთაც კერძო მფლობელები ჰყავთ და სხვებზე არ იქნებიან დამოკიდებული.

ალბათ, ყველას ინტერესებში შედის, ყოველმხრივ გამართული და ძლიერი „დინამო" იხილოს. ფედერაციასაც სურს, რომ „დინამომ" ლიდერის პოზიცია დაიბრუნოს, რათა სხვა კლუბებსაც მისცეს მაგალითი. დღეს გუნდის უმთავრესი პრობლემა ხელახალი რეგისტრაციაა. იმედია, საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება, მაგრამ უამისოდ, თუ კლუბი რეგისტრაციაში ვერ გატარდა, მიუხედავად მისი უდიდესი სახელისა და ტრადიციის პატივისცემისა, ვერც ეროვნულ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

13 ივნისს უეფას დადგენილი ვადა იწურება. „დინამომ" „მრეტების" ვალიც უნდა დაფაროს და ფიფასაც თავისი გადაუხადოს. გუშინ ფედერაციამ მიიღო „დინამოს" წერილი, სადაც კლუბი ცნობს თავის ვალებს, თანხმაა, „მრეტებს" კუთვნილი გადაუხადოს და ჯარიმაც აანაზღაუროს. ვიცით, დღეს კლუბი რა მდგომარეობაშია, ამიტომ ისინი დახმარებას გვთხოვდნენ და ჩვენც ფიფა და უეფა ჩავაყენეთ საქმის კურსში, თუმც რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ცნობილი არ არის.

რაც შეეხება მომავალ გათამაშებას, გთხოვთ, მეთორმეტე ჩემპიონატი განსაკუთრებულ-გამორჩეულ მოვლენად აღვიქვათ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა უმაღლესი ლიგა სოლიდურად გამოიყურებოდეს.

ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის არნახული (საქართველოში) პრემიალურები ექნება. ნაკრების თავკაცებს ჯერ არ შევხმიანებივართ. ისინი ევროპის ჩემპიონატზე მივავლინეთ, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ ირანის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურად გაჯიბრება უკვე გადაწყვეტილია. მოლაპარაკებები მიმდინარეობს მექსიკისა და ყაზახეთის წარმომადგენლებთან. საქართველოს ნაკრები ორიდან ერთს აუცილებლად გაეჯიბრება.

მივიღეთ ახალი ფორმის სრული კომპლექტები ორი გუნდისთვის. იცით, ჩვენს ტექნიკურ სპონსორთან — „ლოტოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გვაკავშირებს. ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის „ლოტოსგანაც" მიიღებს პრემიალურებს.

მიკროავტობუსი შევიძინეთ, ავტობუსიც მალე ჩამოვა, ხოლო ბაზისა და ფედერაციის ახალი ოფისის შესახებ ინფორაციას ბატონი ვალერი მოგაწვდით".

მერაბ ჟორდანიამ სიტყვა ვალერი ჩოლარიას გადასცა და ამის შემდეგ პრესკონფერენციაც მალევე დამთავრდა.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-უეფასგან დაახლოებით ერთ მილიონ დოლარს მიიღებს. ამას დავუმატოთ პროგრამა „გოლის" მიერ გამოყოფილი ნახევარი მილიონიც. ერთი მილიონი ბაზის მშენებლობას მოხმარდება. მართალია, მის კეთილმოწყობას ბოლომდე არ ეყოფა, მაგრამ ძირითადი სამუშაოებისთვის საკმარისია. დარჩენილი ნახევარი მილიონით კი ფედერაციის ახალი ოფისი აშენდება".

რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოებას, ფედერაციას ბოლომდე ჯერ არაფერი გადაუწყვეტია, მაგრამ „ტორპედოს", ალბათ ქუთაისშივე გადასცემენ მედლებს და „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამო" — „ლოკომოტივსაც" საკადრის საზეიმო ცერემონიალს ჰპირდებიან.

**მამუკა ქვანტალიანი**



ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესკონფერენცია სპორტის დეპარტამენტში



საქართველოს ნაკრების ამუნიციის ლოტოსეული სანიმუშო კომპლექტი

# ვერ თამაშობ? ვერ იმსაჯებ!

*ორი კვირაა არქივს ჩაბარდა მეთერთმეტე ეროვნული, უფრო ადრე ჩაცხრა სათასო ვნებეთაღელვა. არდადეგები უდგას ახლა ქართულ ფეხბურთს. ეგაა, ნაკრები თამაშობს (ისემც ცხონდა) ამხანაგურად და „დინამოც“ ემზადება საინტერტოტოოდ. ერთი სიტყვით, არდადაგებია. ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, სფფ-ის მაღალ თუ დაბალჩინოსნებს მეტნაკლებად განტვირთვის დრო უდგათ. ეს კი ასეა, მაგრამ ყველაზეც არ ითქმის. სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავჯდომარეს სწორედ რომ ახლა მოჭარბებია საქმე. კი მართალია, ანატოლი მილჩენკო ბოლო დროს საკანცელარიო საქმეებს მოწყვეტილი იყო, მაგრამ, დახეთ, ექვს დღეში სამჯერ გავიდა მოედანზე. 62 წლის კაცმა ახალგაზრდული ენერგიით, შესაშურად განსაჯა სამეგრელოს და იმერეთის „შავოსანთა“ შეხვედრები გურამ გაბისკირიას სახელობის თასზე ზუგდიდსა და წყალტუბოში. ამათ შუალედში კი „ბათუმისა“ და აფხაზეთის ნაკრების საქველმოქმედო მატჩი. რამდენიმე დღეში ანატოლი მილჩენკოს ერთხელაც ვიხილავთ მსაჯის სამოსელში. როგორც იცით, 19 ივნისი ჩვენში მსაჯთა დღეთაა გამოცხადებული და ამ დღის აღსანიშნავად დედაქალაქში სხვა ღონისძიებებთან ერთად დასავლელ და აღმოსავლელ არბიტრთა შეხვედრაც შედგება. მასაც „ვასილიევიჩი“ გაუძღვება.*



ანატოლი მილჩენკო

**— საიდან ამდენი ენერგია?**

— წლები კი მომემატა, მაგრამ გულით ისევ ახალგაზრდა ვარ. მარტო ქაღალდებთან მუშაობას ვერ ვეგუები. ახლაც ფეხბურთის მსაჯი ვარ მთელი არსებით. ვვარჯიშობ, ვცდილობ ფორმა შევინარჩუნო. მგონი, ვახერხებ კიდეც.

**— სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის სათავეში თქვენი მისვლის შემდეგ ქართული თემიდის ცხოვრე-ბაში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ, ამასთან ნაკლოვანებები-ცაა, ოღონდ ეს ცალკე საუბრის თე-მაა. ახლა ის მინდა გკითხოთ, ახალგაზრდა კოლეგებთან რომ თეორიული ცოდნის ამაღლებას, სათანადო ფიზიკურ მომზადებას მოითხოვთ, გასაგებია, მაგრამ მსაჯისთვის ფეხბურთის თამაში რა აუცილებელია?**

— აუცილებელია. საქართველოში ყველა გულშემატკივარმა უნდა იცოდეს, რომ მსაჯს, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატს ემსახურება, ფეხბურთის თამაში შეუძლია. სხვაგვარად არ იქნება. თქვენ თავად ნახავდით, კაცი ბურთს ფეხს ვერ ურტყამს, აუტიდან ბურთს ვერ აწვდის. გეკითხებით: ივარგებს ეს კაცი მსაჯად. როგორ უნდა გაარჩიოს თამაში? მე პირადად ყველაფერს ყურადღებას ვაქცევ და სათანადო დასკვნებიც გამომაქვს. ზუგდიდსა და წყალტუბოში გამართულმა კოლეგების თამაშმა დამარწმუნა, რომ ყველა როდი იმსახურებს ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯობის პატივს. თამაშით კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მომავალშიც ბევრს ვითამაშებთ. ჯერ „მსაჯთა დღეს“ მოვილევთ. გვსურს სეზონი მაჟორულ ნოტზე დავამთავროთ. ჯერ დასავლელი და აღმოსავლელი მსაჯები შეხვდებიან ერთმანეთს. ამას სხვა ღონისძიებები მოჰყვება. საუკეთესო მსაჯებს სიგელებს, დიპლომებს გადავცემთ. სფფ-ს აღმასკომმა სამახსოვრო საათები და სხვა ფასიანი საჩუქრები გამოგვიყო კოლეგების წასახალისებლად. ქვეყნის 10 წამყვან არბიტრს იმ დღეს დავასახელებთ.

არ დაგიმალავთ, ბოლოს ბანკეტს ვმართავთ. ყველანი ერთად დავსხდებით, ერთმანეთს მოვეფერებით. ვინ იცეკვებს, ვინ იმღერებს. ერთი სიტყვით, გავერთობით და მერე... ახალი სეზონისათვის მზადებას შევუდგებით. გეგმა შემუშავებული გვაქვს.

სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებს დავუკავშირდებით, იქ ჯერ სტუმრად ჩავალთ სათამაშოდ, მერე კი აქეთ მოვიწვევთ, ქუთაისში, ზუგდიდში ან თბილისში. ამიერკავკასიის მსაჯთა ნაკრების ჩამოყალიბებას ვაპირებთ. რუს, ბელარუს, მოლდოველ და უკრაინელ კოლეგებს შევეხმიანებით. ბევრი ნაცნობ-მეგობარი გვყავს დსთ-ს ქვეყნებში. ისინი სიამოვნებით წამოვლენ კონტაქტზე. ვნახოთ. ბევრი რამ ფინანსურ შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული. ფედერაცია, რაღა თქმა უნდა, დაგვეხმარება, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდება. იქნებ სპონსორებიც გამოგვიჩნდნენ.

**— გავიგეთ, წიგნზე მუშაობთ, ხომ ვერ გვეტყვით, რას წარმოადგენს იგი?**

— კარგია, რომ შემახსენეთ. სწორედ 19 ივნისისთვის დაიბეჭდება ჩემი ნაშრომი „ფეხბურთელებისათვის, მსაჯებისათვის, გულშემატკივრებისათვის“. 200-გვერდიანი წიგნი უმთავრესად თამაშის წესებს ეხება, მოიცავს 600 კითხვა-პასუხს, სხვადასხვა განმარტებებს. ფეხბურთის წესებში იმდენი ცვლილებები შეიტანა ბოლო დროს ფიფა-მ, რომ ასეთი წიგნის გამოცემა აუცილებელი შეიქნა. წიგნის ავ-კარგიანობას და ჩემს ნამუშევარს მკითხველი შეაფასებს.

**— უახლოეს გეგმებზე უფრო კონკრეტულად...**

— საინტერტოტოოდ ორი გამოძახება მივიღეთ. 17 ივნისს სერგო კვარაცხელია თურქული „ქოჯაელისფორისა“ და ლიტვური „ატლანტასის“ მატჩს გაუძღვება, მას კახა მესხი და ალექსანდრე შილაკაძე დაეხმარებიან. 24 ივნისს უნგრული „ტატაბანიასა“ და ფარერების „ტორსჰავენის“ საპასუხო თამაშს განსჯიან მერაბ მალაღურაძე, მამუკა ელიკაშვილი და ოთარ გუნთაძე. ეჭვი არ მეპარება, რომ გამოძახებები კიდევ გვექნება.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით გავაფრთხილო მსაჯები, რომ დასვენების უფლება არა გვაქვს, მეთორმეტე ეროვნულისთვის მზადებას აქედანვე უნდა შევუდგეთ. ფიზიკური კონდიციები უნდა შევინარჩუნოთ. რა თქმა უნდა სემინარებსაც ჩავატარებთ, სავარაუდოდ ივლისის ბოლოს, ჩემთვის კარგად ნაცნობ ადგილებში — ბორჯომში ან ბაკურიანში. მანამდე საკონტროლო თამაშები იქნება და რაც მეტი, ჩვენთვის უკეთესი. მსაჯებს პრაქტიკა ჩემპიონატში გამოადგებათ.

**— კიდევ რას გვეტყვით?**

— ერთ კვირაზე მეტი დავყავი ჩვენს დასავლეთში და დავრწმუნდი, რომ ადგილებზე ხალხი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს. ახალი სეზონიდან კი სამეგრელოს და იმერეთის რეგიონების ფეხბურთის ფედერაციებს, მათ პრეზიდენტებს გელა ინალიშვილს და გურამ ფილიპაშვილს მეტი გარჯა მართებთ, მათ ხომ საკუთარი ძალებით მოუწევთ რეგიონალური ლიგის შეჯიბრებების გამართვა და დიდი იმედი მაქვს, ამ საპასუხისმგებლო საქმეს თავს გაართმევენ.

**იუზა ძაციტაძე** ქუთაისიდან

## იტალია

XXXVIII ტური

**ატალანტა 1:1 ჩეზენა**

0:1 სუპერბი (22), 1:1 ნაპი (23)

**კოზენცა 2:2 ბრეშა**

0:1, 0:2 უბნერი (13, 25), 1:2 დე ფრანჩესკო (27პ), 2:2 კოლე (42)

**ემპოლი 4:2 კიევო**

1:0 დი ნატალე (13), 2:0 ბრეშიანო (20), 3:0 დი ნატალე (24), 3:1 ალიეტი (51პ), 3:2 მარაზინა (52), 4:2 კაპელინი (76)

**ნაპოლი 1:3 ჯენოა**

0:1, 0:2 კარპარელი (29, 60), 1:2 გალეტი (79), 1:3 ფრანკიოზო (90)

**პესკარა 3:3 მონცა**

1:0, 2:0 ჯამპაოლო (10, 17), 2:1 ამბროზი (20), 3:1 ძანინი (23), 3:2 ამბროზი (37), 3:3 ლანტინიოტი (65)

**რავენა 1:2 პისტოიეზე**

0:1 ტრამეძანი (28), 1:1 გრაბი (39), 1:2 კარბონე (54)

**სამპდორია 3:2 ალძანო**

1:0 იოვიჩიჩი (12), 2:0 ფლაკი (30პ), 3:0 ვაზარი (66პ), 3:1 ფერარი (76), 3:2 ფლორიანჩიჩი (86)

**ტერნანა 2:1 ფერმანა**

0:1 კულოშეკი (23), 1:1 არტიკო (28), 2:1 ფაბრიცი (29)

**ვიჩენცა 3:2 სავოია**

1:0 ფირმანი (5), 1:1 ჟირარდელო (30), 1:2 ბიანკონე (52), 2:2, 3:2 ლუიზო (60პ, 87)

**ტრევიზო 7:1 სალერნიტანა**

1:0 პიანუ (18), 1:1 დი მიკელე (27), 2:1 პიცი (49), 3:1, 4:1, 5:1 ტემელინი (52, 54, 68პ), 6:1 როკო (71), 7:1 ბეგეტო (77)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 38 | 20 | 7 | 11 | 69:45 | 67 |
| ნაპოლი | 38 | 17 | 12 | 9 | 55:44 | 63 |
| ბრეშა | 38 | 16 | 15 | 7 | 54:38 | 63 |
| ატალანტა | 38 | 17 | 12 | 9 | 51:34 | 63 |
| სამპდორია | 38 | 17 | 11 | 10 | 45:40 | 62 |
| ჯენოა | 38 | 16 | 9 | 13 | 51:42 | 57 |
| სალერნიტანა | 38 | 14 | 10 | 14 | 55:61 | 52 |
| ტრევიზო | 38 | 13 | 12 | 13 | 56:48 | 51 |
| ემპოლი | 38 | 13 | 12 | 13 | 42:52 | 51 |
| ტერნანა | 38 | 11 | 16 | 11 | 45:47 | 49 |
| რავენა | 38 | 11 | 15 | 12 | 41:39 | 48 |
| კოზენცა | 38 | 11 | 15 | 12 | 36:41 | 48 |
| პესკარა | 38 | 10 | 17 | 11 | 62:55 | 47 |
| მონცა | 38 | 9 | 20 | 9 | 45:46 | 47 |
| კიევო | 38 | 11 | 14 | 13 | 48:53 | 47 |
| *ჩეზენა* | *38* | *8* | *21* | *9* | *47:45* | *45* |
| *პისტოიეზე* | *38* | *13* | *10* | *15* | *39:43* | *45* |
| ალძანო | 38 | 10 | 12 | 16 | 39:51 | 42 |
| სავოია | 38 | 6 | 11 | 21 | 36:62 | 29 |
| ფერმანა | 38 | 6 | 11 | 21 | 36:66 | 29 |

*15 და 18 ივნისს პლეი ოფში მეოთხე გავარდნილის ვინაობას „ჩეზენა“ და „პისტოიეზე“ გაარკვევენ*

### სერია C1/A

პლეი ოფი. ფინალი

ბრეშელო — ჩიტადელა 1:1

*„პიზა“ ისვენებს*

### სერია C1/B

პლეი ოფი. ფინალი

ანკონა — ასკოლი 1:1

*„არეცო“ ისვენებს*

## პოლონეთი

თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

**ამიკა 3:0 ვისლა (2:2)**

1:0 ბილინსკი (8), 2:0 ზიენჩუკი (45), 3:0 სობოჩინსკი (84)

5 500 მაყურებელი

### კირინის თასი

**იაპონია 1:1 სლოვაკეთი**

0:1 დჟურიკი (7), 1:1 ნაკამურა (9)

45 890 მაყურებელი

## ფეხბურთის ქრონიკა



**ესპანური „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა დაადასტურა, რომ ქვეყნის ჩემპიონ „დეპორტივოდან“ ფლავიო კონსეისაოს ყიდვა სურს. „ფლავიო მეტად საინტერესო ფეხბურთელია — თქვა სანსმა — მის მადრიდში გადმოყვანას რამდენიმე სეზონის წინ ვაპირებდით, მაგრამ მაშინ „დეპორტივომ“ დიდძალი თანხა მოითხოვა. არ გამოვრიცხავ, ფეხბურთელი წლეულს შევიძინოთ“. ბრაზილიელს რამდენიმე წამყვანი ინგლისური გუნდიც იწვევს, მისი მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა გაზეთ „მარკას“ განუცხადა, რომ „ლაციოს“ არგენტინელ ლეგიონერ ხუან სებასტიან ვერონსაც დაადგა თვალი. „ვერონის დასაკუთრება ნამდვილად გვინდა. ის ძალიან ძლიერი ნახევარმცველია, მაგრამ რომაული კლუბი მას ჯერჯერობით არ ყიდის, ჩვენ კი 50 მილიონ დოლარს ფეხბურთელში ვერ გადავიხდით“.**

თურქული „გალათასარაის“ ფორვარდი ჰაქან შუქური მილანის „ინტერში“ გადადის. მილანური კლუბის განცხადებით, ფეხბურთელი „ინტერთან“ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ 3-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. თუ ტრანსფერი შედგა, ჰაქან შუქური იტალიაში მეორედ მოსინჯავს ძალას. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს მან „ტორინოში“ ხუთჯერ ითამაშა და მერე სამშობლოში დაბრუნდა. ფორვარდს „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ფიორენტინაც“ იწვევდნენ.

**ფრანგმა პატრიკ ვიეირამ ახალი სეზონი შესაძლოა „იუვენტუსში“ დაიწყოს. „არსენალში“ ოთხი ბრწყინვალე სეზონი ჩავატარე — განაცხადა ნახევარმცველმა — ალბათ, დროა, სხვა გუნდი ვეძებო. ლონდონი მიყვარს, მაგრამ მირჩევნია, გარემო გამოვიცვალო. გავიგე, რომ ჩემით „იუვენტუსი“ დაინტერესდა“. ვიეირას გარდა „არსენალს“ სავარაუდოდ ფრანგი ემანუელ პეტი და ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსიც დატოვებენ. მათ იტალიური და ესპანური კლუბები ეპატიჟებიან.**

ესპანელი ნახევარმცველი ფრანსისკო ხავიერ ფარინოსი „ვალენსიადან“ მილანის „ინტერში“ გადავიდა. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ადრე გავრცელდა ცნობა, თითქოს ფარინოსს „მილანი“ ყიდულობდა, თუმცა, როგორც ჩანს, ბოლო მომენტში „მილანს“ მისმა თანაქალაქელმა აჯობა. ფარინოსი 22 წლისაა, იგი ესპანეთში ერთ-ერთ პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

**იუგოსლაველმა მცველმა სინიშა მიხაილოვიჩმა იტალიურ „გაძეტა დელო სპორტს“ განუცხადა, რომ მომავალი სეზონიდან დავიდ ტრეზეგე, ალბათ, „ლაციოში“ ჩაირიცხება. „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტის პირადად ვესაუბრე. მან მითხრა, რომ ტრეზეგეს შეძენა სურს“ — თქვა მიხაილოვიჩმა. 22 წლის ტრეზეგემ წლეულს „მონაკოში“ ძლიერად ითამაშა და საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. სეზონის დასრულების შემდეგ მან თავად გაამხილა, რომ კარიერა, შესაძლოა ინგლისში ან იტალიაში გააგრძელოს.**

ესპანელი პედრო მუნიტისის თქმით, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იგი, ალბათ, „რასინგს“ დატოვებს და რომელიმე ძლიერ კლუბში გადავა. ფორვარდმა წლეულს სანტანდერული გუნდის შემადგენლობაში 35 შეხვედრა ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა. მისი გადაბირება „ბარსელონას“, „ვალენსიას“, „დეპორტივოსა“ და „რეალს“ სურთ. 25 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ „რასინგი“ დაახლოებით 10 მილიონ გირვანქას ითხოვს. მუნიტისი ესპანეთის ნაკრების წევრია, მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ იგი ევრო 2000-ზე საასპარეზოდ მიიწვია.

**ბოსნიელი ნახევარმცველი სერგი ბარბარესი დორტმუნდის „ბორუსიადან“ წავიდა და „ჰამბურგში“ ჩაირიცხა. გერმანული სააგენტოების ცნობით, ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჰამბურგმა“ „ბორუსიას“ ბარბარესის სანაცვლოდ 3,5 მილიონი მარკა (1,7 მილიონი დოლარი) გადაუხადა.**

## რუსეთი

მე-12 ტური: კრილია — ტორპედო 3:2; როტორი — დინამო 2:4; ლოკომოტივი — ზენიტი 1:1; სპარტაკი — ჩერნომორეცი 3:1; ფაკელი — სატურნი 0:1; ანჟი — ნ. ნოვგოროდი 4:0; ურალანი — როსტსელმაში 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 12 | 10 | 1 | 1 | 26:8 | 31 |
| ანჟი | 13 | 8 | 2 | 3 | 22:9 | 26 |
| ლოკომოტივი | 12 | 7 | 4 | 1 | 14:6 | 25 |
| ტორპედო | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 22 |
| ჩერნომორეცი | 12 | 6 | 3 | 3 | 19:7 | 21 |
| დინამო | 12 | 6 | 3 | 3 | 14:12 | 21 |
| სატურნი | 12 | 5 | 3 | 4 | 11:11 | 18 |
| ზენიტი | 13 | 4 | 4 | 5 | 11:12 | 16 |
| კრილია | 12 | 5 | 0 | 7 | 14:19 | 15 |
| როტორი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:23 | 15 |
| როსტსელმაში | 13 | 2 | 7 | 4 | 7:8 | 13 |
| ფაკელი | 12 | 2 | 6 | 4 | 14:20 | 12 |
| ალანია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:15 | 11 |
| ცსკა | 11 | 2 | 2 | 7 | 8:17 | 8 |
| ურალანი | 12 | 1 | 3 | 8 | 8:18 | 6 |
| ნ. ნოვგოროდი | 13 | 0 | 5 | 8 | 5:18 | 5 |

## უკრაინა

28-ე ტური: დინამო — ვორსკლა 3:0; კრივბასი — ზაპოროჟიე 1:0; დნიპრო — შახტარი 1:2; ტავრია — პრიკარპატიე 1:0; ზირკა — მარიუპოლი 1:2; მეტალურგი — ნივა 3:2; ჩორნომორეცი — ცსკა 2:0; კარპატი — მეტალისტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 24 | 3 | 0 | 75:17 | 75 |
| შახტარი | 28 | 19 | 3 | 6 | 52:14 | 60 |
| კრივბასი | 27 | 18 | 6 | 4 | 50:25 | 57 |
| ვორსკლა | 28 | 13 | 7 | 8 | 46:32 | 46 |
| მეტალისტი | 28 | 11 | 8 | 9 | 39:34 | 41 |
| მეტალურგი | 28 | 10 | 10 | 8 | 34:30 | 40 |
| ზაპოროჟიე | 27 | 10 | 8 | 9 | 35:30 | 38 |
| კარპატი | 28 | 11 | 4 | 13 | 36:35 | 37 |
| მარიუპოლი | 28 | 11 | 3 | 14 | 41:44 | 36 |
| ცსკა | 28 | 9 | 8 | 11 | 29:31 | 35 |
| დნიპრო | 28 | 7 | 9 | 12 | 23:45 | 30 |
| ტავრია | 28 | 7 | 8 | 13 | 31:47 | 29 |
| პრიკარპატიე | 27 | 6 | 8 | 13 | 22:38 | 26 |
| ჩორნომორეცი | 28 | 6 | 8 | 14 | 16:43 | 26 |
| ნივა | 28 | 5 | 10 | 13 | 36:56 | 25 |
| ზირკა | 28 | 0 | 9 | 19 | 12:56 | 9 |


სიახლე!

**პირველად საქართველოში!**

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM

*გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:*

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში უქმეების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)**

ევროპის ჩემპიონატი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივნისი | | | |
| 21.00 | 007 | ესპანეთი-ნორვეგია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.45 | 008 | იუგოსლავია-სლოვენია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | | 14 ივნისი | | | |
| 23.45 | 030 | იტალია-ბელგია | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| | | 15 ივნისი | | | |
| 23.45 | 031 | შვედეთი-თურქეთი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | 16 ივნისი | | | |
| 21.00 | 032 | ჩეხეთი-საფრანგეთი | 3,8 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 033 | დანია-ჰოლანდია | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| | | 17 ივნისი | | | |
| 21.00 | 034 | რუმინეთი-პორტუგალია | | | |
| 23.45 | 035 | ინგლისი-გერმანია | | | |

I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 057 | ესპანეთი-ნორვეგია | 2,9 | 15,0 | 30,0 | 4,0 | 4,0 | 8,0 | 18,0 | 12,0 | 6,0 |
| 23.45 | 058 | იუგოსლავია-სლოვენია | 1,8 | 17,0 | 45,0 | 2,8 | 5,0 | 14,0 | 17,0 | 20,0 | 12,5 |
| | | 14 ივნისი | | | | | | | | | |
| 23.45 | 059 | იტალია-ბელგია | 3,5 | 5,0 | 25,0 | 4,5 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 6,0 | 5,0 |
| | | 15 ივნისი | | | | | | | | | |
| 23.45 | 060 | შვედეთი-თურქეთი | 3,0 | 8,0 | 20,0 | 4,0 | 4,5 | 8,0 | 15,0 | 8,0 | 5,0 |
| | | 16 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 061 | ჩეხეთი-საფრანგეთი | 5,0 | 7,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,5 | 20,0 | 7,0 | 3,5 |
| 23.45 | 062 | დანია-ჰოლანდია | 12,0 | 8,0 | 15,0 | 13,0 | 5,5 | 3,0 | 30,0 | 9,0 | 1,8 |
| | | 17 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 063 | რუმინეთი-პორტუგალია | | | | | | | | | |
| 23.45 | 064 | ინგლისი-გერმანია | | | | | | | | | |

*(დასაშვებია №№051-058 გადამრავლება)*

14 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.00 | 507 | რამდენი ბურთი გავა II ტურში (8 თამაშის ჯამი): | 19 და ნაკლები-1,8; 21 და მეტი-1,8 |
| 21.00 | 508 | რომელ ტაიმში გავა მეტი ბურთი II ტურის 8 მატჩში: | I ტაიმი-3,0; II ტაიმი-1,3 |

*(თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი არის-1,0)*
*(დასაშვებია №501 და №502-ის გადამრავლება)*

რამდენ ქულას დააგროვებს ჯგუფში

| | | | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 601 | ინგლისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 602 | გერმანია | | | | | | | | | |
| 21.00 | 603 | პორტუგალია | | | | | | | | | |
| 21.00 | 604 | რუმინეთი | | | | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | | | | |
| 23.45 | 605 | იტალია | — | — | — | 18,0 | 9,0 | 3,2 | 3,2 | 3,0 | 4,0 |
| 23.45 | 606 | ბელგია | — | — | — | 5,8 | 3,3 | 3,5 | 3,5 | 3,8 | 6,0 |
| 23.45 | 607 | შვედეთი | 4,5 | 3,8 | 3,4 | 3,0 | 3,2 | — | 6,0 | — | — |
| 23.45 | 608 | თურქეთი | 3,2 | 2,8 | 3,4 | 3,4 | 4,0 | — | 7,5 | — | — |
| | | 13 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 609 | ესპანეთი | 20,0 | 14,0 | 8,0 | 6,5 | 3,2 | 3,2 | 3,2 | 4,0 | 5,5 |
| 21.00 | 610 | იუგოსლავია | 10,0 | 7,0 | 5,0 | 3,8 | 3,2 | 3,8 | 4,0 | 7,0 | 10,0 |
| 21.00 | 611 | ნორვეგია | 10,0 | 7,0 | 5,0 | 3,8 | 3,2 | 3,8 | 4,0 | 7,0 | 10,0 |
| 21.00 | 612 | სლოვენია | 2,0 | 2,0 | 2,5 | 4,0 | 6,0 | 10,0 | 15,0 | 22,0 | 35,0 |
| | | 16 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 613 | ჰოლანდია | — | — | — | 14,0 | 7,0 | 4,5 | 3,0 | 2,5 | 3,0 |
| 21.00 | 614 | საფრანგეთი | — | — | — | 8,0 | 3,5 | 4,0 | 3,5 | 2,5 | 4,0 |
| 21.00 | 615 | ჩეხეთი | 6,0 | 4,5 | 5,0 | 2,5 | 2,8 | — | 5,0 | — | — |
| 21.00 | 616 | დანია | 2,5 | 2,5 | 5,0 | 3,5 | 4,0 | — | 12,0 | — | — |

*(№№601-616 დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს თითო გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)*

*დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას, დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია*

## ევროპის ჩემპიონატი

### ჩემპიონი
13 ივნისი (21.00)

| | | |
|---|---|---|
| 101 | ჰოლანდია | 3,6 |
| | იტალია | 4,0 |
| | ინგლისი | 4,0 |
| | გერმანია | 5,0 |
| | საფრანგეთი | 6,0 |
| | ესპანეთი | 7,0 |
| | ბელგია | 10,0 |
| | იუგოსლავია | 15,0 |
| | ნორვეგია | 15,0 |
| | ჩეხეთი | 15,0 |
| | შვედეთი | 20,0 |
| | პორტუგალია | 20,0 |
| | დანია | 30,0 |
| | რუმინეთი | 40,0 |
| | თურქეთი | 50,0 |
| | სლოვენია | 100,0 |

### ფინალში გასვლა
13 ივნისი (21.00)

| | | |
|---|---|---|
| 201 | ჰოლანდია | 2,0 |
| | იტალია | 2,5 |
| | ინგლისი | 2,5 |
| | გერმანია | 3,0 |
| | საფრანგეთი | 3,5 |
| | ესპანეთი | 3,5 |
| | ბელგია | 5,0 |
| | იუგოსლავია | 7,0 |
| | ნორვეგია | 7,0 |
| | ჩეხეთი | 7,0 |
| | შვედეთი | 10,0 |
| | პორტუგალია | 10,0 |
| | დანია | 15,0 |
| | რუმინეთი | 20,0 |
| | თურქეთი | 25,0 |
| | სლოვენია | 50,0 |

*(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)*

### ჯგუფში I ადგილი
13 ივნისი (21.00)

| | | |
|---|---|---|
| 301 | ინგლისი | – |
| | გერმანია | – |
| | პორტუგალია | – |
| | რუმინეთი | – |
| | იტალია | 1,5 |
| | ბელგია | 2,0 |
| | შვედეთი | 6,0 |
| | თურქეთი | 15,0 |
| | ესპანეთი | 1,8 |
| | იუგოსლავია | 3,0 |
| | ნორვეგია | 3,0 |
| | სლოვენია | 15,0 |
| | ჰოლანდია | 1,8 |
| | საფრანგეთი | 1,6 |
| | ჩეხეთი | 6,0 |
| | დანია | 15,0 |

*(დასაშვებია სხვადასხვა ჯგუფის გამარჯვებულების გადამრავლება)*

### ჯგუფიდან გასვლა
13 ივნისი (21.00)

| | | |
|---|---|---|
| 401 | ინგლისი | – |
| | გერმანია | – |
| | პორტუგალია | – |
| | რუმინეთი | – |
| | იტალია | 1,1 |
| | ბელგია | 1,2 |
| | შვედეთი | 3,0 |
| | თურქეთი | 5,0 |
| | ესპანეთი | 1,25 |
| | იუგოს;ავია | 1,8 |
| | ნორვეგია | 1,8 |
| | სლოვენია | 6,0 |
| | ჰოლანდია | 1,1 |
| | საფრანგეთი | 1,1 |
| | ჩეხეთი | 2,5 |
| | დანია | 7,0 |

*(დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს ორი გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)*

### ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი

13 ივნისი (23.45)

| | | |
|---|---|---|
| 701 | კლუივერტი | 6,0 |
| | რაული | 8,0 |
| | ანრი | 10,0 |
| | შირერი | 10,0 |
| | ანელკა | 10,0 |
| | ბირჰოფი | 10,0 |
| | ოუენი | 10,0 |
| | ბერხკამპი | 10,0 |
| | კირსტენი | 15,0 |
| | ფ.ინძაგი | 15,0 |
| | დელ პიერო | 20,0 |
| | ტრეზეგე | 20,0 |
| | მონტელა | 20,0 |
| | კოლერი | 20,0 |
| | სოლსკიაერი | 20,0 |
| | ზიდანი | 20,0 |
| | ფიგუ | 25,0 |
| | მიატოვიჩი | 25,0 |
| | ფლო | 25,0 |
| | სქოულზი | 25,0 |
| | ფაულერი | 25,0 |

| | | |
|---|---|---|
| 701 | იანკერი | 25,0 |
| | კუკა | 30,0 |
| | ტოტი | 30,0 |
| | ანდერსონი | 30,0 |
| | ლარსონი | 30,0 |
| | ნედვედი | 30,0 |
| | ჯორკაეფი | 30,0 |
| | კოვაჩევიჩი | 40,0 |
| | ილიე | 40,0 |
| | მილოშევიჩი | 40,0 |
| | ნილისი | 40,0 |
| | შუქური | 50,0 |
| | ფილიპსი | 50,0 |
| | ვან ჰოიდონკი | 50,0 |
| | მენდიეტა | 50,0 |
| | ოვერმარსი | 50,0 |
| | ჰესკი | 50,0 |
| | დიუგარი | 50,0 |
| | სტოიკოვიჩი | 50,0 |
| | ბერგერი | 50,0 |

*იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა*

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

**ახალი ბიურო ვაჟა ფშაველას 46-ში (მეტრო დელისთან)**

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
**ბათუმში** — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
**გორში** — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
**თელავში** — კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს" განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.**

*გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული*

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



REUTERS

ინდიანელმა ტრევის ბესტმა შაკილ ონილი წამოაქცია

# ჩასცხეთ შაკს!

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში არსებობს ტაქტიკა, რომელსაც მხოლოდ ერთი კაცის წინააღმდეგ იყენებენ. მას თავისი სახელიც აქვს — „ჩასცხეთ შაკს“. მიხვედრობით, იგი შაკილ ონილის წინააღმდეგ გამოიყენება. ამ ტაქტიკის არსი გაცილებით მარტივია და არც დიდ ტვინის ჭყლეტას საჭიროებს — უბრალოდ, ხელში უნდა ჩაარტყან შაკილ ონილს, როცა ის ბურთს მიიღებს. ონილი, როგორც წესი, უხეიროდ ესვრის საჯარიმოებს, ნახევარს აცილებს. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ეს 145-კილოგრამიანი გიგანტი თავის ვეება ხელებში ბურთის სიმძიმეს უბრალოდ, ვერ გრძნობს. თუმცა ამგვარი მიდგომა იშვიათად ამართლებს, რადგან ონილი თავის წილ ქულებს, ასე თუ ისე, მაინც მიითვლის. სამაგიეროდ, მეტოქე გუნდის მოთამაშეებს ბლომად პერსონალურები უგროვდებათ.

ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში „ინდიანა პეისერზმა“ საკუთარ კალათში შაკილ ონილისგან 43 ქულა მიიღო. ამჯერად „მარდებმა“ გადაწყვიტეს, მის წინააღმდეგ ზემოხსენებული ხერხი გამოეყენებინათ. ინდიანელები იმედოვნებდნენ, რომ ამით მაინც გადაუკეტავდნენ გზას ქულების უწყვეტ ნიაღვარს. რამდენად გაამართლა ამან, თუნდაც მატჩის ოქმიდანაც მშვენივრად ჩანს. შაკი, რაღა თქმა უნდა, დაეპატრონა ფარს და თავისი მძიმე არტილერია აამუშავა. სტუმრებს ისღა დარჩენოდათ, განუწყვეტლივ დაჯარიმებულიყვნენ მასზე. კვლავ ჩავხედოთ ოქმს და შევამჩნევთ, რომ ინდიანელთა ყველა მაღალ მოთამაშეს, რომელიც იმ დღეს ონილს აადევნეს, პერსონალურები არ აკლია. თამაში ნაადრევად დაასრულეს დეილ დევისმა და სემ პერკინსმა. 16 წუთში ხუთი პერსონალური მიიღო ცენტრმა რიკ სმიტსმა. ხოვარტმა ცენტმა ჟან ტაბაკმა, რომელიც მოედანზე ან მაშინ ჩნდება როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილია, ანაც მაშინ, თუ სხვა გზა არ არსებობს, სულ სამი წუთი ითამაშა. ონილს არ გასჭირვებია, „ინდიანას“ სათადარიგოთა სკამის მუდმივი მკვიდრისთვის ამ ხნის განმავლობაში სამი პერსონალური მიელებინებინა. საბოლოოდ ონილმა სულ 39 საჯარიმო ისროლა და პლეი ოფების ყველა დროის რეკორდიც დაამყარა. თავად იგი ამ მიღწევით სულაც არაა კმაყოფილი. „მათ მოკლეს ჩემი თამაში. გასაქანს არ მაძლევდნენ. ვერ ვმოძრაობდი. რამდენჯერმე ძლივს შევიკავე თავი, უხეშობისთვის იმგვარდავე არ მეპასუხა. ძალიან გამიჭირდა. სხვა თუ არაფერი, ჩემს ხელებს დახედეთ“ — ამბობდა ონილი მატჩის შემდეგ და კორესპონდენტს ჩალურჯებულ-ჩაბეჟილ მაჯებს უჩვენებდა.

შაკილ ონილის ჩალურჯებული ხელების გარდა იმ დღეს მასპინძლებს სხვა და გაცილებით სერიოზული პრობლემა გაუჩნდათ. მიმდინარეობდა შეხვედრის მეცხრე წუთი, როდესაც „ლეიკერსის“ მეორე ლიდერმა კობი ბრაიანტმა ქუსლი იტკინა და შესაცვლელი შეიქნა. იგი იმ თამაშში აღარც გამოჩენილა, რამაც გვარიანად გაართულა „ლეიკერსის“ ამოცანა, შინ მეორე თამაშიც მოეგო. მასპინძელთა საბედნიეროდ, უბრაიანტოდ დარჩენილ გუნდში გაჩენილი ვაკუუმი კარგად შეავსეს გლენ რაისმა და რონ ჰარპერმა. ორივემ მიმდინარე პლეი ოფში თავიანთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. რაისმა გაიხსენა, რომ არცთუ შორეულ წარსულში ურიგოდ არ ეხერხებოდა სამიანების სროლა და შორი დისტანციიდან ხუთჯერ დალაშქრა სტუმართა კალათი.

კვლავ გაიბრწყინა შაკილ ონილმა, ივარგეს რაისმა და ჰარპერმა და მათ „ლეიკერსს“ თითქოს მეორე თამაშიც დიდი ძალისხმევის გარეშე უნდა მოეგო, მაგრამ არსებითად მასპინძლებს გვარიანი ბრძოლა მოუხდათ. ინდიანელებმა პირველ მატჩში დაშვებული შეცდომებიდან შესაბამისი დასკვნები გამოიტანეს. მართალია, ონილი ვერ გააჩერეს, მაგრამ მძლავრ მეტოქეს ტოლსწორად შეებნენ, მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მას. „ლეიკერსს“ ზურგსუკან „მარდების“ ფეხის ხმა განუწყვეტლივ ესმოდა. „ინდიანა“ მას ხუთ-ექვს ქულაზე მეტით წინ არ უშვებდა და რამდენჯერმე თავადაც მოახერხა გასწრება. რიგიანად ირჯებოდნენ მილერი, ჯექსონი და როუზი. მეორე ტაიმში მათ სათადარიგო ოსტინ კროშერიც მიემატათ, რომლის აქტიურობამ მასპინძელთა დაცვით კედელში ბზარები გააჩინა. მეტოქეებმა თანაბარ ბრძოლაში გალიეს თამაში. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა შეხვედრის ფინალი. ბოლო მეოთხედის პირველ წუთებზე „ინდიანამ“ ოთხი ქულა გააკეთა და 84:86 დაეწია მასპინძელს, მაგრამ აქ გლენ რაისმა იყოჩაღა და თავისი მეოთხე და უმნიშვნელოვანესი სამქულიანი თავისიანებით ხუთი ქულით დააწინაურა. სტუმრები არ ცხრებოდნენ და გაალმასებით იბრძოდნენ, თუმც ამის შემდეგ „ლეიკერსმა“ ისინი სამ ქულაზე ახლოს არ გაიკარა. 99:96 იგებად „ლეიკერსი“, როცა ონილმა მიიღო ბურთი. მისკენ ერთდროულად ორმა ინდიანელმა გაიწია, მაგრამ შაკმა იყოჩაღა და სანამ ისინი დაჯარიმდნენ, სამქულიან ხაზს გარეთ რობერტ ჰორი მოძებნა. მან შიგნით შეიწია, პასი მიიღო, ბურთი ჩააგდო და ერთი ჯარიმაც მიაყოლა, რის შემდეგაც „ლეიკერსი“ ექვსი ქულით დაწინაურდა. „ინდიანას“ მატჩის სახსნელად საკმარისი დრო რჩებოდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა — ბოლო ორ წუთში რეჯი მილერმა ორი სამქულიანი გააფუჭა. ვერც ამან დააცხრო ბოლომდე მებრძოლი სტუმრები. საბოლოოდ ყველაფერი მატჩის უკანასკნელ წუთზე გადაწყდა. ბოლო ოც წამში რონ ჰარპერმა ოთხი საჯარიმო ესროლა, ყველა ჩააგდო და მატჩსაც წერტილი მან დაუსვა.

„დღეს გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე გუშინწინ. პროგრესი აშკარაა, მაგრამ ჩვენ არ მოგვიგია და ვერც კმაყოფილი ვიქნები. ბიჭებს ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ თუ მათი ძალისხმევა „ლეიკერსის“ დასამარცხებლად საკმარისი არაა, უფრო უკეთ გაისარჯონ. ჩვენ ორი თამაში წავაგეთ, თუმც იმედი არ დაგვიკარგავს, ახლა შინ ვეცდებით ვითარების გამოსწორებას“ — თქვა „ინდიანას“ მწვრთნელმა ლარი ბერდმა. „ინდიანას“ შინ მეტი შანსი აქვს, მრისხანე მეტოქეს გამარჯვება დასტყუოს. რეგულარულ ჩემპიონატში ინიდანაპოლისს ნასტუმრებმა „ლეიკერსმა“ აქაურ „პეისერზს“ ვერაფერი მოუხერხა და სწორედ იქ შეწყვიტა ზედიზედ გამარჯვების 16-მატჩიანი სერია.

ირაკლი ფირაშვილი

## ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია
## ფინალი (ოთხ მოგებამდე)
## ლეიკერსი — ინდიანა 2:0

### ლეიკერსი 111:104 ინდიანა

II მატჩი. 9 ივნისი. ლოს ანჯელესი. სტეიპლზ სენტერი. 18 997 მაყ.

მსაჯები: ჯო კროუფორდი, ბენეტ სალვატორე, ედი რაში

| ლეიკერსი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰარპერი | 37 | 7/10 | 1/2 | 4/5 | 3 | 6 | 0 | 0 | 4 | 21 |
| ბრაიანტი | 9 | 1/2 | 0/1 | 0/0 | 1 | 4 | 0 | 1 | 1 | 2 |
| რაისი | 35 | 2/9 | 5/6 | 2/2 | 4 | 3 | 0 | 0 | 4 | 21 |
| გრინი | 15 | 2/4 | 0/0 | 0/0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 4 |
| ონილი | 46 | 11/18 | 0/0 | 18/39 | 24 | 4 | 0 | 3 | 5 | 40 |
| ფოქსი | 15 | 2/3 | 0/0 | 2/3 | 2 | 0 | 1 | 0 | 4 | 6 |
| ჰორი | 33 | 2/4 | 0/2 | 3/4 | 6 | 1 | 0 | 4 | 5 | 7 |
| ფიშერი | 16 | 1/3 | 1/1 | 1/2 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 6 |
| შოუ | 32 | 1/6 | 0/3 | 2/2 | 3 | 7 | 1 | 0 | 1 | 4 |
| სეილი | 1 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნაითი | 1 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ | 240 | 29/60 | 7/15 | 32/57 | 47 | 29 | 3 | 8 | 26 | 111 |

| ინდიანა | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯექსონი | 29 | 0/2 | 2/7 | 1/2 | 9 | 8 | 2 | 0 | 4 | 7 |
| მილერი | 36 | 6/11 | 1/5 | 6/6 | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 21 |
| როუზი | 48 | 10/22 | 0/1 | 10/14 | 9 | 1 | 1 | 1 | 3 | 30 |
| დევისი | 34 | 4/9 | 0/0 | 1/1 | 10 | 1 | 0 | 2 | 6 | 9 |
| სმიტსი | 16 | 2/6 | 0/0 | 0/0 | 2 | 2 | 0 | 0 | 5 | 4 |
| კროშერი | 25 | 6/13 | 0/2 | 12/12 | 6 | 1 | 1 | 2 | 4 | 24 |
| პერკინსი | 24 | 0/1 | 2/4 | 0/0 | 3 | 1 | 1 | 0 | 6 | 6 |
| ბესტი | 19 | 0/2 | 0/1 | 2/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| მაკკეი | 6 | 0/1 | 0/0 | 1/2 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 |
| ტაბაკი | 3 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| სულ | 240 | 28/68 | 5/20 | 33/39 | 46 | 19 | 5 | 5 | 38 | 104 |

## ლეიკერსი — ინდიანა. II მატჩი. 9 ივნისი

### ფაქტები ფაქტები ფაქტები

ლეიკერსელმა შაკილ ონილმა 39 საჯარიმო ესროლა. ეს ლიგის რეკორდია. წინა რეკორდი 1958 წლის 9 აპრილს დაამყარა „სენტ ლუის ჰოქსის“ ბობ პეტიტმა. მან „ბოსტონ სელტიქსის“ წინააღმდეგ 24 საჯარიმო ესროლა.

შაკილ ონილმა პირველ ტაიმში 17 საჯარიმო ესროლა, მეორეში — 22. ორივე მაჩვენებელი ლიგის რეკორდია. წინა რეკორდი 1961 წლის 11 აპრილს დაამყარა „ბოსტონ სელტიქსის“ ბილ რასელმა. მან „სენტ ლუის ჰოქსის“ წინააღმდეგ ერთ ტაიმში 15 საჯარიმო ესროლა.

შაკილ ონილმა 18 საჯარიმო ჩააგდო, რაც ლიგის ისტორიაში მეორე შედეგია. რეკორდი „სენტ ლუის ჰოქსის“ ბობ პეტიტს ეკუთვნის. 1958 წლის 9 აპრილს მან 19 საჯარიმო ჩაუგდო „ბოსტონ სელტიქსს“.

შაკილ ონილი გახდა მეოთხე მოთამაშე, ვინც ნბა-ს ფინალის ზედიზედ ორ მატჩში 40 და მეტი ქულა გააკეთა.

### 40 და მეტი ქულა ზედიზედ ორ და მეტ მატჩში

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 თამაში | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) | ფინიქსის წინააღმდეგ | 1993 |
| 2 თამაში | რიკ ბერი (სან ფრანცისკო) | ფილადელფიას წინააღმდეგ | 1967 |
| 2 თამაში | ჯერი ვესტი (ლეიკერსი) | ბოსტონის წინააღმდეგ | 1969 |
| 2 თამაში | ჯერი ვესტი (ლეიკერსი) | ბოსტონის წინააღმდეგ | 1965 |

ლეიკერსელმა რონ ჰარპერმა 21 ქულა გააკეთა, რაც მისთვის სეზონის რეკორდია

ინდიანელმა ოსტინ კროშერმა 24 ქულა გააკეთა, რაც მისი კარიერის რეკორდია

# რეჯი სულ სხვაა...

ამ თამაშზე დასასწრები ბილეთები რამდენიმე კვირით ადრე გაიყიდა. ინდიანაპოლისელთა სამწუხაროდ, ამ ერთი წლის წინ გახსნილი დარბაზი „კონსეკო ფილდჰაუზი“ მხოლოდ თვრამეტ ათას მაყურებელს იტევს, ამ მატჩზე დასწრების მსურველთა რიცხვი კი სულ ცოტა, ხუთჯერ მეტი იყო. 11 ივნისის საღამოს ერთი მილიონი ინდიანაპოლისელი მისჯდომოდა ტელევიზორს, ხოლო იმ ბედნიერ 18 ათას კაცს, ვისაც მატჩზე დასასწრები ბილეთები შეხვედროდა, ორი საათით ადრე შეევსო დარბაზი. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, იმ დღეს მთელი ქალაქი და ინდიანას შტატი მოუთმენლად ელოდა შეხვედრის დაწყებას. ხუმრობა ხომ არაა, მათი ჯილა „ინდიანა პეისერზი“ ფინალში პირველად გავიდა, პირველადაც მასპინძლობდა ფინალურ მატჩს. „მარდებმა“ არ გააწბილეს გულშემატკივრები, პირველადაც მოიგეს ფინალური სერიის შეხვედრა და, რაც მთავარია, დაამტკიცეს, რომ „ლეიკერსი“ სულაც არაა უძლეველი გუნდი და მისი წაქცევა ისევე შესაძლებელია, როგორც ნებისმიერი სხვის (ეგაა, ცოტა ძნელად).

იმ დღეს მასპინძლები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ. მოინდომეს და ღირსეულადაც იმარჯვეს. „ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ. მათ თამაშში მთელი თავიანთი სული და გული ჩადეს, მთელი ენერგია დახარჯეს, ჯილდოდ კი გამარჯვება მიიღეს. ვერავის გამოვარჩევ, ყველამ მოინდომა და თავისი სულისკვეთება გამოამჟღავნა, ყველანი კარგები იყვნენ. სხვა საქმეა რეჯი, იგი ლიდერია. მასზე ბევრია დამოკიდებული. საბედნიეროდ, დღეს იგი ბრწყინვალე იყო“ — „პეისერზის“ მწვრთნელი, ლეგენდარული ლარი ბერდი მატჩის შემდეგ შეგირდებს აქებდა. ბიჭებმა ხომ მას, გულშემატკივრებს და პირველ რიგში საკუთარ თავებს ეს გამარჯვება აჩუქეს.

წინა ორი მატჩისგან განსხვავებით, რეჯი მილერი მართლაც შეუდარებელი იყო. მართალია, მას „ლეიკერსთან“ სერიაში თავისი განთქმული „მკვლელი“ სამიანები არ მისდის. აი, ბოლოსაც შვიდი ცდიდან მხოლოდ ორჯერ თუ იმარჯვა, მაგრამ, მისდა სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ რამდენიმე აცილებულმა ბურთმა მთავარი ინდიანელის ანთებული გული არ ჩააქრო. არც სხვები შერცხვნენ. რაც ყველაზე მთავარია, მისმა თანაგუნდელებმა წინანდელზე უკეთ გადაჭრეს ის პრობლემა, რომელსაც შაკილ ონილი ჰქვია. ამჯერად „მარდებმა“ ხელი აიღეს ონილზე უაზრო დაჯარიმებებზე და მეტი თავგამოდებით იწყეს ზრუნვა მისი სათარეშო სივრცეების შეზღუდვაზე. ვერ ვიტყვით, რომ ამან „ლეიკერსის“ ლიდერი მთლიანად გამოთიშა თამაშიდან, მაგრამ ამით პერსონალურებს გადაურჩნენ და მატჩის ბოლო წუთებზე, როცა მასპინძლებს მანამდე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება უხდებოდათ, დეილ დევისის გარდა ყველა წამყვანი მოთამაშე სახეზე ჰყავდათ.

„ლეიკერსის“ შემტევი პოტენციალი მნიშვნელოვნად შეასუსტა მეორე ლიდერის, კობი ბრაიანტის არყოფნამ. ბრაიანტმა წინა შეხვედრაში ჯალენ როუზთან შეჯახებისას ქუსლი იტკინა და ამ თამაშში თავისიანებს ვერაფრით შეეშველა. თვითონ კი ამბობდა, არაფერი მიჭირსო და მწვრთნელ ფილ ჯექსონს ტაიმებს შორის შესვენებაზე სთხოვა, შემიშვიო, მაგრამ უარი მიიღო. „თავს ამ ფუფუნების უფლებას ვერ მივცემ. ჯობს, მან მესამე შეხვედრა გამოტოვოს და წავაგოთ, ვიდრე ახლა ითამაშოს და დანარჩენ შეხვედრებზე თაბაშირით მოვიდეს“ — თქვა ჯექსონმა.

წინა ორმა წაგებულმა თამაშმა, ბრაიანტის არყოფნამ, ათასობით ადამიანის ემოციურმა მხარდაჭერამ დამატებითი სტიმული მისცა „ინდიანას“. მასპინძელთა შემართებამ თავისი გააკეთა, „პეისერზი“ თავიდანვე მოსწყდა მეტოქეს და თანდათან დაწინაურდა. ბრაიანტის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში მოთამაშე ბრაიან შოუს და გლენ რაისის უკბილო გარჯა როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში კიდევ უფრო აფერხებდა „ლეიკერსს“ და მანაც მეოთხედი რვა ქულის სხვაობით — 15:23 დათმო. მომდევნო მეოთხედში კიდევ სამი ქულით ჩამორჩა მეტოქეს. პირველი ნახევარი 53:42 მოიგო „ინდიანამ“. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა მოახერხეს და ექვსი ქულა გაქვითეს. ამას მოჰყვა რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სტუმრებს რიგიანი არაფერი გაუკეთებიათ და „ინდიანაც“ ერთბაშად ოცი ქულით გაიჭრა წინ. მასპინძლებმა აქ კი იფიქრეს, მეტოქე ხელში გვყავს და ველარსად წაგვივაო, მაგრამ სტუმარი გუნდი სხვაგვარად ფიქრობდა. ჯექსონმა უხეიროები — შოუ და რაისი ფიშერით და ჰორით შეცვალა, უფრო მეტად დატვირთა მთელ თამაშში შეუცვლელად მოთამაშე შაკილ ონილი და ეს ოცქულიანი სხვაობა „ინდიანას“ თვალს დახამხამებაში შემოადნა. ჩვეულ რიტმში ჩამჯდარი ონილი წარმატებით ბომბავდა მეტოქის კალათს და მატჩის ბოლო წუთებში ინდიანელთა გამარჯვება ისე უეჭველი არ ჩანდა, როგორც ათი წუთის წინ. ბოლოს შაკილ ონილმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო, რასაც მისმა თანაგუნდელმა რონ ჰარპერმა მატჩის დამთავრებამდე 14 წამით ადრე სამქულიანი მიაყოლა და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა — 94:91. აქ „ლეიკერსი“ ხავსს ჩაებღაუჭა და როგორც კი მასპინძლებმა ბურთი თამაშში შემოიტანეს, სტუმრები მაშინვე დაჯარიმდნენ რეჯი მილერზე. მილერს იმ დღეს საჯარიმო არ აუცილებია და არც ახლა აუკანკალდა ხელი, ორივე სროლა გამოიყენა და სტუმართა სულისკვეთებაც აქ ჩააცხრო. დარჩენილ რამდენიმე წამში მასპინძლებმა კიდევ ოთხი ქულა მოიპოვეს, თუმც ახლა ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა. ხარობდა „ინდიანა“ და ინდიანაპოლისი. „პეისერზმა“ თავის არსებობის მანძილზე ფინალური თამაში პირველად მოიგო. და მაინც, ეს მხოლოდ ერთი თამაშია და დასჯერდება თუ არა „ინდიანა“ ამ მცირედს? ვნახოთ. სერიის მომდევნო ორ თამაშს „კონსეკო ფილდჰაუზი“ უმასპინძლებს, აქ კი „ლეიკერსს“ ორი ჩატარებული თამაშიდან ორივე წაუგია. მასპინძლები იმედოვნებენ, რომ სტუმრები ნავსს ვერც ამჯერად გატეხენ.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

**ლეიკერსი — ინდიანა 2:1**

**ინდიანა 100:91 ლეიკერსი**

III მატჩი. 11 ივნისი. ინდიანაპოლისი. კონსეკო. 18 345 მაყ.

მსაჯები: რონ გარეტსონი, ბერნი ფრაიერი, ჰიუ ევანსი

| ინდიანა | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯექსონი | 27 | 1/4 | 1/1 | 1/2 | 2 | 6 | 2 | 0 | 1 | 6 |
| მილერი | 46 | 9/15 | 2/7 | 9/9 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 33 |
| როუზი | 45 | 9/14 | 0/4 | 3/3 | 6 | 2 | 1 | 0 | 2 | 21 |
| დევისი | 28 | 1/5 | 0/0 | 0/0 | 12 | 1 | 0 | 0 | 6 | 2 |
| სმიტსი | 19 | 3/11 | 0/0 | 0/0 | 6 | 0 | 1 | 2 | 4 | 6 |
| კროშერი | 27 | 3/5 | 1/1 | 3/4 | 3 | 0 | 0 | 1 | 1 | 12 |
| პერკინსი | 22 | 0/1 | 1/3 | 0/0 | 4 | 1 | 1 | 0 | 2 | 3 |
| ბესტი | 21 | 3/5 | 2/2 | 2/2 | 1 | 2 | 2 | 0 | 2 | 14 |
| მაკკეი | 5 | 0/0 | 0/0 | 3/4 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| სულ | 240 | 29/60 | 7/18 | 21/24 | 39 | 14 | 8 | 3 | 19 | 100 |

| ლეიკერსი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰარპერი | 38 | 4/11 | 2/3 | 0/0 | 5 | 2 | 5 | 1 | 2 | 14 |
| შოუ | 31 | 3/7 | 0/3 | 0/0 | 5 | 1 | 1 | 0 | 4 | 6 |
| რაისი | 27 | 2/6 | 1/3 | 0/0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 7 |
| ბრაინი | 14 | 1/2 | 0/0 | 2/2 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 4 |
| ონილი | 47 | 15/24 | 0/0 | 3/13 | 13 | 1 | 2 | 2 | 3 | 33 |
| ფოქსი | 21 | 0/1 | 2/3 | 1/2 | 0 | 1 | 0 | 0 | 5 | 7 |
| ჰორი | 33 | 5/6 | 0/2 | 0/0 | 7 | 6 | 0 | 0 | 4 | 10 |
| ფიშერი | 27 | 1/2 | 2/3 | 2/2 | 1 | 10 | 0 | 0 | 4 | 10 |
| ნაითი | 2 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| სულ | 240 | 31/59 | 7/17 | 8/19 | 33 | 23 | 9 | 4 | 27 | 91 |

**ინდიანა — ლეიკერსი. III მატჩი. 11 ივნისი**

**ფაქტები ფაქტები ფაქტები**

ინდიანელმა რეჯი მილერმა 33 ქულა მიითვალა. წლევანდელ პლეიოფში „ლეიკერსს“ ამაზე მეტი ქულა მხოლოდ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ რაშიდ ვოლესმა ჩაუგდო — 34. ეს დასავლეთის კონფერენციის ფინალის მეხუთე მატჩში მოხდა.

რეჯი მილერს ფინალურ სერიაში საჯარიმო არ გაუცუდებია. ამ მატჩში მან ცხრაჯერ ესროლა ზუსტად, სულ კი 20 საჯარიმოდან 20-ჯერვე უწია მიზანს.



ინდიანელმა ოსტინ კროშერმა დერიკ ფიშერი ჰაერში შებოჭა

REUTERS ინდიანაპოლისიდან



ინდიანელ რეჯი მილერს (№31) მსაჯი ამშვიდებს



დამარცხებული ლეიკერსელები: რიკ ფოქსი (№17), შაკილ ონილი (№34) და დერიკ ფიშერი

# ზედიზედ მესამედ: ტომარაძე ხმელიძის წინააღმდეგ

საქართველოს ჩემპიონატი
ფინალი

**ბასკო — აზოტი**
სამ მოგებამდე

## ანონსი

| | |
|---|---|
| 13 ივნისი. სპორტის სასახლე. 18.00 | ბასკო — აზოტი |
| 14 ივნისი. სპორტის სასახლე. 18.00 | აზოტი — ბასკო |
| 15 ივნისი. სპორტის სასახლე. 18.00 | ბასკო — აზოტი |
| თუ საჭირო გახდა | |
| 17 ივნისი. სპორტის სასახლე. 18.00 | აზოტი — ბასკო |
| 18 ივნისი. სპორტის სასახლე. 18.00 | ბასკო — აზოტი |


ზურაბ ტომარაძე (მარცხნივ) და ოთარ ხმელიძე ფინალში ზედიზედ მესამედ შეიბმებიან

მეცხრე ეროვნულის დამაგვირგვინებელი აკორდები ქვეყნის უმთავრეს საკალათბურთო სარბიელზე, სპორტის სასახლეში აჟღერდება. დღეს ფინალური სერია იწყება, მთელი სეზონის განმავლობაში დამაშვრალი „ბასკო“ და „აზოტი“ უკანასკნელი ძალებით შეუტევენ თითქოსდა პეწდაკარგულ, მაგრამ ჯერაც საპატიო ქართულ ოქროს. ჩვენი კალათბურთის სამემკვიდრეო ტახტი კი ახალ პატრონს ელის.

სხვა დრო დადგა. უკან მოექცა თბილისი და დედაქალაქური ამბიცია, მოჩიტდნენ, მოღონიერდნენ რეგიონები და პირველად ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში ჩემპიონის სარგო ოქრო თბილისს გარეთ დაივანებს. ბათუმი და რუსთავი ტრიუმფის მოლოდინში არიან...

თუკი ზღვისპირული „ბასკო“ სადებიუტო სეზონშივე ეპოტინება ქვეყნის უმაღლეს ჯილდოს, რუსთავის „აზოტისთვის“ წლევანდელი ფინალი საკალათბურთო საქართველოში გაბატონების ზედიზედ მესამე ცდაა. აქამდე ვერაფრით აისრულა „აზოტმა“ გულისწადილი, ჩემპიონობა მას ორჯერვე თბილისის „ვითამ“ წაჰგვარა და რუსთაველი გუნდიც ვიცე-ჩემპიონობას დააჯერა. „ახლა, ან არასოდეს“ — ეს „აზოტის“ გულისთქმაა, რაშიც მხოლოდ ჩემპიონობა იგულისხმება და სხვა არაფერი.

ყველა-ყველა და ბათუმის „ბასკო“ მეტოქის ფიქრებს არას დაგიდევთ. აჭარის გუნდსაც ერთადერთი მიზანი აქვს — მასაც საჩემპიონო მანტიაში თავის მოწონება სურს და ერთი სული აქვს, ხვაშიადი აისრულოს, „აზოტის“ ოცნებები დაამსხვრიოს და ჩემპიონის ტახტრევანსაც ზღვისპირეთში დაუდოს ბინა.

ინტრიგა სამყოფზე მეტია, მოტივი — ძალზე მკაფიო, რაც ზოგს სულს უკრავს, მავანს კი სუნთქვას უხშირებს. წვეთწვეთობით, პირთამდე ავსებულა გულშემატკივრის მოთმინების ფიალა. ემოციებს აჰყოლია ყველა...

ერთი რამ ცხადია — ჩემპიონობა „ბასკოსაც“ ხელეწიფება და „აზოტსაც“. წინდაწინ რაიმეს გადაჭრით თქმა ჩვენი მხრიდან შეუძლებელიცაა და არასწორიც, ტოლ-სწორნი არიან მეტოქენი და უადგილო მარჩიელობით ვინძლო მომავალში საბოლოოდ გავიხადოთ საქმე. ეს, დამეთანხმებით, არცთუ მომხიბვლელი პერსპექტივაა და სჯობს, ისევ მოწინააღმდეგეთა ბანაკებს მივაპყროთ მზერა. ღრმად შევიხედოთ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის კულისებში და მოვლენები უფრო მკაფიო, ცხადი გავხადოთ.

„ბასკო“ — „აზოტის“ დაპირისპირება არ გახლავთ მხოლოდ საჩემპიონოდ შემართულ კლუბთა ჭიდილი. დღეიდან ერთმანეთს ორი განსხვავებული აზრიც შეებმება. ეს სწორედ ის აზრია, რომელმაც გუნდის თამაშს მიმართულება უნდა მისცეს, საბოლოო წარმატებას საფუძველი დაუდოს. არ შემცდარხართ, სათამაშო ტაქტიკას ვგულისხმობთ, რომელსაც აყალიბებენ...

### მწვრთნელები

ბათუმის „ბასკოს“ თავკაცი ზურაბ ტომარაძე წლების მანძილზე „ვითაში“ ბესიკ ლიპარტელიანის თანაშემწედ მუშაობდა. მის მხარდამხარ შრომამ ტომარაძეს იმხელა გამოცდილება და პრაქტიკა შესძინა, რომ შემდეგ, როცა ლიპარტელიანი წავიდა, კლუბის ხელმძღვანელებმა „ვითას“ გაძღოლა უყოყმანოდ მიანდეს. მანაც გაამართლა გაცემული ავანსები, შინაურ ასპარეზზე „ვითამ“ კვლავაც არ დათმო პოზიციები და ტომარაძის მმართველობის ხანაშიც ორჯერ იჩემპიონა. ამ ორი წლის განმავლობაში ტომარაძის, როგორც მწვრთნელის პროგრესი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ კალათბურთის ფედერაციამ მას შარშან ეროვნული ნაკრებიც ჩააბარა. 1999-2000 წლის სეზონს ტომარაძე კვლავაც „ვითაში“ შეხვდა, თუმც ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ამ კლუბში გული აღარ უჩერდებოდა მწვრთნელს. ამიტომაც ამბიციამოჭარბებული „ბასკოს“ წინადადებას მალევე დათანხმდა და ზღვისპირულ ქალაქში გადაბარგდა. ამ ნაბიჯმა იმ დროს დიდი ხმაური გამოიწვია, თუმც ერთ რამეში უკლებლივ ყველა დააჯერა — ოქროზე დაგეშილ „ბასკოს“ დასახული მიზნის მიღწევას ერთიორად გაუადვილებდა ტომარაძის სამწვრთნელო ნიჭი და უნარი.

ტომარაძის ტაქტიკური ხრიკები მის მეტოქე-კოლეგას, ოთარ ხმელიძესაც უგემია თავის თავზე. საკმარისია, შარშანდელი ფინალური სერია გავიხსენოთ და დავრწმუნდებით, რომ „ბასკოს“ ამჟამინდელი დამრიგებელი თავისი საქმის მართლაც კარგი მცოდნეა. ფინალის გადამწყვეტ მატჩში ტომარაძის მიგნებამ — მეტოქისთვის ზონური დაცვა შეეგებებინა — გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია საბოლოო შედეგზე. მისი მხრიდან ეს ავანტიურა იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტომარაძე საკმაოდ რისკიანი და ალღოიანია. იმავე შარშანდელ ფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურებული „აზოტის“ შემტევი პოტენცია ტომარაძემ ორიგინალური ხერხით ჩაახშო. უკვე ყველას განწირული ეგონა „ვითა“, როცა მწვრთნელმა რუსთაველთა შეტევების წინამძღოლ არჩილ ჟღენტს ირაკლი ბაქრაძე მიამაგრა. ესეც დიდი ხნის ნაფიქრი ვახლდათ.

ვერ ვიტყვით, რომ ზურაბ ტომარაძის „ბასკოში“ მისვლის შემდეგ ამ გუნდის თამაშის ხარისხი შესამჩნევად გაუმჯობესდა. ბათუმელებს ჰქონდათ ჩავარდნა, „ბასკო“ ყოველთვის როდი თამაშობდა ჩემპიონურად, თუმც ყოველივეს ხელი არ შეუშლია მათთვის, უცილობელ ლიდერად ჩაემთავრებინათ რეგულარული ჩემპიონატი. ჩვენი საქმიანობა ეტაპობრივად უნდა წარვმართოთო, თავიდანვე ამას ამბობდა მწვრთნელი და „ბასკოს“ ფინალში ყოფნაც სწორედ იმას ადასტურებს, რომ ტომარაძის გეგმებს ნელ-ნელა ესხმება ფრთები. ერთი, რაც არავისთვისაა სადავო, ის გახლავთ, რომ ბათუმში გადაბარგების პირველივე დღიდან ტომარაძემ მთლიანად დაცვაზე გააკეთა აქცენტი. და კიდევ, მან წყალი შეუყენა კლასიკური გამთამაშებლის ფენომენს. ტომარაძემ კალათბურთელები ორ კატეგორიად დაჰყო — პერიმეტრისა და ფარის მოთამაშეებად. სწორედ აქ გამოჩნდა მისი სწრაფვა უნივერსალიზმისკენ.

რუსთავის „აზოტის“ მთავარი მწვრთნელის, ოთარ ხმელიძის დიდი ღვაწლი მხოლოდ ამ კლუბის ბოლოდროინდელი წარმატებული თამაშით არ შემოიფარგლება. ის, რომ ამ რეგიონში საერთოდ არსებობს და სუნთქავს კალათბურთი, მნიშვნელოვანწილად სწორედ ხმელიძის დამსახურებაა. მან ჩაუყარა საფუძველი რუსთავში კალათბურთის აღორძინებას, ამ ქალაქის პირმშო, „აზოტი“ კი ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. ზედიზედ სამი წელია, რაც რუსთავული კლუბი ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიხსენიება.

ოთარ ხმელიძე დღემდე ერთგულობს „აზოტს“. მისნაირ სპეციალისტზე სხვა კლუბებიც არ იტყოდნენ უარს, თუმც ხმელიძეს სხვაგან არც კი გაუხედავს, არც უფიქრია მშობლიური ქალაქის გუნდის მიტოვება.

დღევანდელ „აზოტში“ მოთამაშეთაგან, ჟღენტს, ბაბიაშვილსა და გაბისონიას თუ არ ჩავთვლით, ყველა ხმელიძის აღზრდილია. დანარჩენები ბავშვობიდანვე მისი მეთვალყურეობით თამაშობენ, ასე რომ, მწვრთნელმა ზედმიწევნით კარგად იცის თავისი შეგირდების ავანჩავანი, რაც „აზოტში“ მუშაობასა და სათამაშო პროცესის წარმართვას ერთიორად უადვილებს. ოთარ ხმელიძე საკმაოდ მკაცრია და ბიჭებიც უსიტყვოდ ასრულებენ მის მითითებებს, თუმც, ჩანს, იგი კალათბურთელებთან მეგობრულ ურთიერთობებზეც არ ამბობს უარს. ამაში კი ზომიერებაა საჭირო, თუ გადააჭარბე, მხოლოდ საქმეს ავნებ. შესაძლოა, ამიტომაცაა, რომ კრიტიკულ მომენტებში „აზოტს“ ნერვები ღალატობს, რაც არაერთხელ საკუთარი თვალით გვინახავს. ეს ფაქტორი, ალბათ, ყველაზე მეტად აზარალებს ვიცე-ჩემპიონს.

„ბასკოსთან“ შეხვედრებში ხმელიძეს სხვაც ბევრი ექნება საფიქრალი, უამრავ პრობლემას წააწყდება, მაგრამ გამოსავლის მიგნებაც რომ ძალუძს, ამაში მისი გუნდისა და სტუ-ს პლეი ოფის ნახევარფინალურმა მატჩებმაც დაგვაჯერა. ინდივიდუალურად ძლიერი კალათბურთელებისგან დაკომპლექტებულ „აზოტს“ მან ჩემპიონის სული შთაბერა. იმ შეხვედრებში „აზოტმა“ მეტოქეს ყველაფერში აჯობა, უპირველესად, ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში, რაც ხმელიძეს მწვრთნელ-ფსიქოლოგის კუთხითაც წარმოაჩენს.

სპორტი, მით უფრო, კალათბურთი ჯერ ისე არ განვითარებულა, მწვრთნელის ფენომენი უგულებელყოს. მწვრთნელები, ჩვენს შემთხვევაში ტომარაძე და ხმელიძე, თავიანთი ორკესტრების დირიჟორები არიან, მაგრამ, რაც უნდა მცოდნე და ყოვლისშემძლე იყოს მაესტრო, მას ღირსეული შემსრულებლებიც სჭირდება. უნდა შემოიკრიბო ხალხი, ვინც შენს ნაფიქრ-ნააზრევს პრაქტიკულად განახორციელებს. ერთი სიტყვით, როცა მექანიზმი გამართულია, ყველას თავის ფუნქციას მოარგებ. კალათბურთზე ვსაუბრობთ და ამ სფეროში ამინდს ქმნიან...

### კალათბურთელები

მოედანზე მათ ერთადერთი რამ ევალებათ — კარგად თამაში. დანარჩენი ყველაფერი ფუჭია და უშედეგო. სულ სხვა საქმეა, რა რჩევა-დარიგებებს მისცემს, რა მისიას დააკისრებს ამა თუ იმ მოთამაშეს მწვრთნელი.

ერთი რამ ნამდვილად იცის ტომარაძემ — თავის სამწყსოს ერთი დიდი უპირატესობა აქვს, რასაც სრულფასოვანი სათადარიგო სკამი ჰქვია. სწორედ სკამის სიმოკლე თრგუნავს „აზოტს“, ამ ნაკლს რუსთავული გუნდი ბევრჯერ დაუღალატებია.

„ბასკოს“ ნებისმიერ მოთამაშეს უნდა უფრთხოდეს კაცი. ზღვისპირულ კლუბს ჰყავს მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი უკანახაზელები და საკმაოდ მობილური წინა ხაზი. ყოველ მათგანს შეუძლია, ლიდერობა იტვირთოს, რაც „აზოტის“ მხრიდან მუდმივ კონცენტრაციას მოითხოვს. საკმარისია, ოდნავ მოდუნდნენ რუსთაველები და უმალ დაისჯებიან. ხმელიძის გუნდს შესაძლოა ისეთი მოთამაშე დაატყდეს რისხვად, ვისგანაც ამას ნაკლებად ელის.

ექვსი კაცის გუნდიაო, ხშირად მოისმენთ „აზოტის“ მისამართით თქმულ ამ ფრაზას და მართლაც ასეა. „აზოტის“ ძირითად მოთამაშეებს ფინალურ სერიაში სულზე მოუსწრებდათ კარგი დამხმარეები, თუმც არც ის დაგავიწყდეთ, რომ იმავე სათადარიგოებს უკვე გვარიანი გამოცდილება დაუგროვდათ, შარშანდელმა და შარშანწინდელმა ფინალურმა ბატალიებმა ეს ბიჭებიც საკმაოდ გამოაწრთო.

და მაინც. „აზოტის“ მთავარი დამრტყმელი ძალა, გული და სული რამაზ გოგობერიშვილია. მის დაღებით თვისებებზე საუბარს ახლა არ შევუდგებით, ძალიან შორს წაგვიყვანს. ერთს კი ვიტყვით — თუ „ბასკოს“ მართლაც ჩემპიონობა ამოუჭრია გულში, უპირველესად ეს ბიჭი უნდა შეაჩეროს. ბათუმელთა მწვრთნელ ზურაბ ტომარაძესაც ერთთავად გოგობერიშვილის გაუვნებლებაზე უნდა ეჭიროს თვალი.

რაკი ნახევარფინალში სდასუ-სთან დაშვებული ალეკო დავითულიანი მოჯობინდა, რუსთაველთა ლიდერის დაკეტვასაც სავარაუდოდ მას დაავალებს ტომარაძე. იგივე ფუნქცია მწვრთნელმა შესაძლოა ბელიაევსა და კვაჭაძესაც დააკისროს. ამ უკანასკნელმა დაცვითი ქმედების უნარი სდასუელ ხოშტარიას წინააღმდეგ თამაშისას გამოავლინა.

ბათუმელთა შეტევებს, ვფიქრობთ, ირაკლი მაისურაძე წარმართავს. გამთამაშებლის ამპლუაში იქნებ აბრამიძეც მოგვევლინოს, თუმც ფინალური სერიის პირველ მატჩში ეს საეჭვო გახლავთ, რადგან მამუკამ ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ფეხი გადაიბრუნა და როგორც შევიტყვეთ, მწვრთნელები მას დაასვენებენ.

რუსთაველთა გამთამაშებლის, არჩილ ჟღენტის ჩინებული თამაში ნახევარფინალის უკანასკნელ შეხვედრაში სტუ-სთან გვაფიქრებინებს, რომ სადღეისოდ იგი მართლაც კარგ ფორმაშია. ცხადია, მასზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მაგრამ ერთხელ, კერძოდ, შარშან იმის მომსწრენი გახლდით, თუ როგორ შეიქნა ჟღენტი ტომარაძის სწორად შერჩეული ტაქტიკის მსხვერპლი და ამჯერად, ალბათ, მეტი გულისყურით მოეკიდება აჩიკო საქმეს. ჟღენტს ცოტათი ფიზიკურ მომზადებას უწუნებენ სპეციალისტები, თუმც ამ ნაკლს სისწრაფისა და მოქნილობის ხარჯზე ავსებს. თუ მან გუნდის სათამაშო ტემპიც დაარეგულირა, ფინალურ მატჩებში „აზოტი“ ერთიორად წელგამართული იქნება.

ყველაზე დიდ პრობლემას, ვფიქრობთ, მაინც ფარქვეშ წააწყდება ვიცე-ჩემპიონი. სრულფასოვანი ცენტრი ამ გუნდს ერთი ჰყავს — მიხეილ ბერუაშვილი. ბათუმელებს კი... ქარაბაკი, კილაძე, არხიპოვი, ბეჟანიშვილი, ჭეიშვილი. აი, ის ბიჭები, რომელთაც ფარის მისადგომებთან წარმატებული თამაში ძალუძთ.

მაშ, რა იღონოს ხმელიძემ, რა მოიმოქმედოს? შეძლებს კი ბერუაშვილი ეულად გაუმკლავდეს „ბასკოს“ მძლავრ წინა ხაზს? დამეთანხმებით, ძალიან გაუჭირდება.

„აზოტის“ მწვრთნელს არჩევანი არა აქვს, სხვა რა გზაა, „ბასკოს“ მაღლების წინააღმდეგ ხმელიძემ საბრძოლველად ზვიად ბაბიაშვილი და ლევან წიკლაური უნდა დარაზმოს. მაქსიმალური სარგებელი უნდა ნახოს მან ივანე გოგოლაძისგანაც, სხვანაირად განწირულია „აზოტი“.

დაბოლოს, ტომარაძისა და ხმელიძის სამკვდრო-სასიცოცხლო დუელი კვლავაც გრძელდება. „ვითას“ ნაკვალევზე ბათუმის „ბასკო“ და რუსთავის „აზოტი“ აუმხედრდნენ ერთმანეთს. ვინ იქნება პირველი? ვინ გახდება ჩემპიონი?

**გიორგი ბიკაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
მესამე ადგილისთვის

**სტუ — სდასუ**
სამ მოგებამდე

## ანონსი

| | |
|---|---|
| 13 ივნისი. სპორტის სასახლე. 16.00 | სტუ — სდასუ |
| 14 ივნისი. სპორტის სასახლე. 16.00 | სდასუ — სტუ |
| 15 ივნისი. სპორტის სასახლე. 16.00 | სტუ — სდასუ |
| თუ საჭირო გახდა | |
| 17 ივნისი. სპორტის სასახლე. 16.00 | სდასუ — სტუ |
| 18 ივნისი. სპორტის სასახლე. 16.00 | სტუ — სდასუ |

# ვივა, მარი!

**ქალები, ფინალი: მარი პირსი (6, საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (5, საფრანგეთი) 6:2, 7:5**

**პირადი შეხვედრები აქამდე: 10:6 პირსის სასარგებლოდ**

ბოლო ათწლეულის საუკეთესო ფრანგ ჩოგბურთელს, მარი პირსს „როლან გაროსი“ აქამდე სასიამოვნო მოგონებებს სულაც არ აღუძრავდა. შორეულ 1988-ში ის მთელი თვე მარტო ცხოვრობდა სპორტული კომპლექსის საერთო საცხოვრებელში, ამერიკიდან ახალჩამოსულს მეგობრები არ ჰყავდა, ფრანგული ხეირიანად არ იცოდა და ძილის წინ ბალიშს ცხარე ცრემლებით ასველებდა.

1994-ში პირსი საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან დამარცხდა, ყოველ მომდევნო წელს კი ტურნირს მეოთხედფინალამდე, მაყურებლების სტვენასა და დეპრესიაში მყოფი ტოვებდა.

გამონაკლისი არც შარშანდელი სეზონი ყოფილა, როდესაც მხარ-თეძოს მდისალმძვრელი ფორმების გამო „სხეულად“ წოდებული ფრანგი მეორე წრეში კონჩიტა მარტინესთან დამარცხდა.

შაბათს, იმ მარცხიდან სრული 12 თვის შემდეგ, ძველი მეტოქეები კიდევ ერთხელ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ოღონდ ერთიათად გაზრდილი ფსონებით — გამარჯვებული შინ რამდენიმე ასეულ ათას დოლარსა და ჩემპიონის ტიტულს გაიყოლებდა.

ამ ერთი წლის განმავლობაში პირსის ცხოვრებაში უამრავი რამ შეიცვალა. იგი შერეკილ მამას შეურიგდა, გარდა ამისა, ბოიფრენდის, რობერტო ალომარისა და მომავალი დედამთილის წაქეზებით ხელმეორედ აღმოაჩინა კათოლიციზმი და ღრმად მორწმუნეც გახდა.

ფრანგისთვის, რომელიც თითოეულ წაგებას საშინლად განიცდიდა და მნიშვნელოვან მომენტებში გულის წასვლას ბევრი არაფერი უკლდა, ეს ერთგვარ შვებად იქცა: „ახლა როგორღაც უფრო მშვიდად და ბედნიერად ვგრძნობ თავს. ვიცი, რომ ყველაფერი ღმერთის ნებაა, შემიძლია, მას მივენდო და ნაკლებად ვიფიქრო ათასგვარ უსიამოვნებაზე“.

შედეგიც სახეზეა: მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში პირსმა ტურნირის ორი ფავორიტი, მონიკა სელეში და მარტინა ჰინგისი დაჯაბნა და ამჯერად გულყრა აღარც ფინალში დამართვია.

მასზე მეტად მარტინესი ნერვიულობდა, რომელიც როლან გაროსის ფინალში პირველად ასპარეზობდა. ესპანელმა პირველ გეიმში დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, მერე კი პირსის ჯერი დადგა — მან ზედიზედ 5 გეიმი მოიგო.

ბევრისთვის, უპირველეს ყოვლისა, მეტოქისთვის გასაოცრად, მარიმ ღვთით და კრეატინით უხვად მომადლებული კუნთები კი არა, გონება აამუშავა. უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმების ნაცვლად ის ტექნიკურად, მახვილი კუთხით აგდებდა ბურთებს ბადის მეორე მხარეს.

მარტინესს უჭირდა პირსის ჩანაფიქრის წინასწარ გამოცნობა, ამიტომ ამ ვერაგულ დარტყმებს ან საერთოდ ვერ უსწრებდა, ან მეტად უხეიროდ, კორტიდან დიდი მანძილით გატყუებული აბრუნებდა უკან და საბოლოოდ გათამაშებებს მაინც აგებდა.

ესპანელი მეორე სეტის დასაწყისიდან გამოცოცხლდა, მიხვდა, რომ მეტოქის შეცდომების ლოდინში შეხვედრა თვალის დახამხამებაში გაილეოდა და გაცილებით აგრესიულად ათამაშდა. მან მაღალი აბრაგნებით პირსი რამდენიმე ნაბიჯით უკან დახია, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს უფრო დაცვაზე ფიქრი უხდებოდა.

უპირატესობა ერთი მოთამაშიდან მეორისკენ იხრებოდა, სანამ 5:5-ზე ფრანგმა ტემპს არ უმატა და მოახლოებული ფინიშის ხაზისკენ სპრინტის მოწყობა განიზრახა. პირსმა, ბოლოს და ბოლოს, თავისი მძლავრი ფორჰენდიც აამოქმედა, რამდენიმე რისკიანი, მაგრამ წარმატებული დარტყმით მეტოქეს მოწოდება აართვა და მატჩ-პოინტსაც მიატანა.

„როლან გაროსზე“ შეკრებილი მაყურებლები ზედმეტად კარგად იცნობენ თანამემამულეს, რომ მატჩის სწრაფად დასრულების იმედი ჰქონოდათ. ამიტომ როდესაც მარიმ ბურთი ბადეში გაახვია და სულ მალე ესპანელს ლამის ანგარიშის გათანაბრება დაანება, არავის გაკვირვებია — გასაოცარი ის იქნებოდა, ასე რომ არ მომხდარიყო.

მომდევნო რამდენიმე წუთის მანძილზე ტრიბუნებმა გული იჯერეს ნერვიული აშლილობის ზღვარზე მყოფი ქალის ცქერით — პირსს ყოველწამს ეცვლებოდა სახის გამომეტყველება, დაუსრულებლად ისწორებდა ალომარის ნაჩუქარ ყელსაბამს, კოცნიდა ნიშნობის ბეჭედს, გაუგებრად ბუტბუტებდა და დიდი გაჭირვებით სუნთქავდა.

სულის ხუთვას და მუხლის კვეთას მესამე მატჩ-პოინტზე მოეღო ბოლო. ფრანგის მოწოდებას მარტინესმა ჩოგანი ხეირიანად ვერ დაუხვედრა და ბურთმა ბადემდე ვერ მიაღწია.

გამარჯვების ნიშნად პირსმა ხელები აღმართა, ყურებამდე გაიღიმა და ფეხზე წამომდგარ ტრიბუნებს მიესალმა.

„ამ ტურნირის მოგებაზე ყოველთვის ვოცნებობდი, მაგრამ როგორღაც ამის იმედი არ მქონდა. ყოველივე იმის მერე, რაც გადავიტანე, გამარჯვება არაჩვეულებრივი რამ არის. იმდენი ემოცია დამიგროვდა, ამწუთს ვერაფერს ვგრძნობ“.

მატჩის შემდეგ პირსს მთავარი ჯილდო ლეგენდარულმა მარტინა ნავრატილოვამ და მისმა წინამორბედმა, როლან გაროსის 33 წლის წინანდელმა ფრანგმა ჩემპიონმა ფრანსუაზა დიურმა გადასცეს.

„მინდა მადლობა ვუთხრა მაყურებლებს, რომლებმაც ბოლომდე მიქომაგეს. ვიცი, რომ ზოგიერთს გაუჭირდა ჩემი თავისიანად აღქმა — მე ხომ აქ არ დავბადებულვარ და სრულყოფილად არც ფრანგულს ვფლობ. პირადად მე ბევრი რამ გავაკეთე ამის შესაცვლელად. იმედია, გულშემატკივრებს გაისადაც გავახარებ გამარჯვებით“ — აღნიშნა პირსმა, რომელსაც 593 ათასი დოლარი ერგო.

**ქალები. წყვილები: მარი პირსი და მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ვირხინია რუანო — პასკუალი (ესპანეთი) და პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:2, 6:4.**



REUTERS პარიზიდან

გუსტავო კუერტენმა პარიზი მეორედ დაიპყრო


REUTERS პარიზიდან

მაგნუს ნორმანი

**კაცები. ფინალი: გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:2, 6:3, 2:6, 7:6 (8:6)**

**პირადი შეხვედრები აქამდე: 3:2 კუერტენის სასარგებლოდ.**

პირველი სამი ხელი იმდენად მოსაწყენი იყო, კაცს ცქერის სურვილს გაუქრობდა, ბოლო ნახევარმა საათმა კი მატჩი დაუვიწყარ და დრამატიზმით სავსე სანახაობად აქცია.

„ჩოგბურთის საუკეთესო სეტი, რაც კი ოდესმე მინახავს“ — ეს სიტყვები ვინმეს კი არა, თავად მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, უიმბლდონის სამგზის ჩემპიონ ბორის ბეკერს ეკუთვნის. და მაინც, რა მოხდა ასეთი განსაკუთრებული კვირას, ადგილობრივი დროით 18 საათზე როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე?

მაგნუს ნორმანი კარიერაში პირველად ასპარეზობდა დიდი სლემის ტურნირის ფინალში. იქნებ სხვისთვის ეს თავის გასამართლებელი შესანიშნავი მიზეზი იყოს, მაგრამ ჩოგბურთელი, რომელსაც სეზონში ყველაზე მეტი მატჩი მოეგო, თანაც ტრიბუნებიდან ახალი სატრფო, მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი ადევნებდა თვალს, კარიერის უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ხის კუნძს, ალბათ, ნაკლებად უნდა დამსგავსებოდა.

ჩვეულებრივ მშვიდი და აუღელვებელი შვედი მთელი ორი სეტის მანძილზე უსულო საგნის ფუნქციას ასრულებდა კორტზე და ბურთის მეტოქისთვის მიბრუნება უფრო უჭირდა, ვიდრე მისი ბადეში ან აუტში გაგზავნა.

ამის შემდეგ ნორმანი როგორც იქნა, გონს მოეგო, ანგარიშიც დაახლოებით და სამიზნეც მეტნაკლებად გაისწორა, თუმცა როდესაც კუერტენმა მეოთხე სეტში 5:4-ზე მატჩ-პოინტს მიატანა, შეხვედრა, ერთი შეხედვით, ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა.

სამაგიეროდ ის, რაც მის შემდეგ მოხდა, ლოგიკას ნამდვილად აღარ ემორჩილებოდა.

პირველივე მატჩ-პოინტზე ნორმანის ფორჰენდი გვერდითმა მსაჯმა აუტად მიიჩნია, კუერტენიც საკუთარი თვალით დარწმუნდა ამაში და ბადისკენ წავიდა მეტოქისთვის ხელის ჩამოსართმევად. თუმც მთავარი მსაჯი ფრანსუა პერო სხვა აზრის აღმოჩნდა. თავისი კოშკურიდან ჩამოძვრომისა და ნაკვალევის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ მან დაასკვნა, რომ ბურთი ხაზს წაეკარა და შეხვედრა უნდა გაგრძელებულიყო. „გუგას“ პროტესტებმა შედეგი არ გამოიღო.

„ჩემთვის ის ბურთი აშკარად აცილებული იყო, მაგრამ რად გინდა. თითქოს მე თეთრში ვხედავდი, მსაჯი კი შავში. წესით, უკვე მთავარი ჯილდო უნდა მჭეროდა ხელში და ფოტოგრაფების წინ გავჯგიმულიყავი, ამის ნაცვლად კი ისევ კორტზე დავრბოდი თავქუდმოგლეჯილი“.

იმავე გეიმში ნორმანმა ჯერ მეორე მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მერე — მესამე, 5:6-ზე კი მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდეც. ტრიბუნებზე ენით აუწერელი რამ ხდებოდა. „გუგას“ ერთგულმა პარიზელებმაც კი აღარ იცოდნენ, რომელი ჩოგბურთელისთვის ექომაგათ და აღფრთოვანებას ოხვრაკვნესითა და სანაქებო ღრიალით გამოხატავდნენ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ შეხვედრა არასოდეს დასრულდებოდა. შვედი ერთ წუთში უაზრო და უპატიებელ შეცდომას დაუშვებდა, მერე კი, როდესაც მარცხიდან ერთ ქულაში აღმოჩნდებოდა, მთელ ყურადღებას მოიკრებდა და საოცრად რისკიანი ფორჰენდით, თავხედური შემოკლებულით ან ბადესთან გასვლით ბეწვზე ურჩებოდა მარცხს.

საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ნორმანმა ისევ ყველაფერი იღონა, რათა საკუთარი თავისთვის მაქსიმალურად გაერთულებინა საქმე: ყველაზე უდროო დროს ორმაგი შეცდომა დაუშვა, სრულიად იოლი ფორჰენდი ცარიელი კორტის ნაცვლად ბადეში გაახვია.

კუერტენი 6:3-ით დაწინაურდა — კიდევ სამი მატჩ-პოინტი. ცივსისხლიანმა შვედმა კი ისევ ყველა გააოგნა და ანგარიში გაათანაბრა.

— „ვფიქრობდი, ახლა მოვიგებ, ახლა მოვიგებ-მეთქი, მაგრამ ამას კიდევ ერთი გათამაშება მოსდევდა, მერე კიდევ ერთი, კიდევ ერთი... ლამის იმედი გადამეწურა“ — გაიხსენა მოგვიანებით „გუგამ“.

თუმცა ბოლოს და ბოლოს მე-11 მატჩ-პოინტზე შვედსაც გამოელია სიცოცხლის მარაგი და 6:7-ზე ფორჰენდი სულ რამდენიმე სანტიმეტრით ააცილა გვერდით ხაზს. ამჯერად მთავარი მსაჯი ადგილზე დარჩა და არაქათგამოცლილმა კუერტენმაც ტრიბუნებს თავი დაუკრა. პირველი მატჩ-პოინტიდან მთელი 42 წუთი გასულიყო, სეტის დასაწყისიდან — 96.

„აჰა, ისევ აქ ვარ და ძალიან მიხარია. უკვე აღარავინ იტყვის, რომ 1997-ში ეს ტიტული შემთხვევით მოვიგე. ახლა დავამტკიცე, რომ ჩემი ადგილი საუკეთესოთა შორისაა და კარგა ხანს ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნები“ — განაცხადა ბრაზილიელმა.

ნორმანს ამ შესანიშნავი სპექტაკლის მთავარ გმირად ქცევამ დიდი სიხარული ვერ მოუტანა: „რა შემიძლია ვთქვა? ყველაფერი გავილე, რაც მქონდა. ბორისმა (ბეკერი) მატჩის შემდეგ მითხრა, რომ წაგებულად არ უნდა ვიგრძნო თავი, მაგრამ ამჟამად იმედგაცრუებული ვარ. მე მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოდი. ბოლო ქულამდე ვფიქრობდი, რომ ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი დაკარგული და მოგებაც შემეძლო“.

**კაცები. წყვილები: მარკ ვუდფორდი და ტოდ ვუდბრიჯი (2, ავსტრალია) — პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) და სენდონ სტოლი (ავსტრალია) 7:6 (9:7), 6:4.**

„ვუდების“ ლეგენდარულმა წყვილმა კარიერის 58-ე ტიტული მოიგო და ყველა დროის რეკორდსმენიც შეიქმნა.

**ავთანდილ სვანიძე**



მარი პირსი


REUTERS პარიზიდან

კონჩიტა მარტინესი

# ლამაზად შვიდის გამზრდელი...

## კლოდ სორელის გაწვრთნილმა საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა ევროპაში გაილაღა და არგენტინაში მიდის

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები საშვიდკაცო მსოფლიოს თასის ფინალშია! ჩვენებურებმა შეძლეს ის, რასაც დამოუკიდებელი საქართველოს ათწლიან ისტორიაში ყველა ჯურის ქართული ნაკრები ამაოდ ცდილობდა. გასულ უქმეებზე გერმანულ ჰაიდელბერგში ქართველებმა სარაგბო ევროპას შვიდკაცას რამდენიმე ჩინებული გაკვეთილი ჩაუტარეს და მკითხველი ნუ შეკრთება იმაზე, უელსთან ფინალი გაცეცხლებულ ბრძოლაში 33:38 რომ წააგეს. სხვა თუ არაფერი, 2001 წლის მსოფლიოს თასის ჰაიდელბერგის შესარჩევი ტურნირის ფინალი ხომ ნახევარფინალებზე ნაკლებად პრინციპული იყო (ასეც ხდება). სწორედ ნახევარფინალურმა და მესამე ადგილისთვის მატჩებმა გაარკვია არგენტინის სამი საგზურის მფლობელი. ქართველთაგან უკლებლივ მოგებული ყველა სხვა მატჩის ანგარიშები კი მხოლოდ ალტაცებაში მოგიყვანთ. აი, ისინიც, ჯგუფური ტურნირები: საქართველო — ჰოლანდია 29:0; საქართველო — უნგრეთი 50:0; საქართველო — იუგოსლავია 57:0; საქართველო — შვეიცარია 27:0; საქართველო — ჰოლანდია 45:7; საქართველო — პოლონეთი 52:5. მივამატოთ ამას ნახევარფინალში „ექვსი ერის" წევრისა და „ლენსდაუნ როუდზე" ჩვენი გამამწარებლის, ირლანდიის გაბითურებაც 21:0 (!). მაშ ასე, კლოდ სორელის შეგირდებმა ჰაიდელბერგში ჩინებულად ითამაშეს, მეორე ადგილი დაიკავეს და გაისად არგენტინაში ითამაშებენ. ჩვენებურთა მსგავსად, სამხრეთ ამერიკაში თამაშის უფლება უელსმა და ირლანდიამ მოიპოვეს.

**დავით გულუა**

თბილისი
11 ივნისი

**ყოჩები 14:17 (6:7) დათვები**

ყოჩები: ფირიაშვილი (გიგაური, დ. ხაბეიშვილი), კიკუაშვილი, ხურცილავა, ჩაკვეტაძე, თედორაძე (გოგშელიძე), სოფრომაძე, სულთანიშვილი, გ. ხაბეიშვილი, გიორხელიძე, ტეფნაძე, მხეიძე, ბარძიმაშვილი, ჯანელიძე, ლიპარტელიანი, პეტრიაშვილი
1ლ — გ. ხაბეიშვილი; 3ს — ტეფნაძე
დათვები: აშვეთია, გურეშიძე, ღლონტი (რეხვიაშვილი), ფხაკაძე (სვანიძე), აბაშიძე, გოგისვანიძე (ნინიძე), ჩირგაძე, აბდალაძე, გიორგაძე, მაჩიტიძე, ხონელიძე, ტყაბლაძე, ე. ძაგნიძე, სვინტრაძე, ჩუბინიძე
2ლ — ჯგუფური, რეხვიაშვილი; 2გ — ე. ძაგნიძე; 1ა — მაჩიტიძე
მეთვალყურე: თ. ელიზბარაშვილი
მსაჯი: რ. სანებლიძე

# სტალონეს აჩრდილი ვარკეთილში

ბადრი კეთილაძის ფოტო



დათვმა გოჩა ხონელიძემ (ბურთით) ლომივით იბრძოლა

ამ მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია ქართულ სარაგბო თემში, ერთმანეთს ხომ ოქროს მედლისთვის მოცილე გუნდები დაუპირისპირდნენ. ბოლო ორი ჩემპიონატია, საქართველოს პირველი გუნდის წოდებისთვის სწორედ „ყოჩები" და „დათვები" იბრძვიან. მათი დაპირისპირება სათავეს 1997-98 წლებიდან იღებს. მაშინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალში თბილისელებმა ორრაუნდიანი პაექრობა მოიგეს, ხოლო შარშან „დათვებმა" იძალეს და ბოლოსწინა ტურში „ყოჩების" ძლევით ჩემპიონობა დაიბევეს. ამ ორი გუნდის შეხვედრებს ინტრიგა და დაძაბულობა მუდამ თან ახლავს, არც კვირას, ვარკეთილის სტადიონზე შემდგარი დუელი იყო გამონაკლისი. ეგ კი არა, გამარჯვებულის ვინაობა მატჩის ბოლო წუთზე გაირკვა.

პირველი ტაიმის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს აქადდა. „ყოჩებმა" შერკინების ხარჯზე სცადეს უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ბათუმელთა მძლავრ წინაალმდეგობას წააწყდნენ და შეტევის აქცენტი სწრაფად გათამაშებულ კომბინაციებზე გადაიტანეს. სტუმრებს თანდათან გაუჭირდათ მეტოქის იერიშების შეჩერება და ხშირად ჯარიმდებოდნენ. ორი ასეთი ჯარიმა „ყოჩების" დამრტყმელმა ტეფნაძემ გოლად აქცია და თავისი გუნდი დააწინაურა — 6:0. ამის შემდეგ „დათვები" გამოცოცხლდნენ, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს და ორგანიზებულად შეუტიეს. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას ბათუმელმა სვინტრაძემ მარჯვენა ფლანგზე რამდენიმე მეტოქეს თავი დააღწია, მაგრამ ზედ სალელოე მოედნის ხაზთან ბურთი წინ გაუვარდა.

აშკარა იყო — „ყოჩების" დაცვის ხაზში ბზარი გაჩნდა. მასპინძლებს ეს უნდა გაეთვალისწინებინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უმნიშვნელო ეპიზოდს ყურადღება არ მიაქციეს. მალე სტუმრებმა იმავე მარჯვენა ფლანგიდან მორიგი იერიში წამოიწყეს. აქ უკვე ბათუმელთა შერკინებამ ივარგა და ჯგუფური ლელოც გავიდა. უმცროსმა ძაგნიძემ ზუსტად გარდასახა. 6:7 — ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მცირე უპირატესობა, რომელსაც ბათუმელები ფლობდნენ, საბოლოო გამარჯვების გარანტიას არ იძლეოდა. ამიტომაც იყო, რომ მეორე ნახევარში „დათვების" რიგებში ძველი გვარდია გამოჩნდა. სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ ნინიძითა და რეხვიაშვილით გააძლიერა გუნდი. მეორე ტაიმი კი „ყოჩების" შეტევებით დაიწყო, მასპინძლებმა პატარა შტურმიც მოაწყვეს მეტოქის სალელოე მოედანთან. ბათუმელებმა თითქოს შეძლეს მოწინააღმდეგის შეჩერება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით. თბილისელებმა ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლეს, ხაბეიშვილმა ზედახორიდან ბურთი მოიპარა და „დათვების" სალელოე მოედანში დადო. „ყოჩები" მატჩში უკვე მეორედ დაწინაურდნენ. თითქოს გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ...

სტუმრები მარცხს არ ურიგდებოდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას, მით უმეტეს, ამისთვის დროც საკმაოდ ჰქონდათ და შესაძლებლობაც. ახლა უკვე „დათვებმა" იძალეს. მასპინძლები მწყობრად იცავდნენ თავს, მეტოქე მათი დაცვის ხაზის გარღვევას ვერ ახერხებდა. ბათუმელებმა შეტევის მიმართულება „ყოჩებისთვის" იმ ავადსახსენებელ მარჯვენა ფლანგზე გადაიტანეს. შეცვლაზე შესულმა რეხვიაშვილმა, რომელსაც რაგბის გულშემატკივარი „რემბოდ" იცნობს, თავისი სეხნია ამერიკელი კინოგმირივით მეტოქის რამდენიმე მცველს ძალისმიერი ორთაბრძოლა მოუგო და ლელო გაუტანა. ძაგნიძე კვლავ ზუსტი გახლდათ — 11:14.

ამის შემდეგ უპირატესობა ხელთ მასპინძლებმა იგდეს. სტუმრები ხშირად ჯარიმდებოდნენ, „ყოჩები" კი შეგნებულად არ ურტყამდნენ საჯარიმოებს, რადგან მხოლოდ გამარჯვება სურდათ. მაგრამ სათამაშო დრო იწურებოდა, შედეგი კი არ ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, ტეფნაძემ საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო დარტყმით ანგარიში გააყაიმა. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა და თითქოს ფრეს წინ აღარაფერი უდგა, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდა ბათუმელი მაჩიტიძე. სტუმართა მორიგი შეტევისას „ჩიჩმ" თითქმის მოედნის ცენტრიდან არეკნი შეასრულა. პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა, სამაგიეროდ, მეორედ იმავე ადგილიდან მაჩიტიძემ შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება და „დათვებს" ესოდენ საჭირო გამარჯვება მოუტანა.

თბილისი
11 ივნისი

**უნივერსიტეტი 5:17 (5:5) ლოკომოტივი I**

უნივერსიტეტი: კობიაშვილი (ალიბეგაშვილი), ჯანუყაშვილი, წიკლაური (კუთარაშვილი), გუჯარაიძე (მჟავანაძე), ჩქარეული (ხაჭაპურიძე, გუნდიშვილი), მჭედლიშვილი, ავსანჯიშვილი, ქირიკაშვილი, დანელია, კობახიძე, კ. ელოშვილი, კიზირია, ო. ელოშვილი, ძონწენაძე, ჯავრიშვილი
1ლ — კ. ელოშვილი
ლოკომოტივი I: ჩადუნელი, თოფურიძე, ჯაველიძე (ბერიაშვილი), ბურდული, მოგელაძე, სორდია, კახიანი, უდესიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ძნელაძე, ცხადაია, ალანია, ასათიანი, მათიაშვილი
3ლ — ძნელაძე, კვინიხიძე, ჯაველიძე; 1გ — ძნელაძე
მეთვალყურე: მ. რობიტაშვილი
მსაჯი: ლ. მგელაძე

# სტუდენტები: სწავლა, სწავლა და... ჩხუბი

„ყოჩები" — „დათვების" დრამატული მატჩის შემდეგ მოედანზე „უნივერსიტეტი" და „ლოკომოტივი 1" გავიდნენ. ალბათ, ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს შეხვედრა წინამორბედის მსგავსად უშელავათო ბრძოლაში ჩაივლიდა. ქომაგები რკინიგზელებს იოლ გამარჯვებას და პრემიალურ ქულას უწინასწარმეტყველებდნენ. „ლოკომოტივი 1"-მა მართლაც გაიმარჯვა, მაგრამ დიდი ძალისხმევის ფასად, პრემიალური ქულა კი ვერ მოიპოვა.

რკინიგზელთა უპირატესობა მატჩის დასაწყისშივე გამოიკვეთა, თუმცა სტუდენტებმა მალე გამოასწორეს მდგომარეობა და თამაში გათანაბრდა. ტაიმის პირველივე წუთებზე „უნივერსიტეტს" ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ კიზირიამ ვერ შეძლო საჯარიმო დარტყმით ბურთის ძელებს შორის გატარება. უნდა ითქვას, რომ პირველ ნახევარში დანიშნული სამი საჯარიმოდან სტუდენტებმა ვერც ერთხელ იხეირეს, სამაგიეროდ, მათმა გარემარბმა ელოშვილმა ისეთი ლელო გაიტანა, ბევრ სახელოვან მორაგბეს შეშურდებოდა. ეს კი ასე მოხდა: „ლოკომოტივი 1"-მა შეტევაში ბურთი დაკარგა, ელოშვილმა იგი ხელთ იგდო და მეტოქის ნახევრისკენ დაიძრა. იგი სწრაფად გასცდა რამდენიმე მოწინააღმდეგეს და ბურთთან ერთად რკინიგზელთა სალელოე მოედნამდე ირბინა. ამის შემდეგ მოედანზე მძაფრი პაექრობა გაჩაღდა. რკინიგზელებმა თავი მდევრის როლში ვერ იგუეს და მალე წონასწორობა აღადგინეს. ლელო ძნელაძემ მიითვალა. სტუმრები ამაზე არ შეჩერდნენ და მორიგი შეტევა წამოიწყეს. მოედნის ცენტრში სტუდენტმა ავსანჯიშვილმა მეტოქის შეტევა ჩაშალა, მას ალანია წესების დარღვევით ეთამაშა, რაც ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. ჩხუბი დიდხანს გაგრძელდებოდა, საქმეში ორივე გუნდის მორაგბეები რომ არ ჩარეულიყვნენ. ინციდენტი მალე დასრულდა, ალანია და ავსანჯიშვილი კი ათწუთიანი გაძევებით დასაჯეს. მატჩის პირველი ნახევარი ბევრისთვის მოულოდნელად ფრედ 5:5 დასრულდა.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი 1" უფრო მობილიზებული გავიდა მოედანზე. მათი შეტევები სულ უფრო გამწვავდა. ერთ-ერთი ასეთი იერიში კვინიხიძემ ლელოთი დააგვირგვინა და ნათელი გახდა, რომ რკინიგზელები უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ. მეტოქეთა ხისტმა, უხეშმა თამაშმა მალე მოედანზე მორიგი კონფლიქტი წარმოშვა, ამჯერად გაცილებით უფრო მასშტაბური, ვიდრე პირველი. რა ვერ გაიყვეს მოგელაძემ და კახა ელოშვილმა, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ სარბენ ბილიკზე გამართულ მუშტი-კრივში ორივე გუნდის სრული შემადგენლობა მონაწილეობდა. მათი დაშოშმინება მხოლოდ მწვრთნელებისა და მსაჯების ჩარევის შემდეგ მოხერხდა. ამჯერად ჩხუბის უშუალო მონაწილეებს — მოგელაძეს და ელოშვილს მოუწიათ იძულებითმა დასვენებამ. ამის შემდეგ რკინიგზელმა ჯაველიძემ მესამე ლელოს გატანა შეძლო, მაგრამ ეს იყო და ეს. „უნივერსიტეტმა" „ლოკომოტივი 1"-ს პრემიალური ქულის მოპოვების საშუალება აღარ მისცა.

**ბაჩო სვანიძე**



# უცხოეთში ქვეყანაში მოჭიდავეები გუნდობენ

სოფიაში დასრულებულ ახალგაზრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ფალავნებმა სამი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს და ასეთი ნადავლით ხელდამშვენებულებმა გუნდური პირველობაც არავის დაუთმეს. ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა, რადგან გუნდი წლეულს მნიშვნელოვნად გადახალისდა. ალექსანდრე დოხტურიშვილმა (76) და ალექსანდრე წურწუმიამ (მძიმე) შარშანდელი ბრინჯაო წლეულს ოქროდ აქციეს. გიორგი ჯობავაც (97) ჩემპიონია. მესამე ადგილებზე კი ელიზბარ მაჭუტაძე (63) და თეიმურაზ თხილაიშვილი (69) გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**



PLAY OFF
ფინალი

# ეშმაკები: ფუი კი არა, თასი!



უძვირფასესი: სკოტ სტივენსი

10 ივნისი

**დალასი — ნიუ ჯერსი 2:4**

**დალასი — ნიუ ჯერსი 1:2**

0:0 1:1 0:0 0:0 0:1

0:1 ნიდერმაიერი 25'48 (5); 1:1 კინ[...] 26'27 (2); 1:2 არნოტი 88'20 (8)

მორჩა. ფინალის მეექვსე მატჩის მეორე დამატებით დროში, პატრიკ ელ[...]აშის ჩინებული პასის შემდეგ, დალ[...]სელთა კართან უმეთვალყურეოდ დ[...]რჩენილმა ჯეისონ არნოტმა გადამ[...]ყვეტი გოლი გაიტანა. ასე დასრულდა გუნდების საოვერტაიმო ჭიდ[...]ლი და ბოლო ექვსი წლის მანძილზე ნიუ ჯერსი მეორედ დაეუფლა სტ[...]ნლის თასს. „ეშმაკთა" სული და გუ[...]ლი, კაპიტანი სკოტ სტივენსი კი თა[...]სის უძვირფასესი მოთამაშე და „კონ სმაიტ ტროფის" მფლობელი შეიქ[...]. აღსანიშნავია, რომ შარშანაც გამარჯვებული გადამწყვეტ შეხვედრაში ოვერტაიმში გამოვლინდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოღრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge